

ლიტერატურული გაზეთი

№8 (312) 29 აპრილი - 12 მაისი 2022

ბამოღის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი



სოსო მეშველიანი

უფუარი პური

ნონოს

ჩურჩულებს ბნელში ახალგაზრდა ლამაზი ქვრივი,
დროგამოშვებით უბრუნდება ლუკას და მათეს —
სკდება ტოტებზე კაკლის კვირტი, მსხვილი და მკვრივი,
რალაცნაირი სევდა ახლავს ხარების ნათელს.

— ჩაინთქა ბნელში!..

ხმა, რომელიც გამყვება დარდად,
ეს მერამდენე განთიადი გამორჩათ მამლებს,
ჩამქრალ სკებივით ჩარიგებულ სახლების გარდა,
ამ ბნელ მურყვნებსაც აკითხავენ იგრიკას დამლევს,

უკვე ნაცნობი აჩრდილები —

ახლა ასე ვარ,
სიზმარ-ცხადს შორის ღამე როცა ყველა ზღვარს ნაშლის,
დალილ, გამომშრალ თვალის გუგებს წითლად დასერავს
წვრილ ტოტებიდან გამომსკდარი ყვავილი ვაშლის.

მცირე მწუხრის სიუჟეტი

გადავეჩვიე თმის დავარცხნას, წვერის გაპარსვას,
ნაწვიმარ ფიჭქვეშ სუნს ვგრძნობ გვიმრის და წედლი ყავრის,
ბოლოს ხომ მაინც ყველა ამბავს, ყველა ზღაპარსაც
აქვს დასასრული —
და ამასაც გაუვა ყავლი,

რასაც ეს კბილებდაცვენილი მწყემსი მიყვება
ფიჭვის სურნელით შესქელებულ ჰაერის ღეჭვით.
ჭოტმა იკივლა, სადღაც ძალღმაც წამოიყვია
და სიზმარ-ცხადის გასაყართან გაკრთება ეჭვი.

უცებ დაკარგავს ყოველივე პირვანდელ იერს,
შეიკუმშება მოლუსკივით ტვინი და მუქი
სამყარო, სადაც ჯაგნარებში ფოცხვერის ცბიერ
და ცივ თვალეშიც ირეკლება კვაზარის მუქი.

კონკისტადორთა ქალაქში

„იმპერატორმა კარლ V
ჰაბსბურგმა კორტესს მიანიჭა
ოახაკის ხეობის მარკიზის ტიტული“.
ესპანელი ისტორიკოსი

ავტომობილთა ხმაურიან ნაკადებს შორის
მოქცეულ მრგვალ და პატარა სკვერში,
სადაც ძელსკამზე ცხენისნაბლას ყვავილი ყრია,
ვზივარ და ვუსმენ, როგორ გალობს კედარზე შაშვი,

რომელიც თითქოს ლამპიონის შუქს ემალება,
მაგრამ არ უფრთხის ბარებიდან წამოსულ ყაყანს —
იცის, რაც უნდა, ყველამ იცის — რა ევალება,
გარდა პოეტის, ვინც ყოველდღე მხოლოდ წყალს ნაყავს.

ჩამოწვა მწუხრი გიბრალტარზე, ზღვაც იბინდება,
დღემდე რატომღაც ჭირს გარჩევა, ავის და კარგის.
— გაქრა, დაემხო აცტეკების ძველი დიდება!
ეს მე აღმომხდა, თუ ხანჯლიან ბრინჯაოს მარკიზს?!

და, აი, ახლა როგორ მინდა იმის ყურება,
იალქნიანი ხომალდებით ამ ბნელ ყურედან
როგორ გადიან ღია ზღვაში და შემდეგ ნისლის
სიღრმიდან თითქოს მათი ხმა და ყიჟინა ისმის.



ზაალ სამადაშვილი

შადროსნური ფანჯრები

მარტო ის, რომ ბავშვებს კუთხეების ამოჩემება უყვართ თავიანთ, თუნდაც პატარა, თვალის ერთ მოვლენა ბინებში, ერთადერთი მიზეზი არ იყო ჩემი შეყუყუებისა ფანჯრის ნიშაში.

ხელმოკლე ვცხოვრობდით, სხვა ბევრ რამესთან ერთად, საწერი მაგიდაც არ გვქონდა და სასკოლო დავალებების შესრულება ფანჯრის რაფასთან მიმდინარეობდა. ნიგნებს კი, კლასგარეშე ლიტერატურად რომ მოიხსენიებდნენ იმ დროს, უკვე ზევით, რაფაზე ანაცვლებული ვკითხულობდით.

ჩვენ ძველ, სქელკედლებიან სახლს მალევე ქართან ერთად, ფანჯრებიც მალაღობი და რაფებიც შესაბამისი სიდიდის — საშუალო ზომის საწერი დაფების ხელები. თახჩის სიღრმე ნიშაში მოკალათებულს, ზურგით კედელს მიყრდნობილს და მზის სხივებით მოთენთილს, არაერთხელ ჩამძინებია მუხლებზე გადაშლილი ნიგნით...

პირველად როდის გამომეცხადა ჩემი წინანდელი სიზმრებისთვის უცხო, უჩვეულო პერსონაჟი, ფანჯრის რაფაზე დაბუდეების მერამდენე კვირის თავზე — ვერ ვიხსენებ. არც ის მახსოვს, ვინ ჩაუდგა სათავეში მის მსგავსთა გამოცხადებების გრძელ რიგს. მიხვედრით კი, უმალ მივხვდი, საიდან მოდიოდნენ, რომელი სამყაროების წარმომადგენლები იყვნენ...

წაკითხული ნიგნებიდან მოდიოდნენ... უფსკრულზე გადმოვდგარი ციხე-კომპლექსის, ზღვებისა და ოკეანეების ტალღებზე ატორტმანებული იალქნიანი გემების, ვინაშნო ქუჩებით დაქსელილი, ძველი, პირქუში ქალაქების, ბნელი, იდუმალი მღვიმეების, უღრანი ტყეების, უკაცრიელი კუნძულების, თვალუნებელი ტრამალების ბინადრები იყვნენ...

ოთახში არ შემოდიოდნენ, გარეთ, ფანჯრის მიღმა, ჰაერში დაფარფატებდნენ მოჩვენებებივით...

მონაცვლეობით ვხედავდი: ყურის ბიბილოებზე რგოლებჩამოკონიანლებულ მრისხანე კორსარს, მძიმედ შეჭურვილ რაინდს მკერდზე დიდი ნითელი ჯვრით, გაბურძნულ თმასა და ნევრში ჩაკარგულ განდეგულს, ფერადბუმბულებიანი ჯილით თავშემკული ინდიელ ბელადს, უღვამანკეპილ მუშკეტერს გრძელი დაწნით ხელში, ინგლისურკეპიან კაცს გამჭოლი მხერით, კბილებში ყალიბგარჩილ ფეხშიშველა ბიჭუნას...

ბინის გამოცვლა რომ მოგვიხდა და საცხოვრებლად ქალაქის განაპირას მდებარე უსახურ კორპუსში გადავადგილდით, რაფაზე მოკალათებას გამოვემშვიდობე. ორი პატარა ოთახის ოთხ პატარა ფანჯარას ვინაშნო რაფები ჰქონდათ, რომლებსაც გვერდულად თუ მიუჯდებოდი და ცალი იდაყვით თუ ჩამოყრდნობილი მხოლოდ.

გული დამწყდა, მაგრამ იხტიბარი არ გავიტყე. რაფაზე თუ ვერა, მასთან ჯდომას ხომ შემიძლო. ჰოდა, ვვადებოდი, მივყუდებოდი ნიგნს ფანჯრის შუა ტიხარზე და ვკითხულობდი და ვკითხულობდი. ველოდებოდი, რომ დღეს თუ არა — ხვალ, ხვალ თუ არა — ზეგ, კვლავ მომევიწინებოდა რომელიმე ლიტერატურული გმირი. დარწმუნებული ვიყავი, მჯეროდა რომ ამ უცნაური მოვლენის მთავარი ატრიბუტი, ად-

გილი, რომლის მეშვეობითაც ირეალური სამყარო კავშირს ამყარებდა ჩემთან — ფანჯარა იყო...

დღეები გადიოდა. როგორც არ უნდა გადამელოდა წიგნის ფურცლებისკენ დახრილი მხერა, როგორც არ უნდა მოვეთენეთ მზის სხივების სითბოს, რამდენჯერაც არ უნდა დამძიმებოდა ქუთუთოები, არადა არ მეცხადებოდა არავინ.

ერთხელაც, თითქმის გადანურული რომ მქონდა იმედი და ვფიქრობდი, ალბათ მხოლოდ ძველი სახლის ფანჯარასთან ხდებოდა ასეთი რამეები, ისევე „მეწვია“ ვილაც, კვლავ ატორტმანდა გამოსახულება, რომელიც წინანდელი „სტუმრებისგან“ განსხვავებით, ვერც ჩათვლემილმა ამოვიცვანი და ვერც ძილის ბანგს თავდაღწეულმა.

როგორ არ დავძაბე გონება, მეხსიერებაში გადანაცვლებულ რამდენ წიგნს არ გადავავლე მისი თვალი — მოგროძოსახიანი კაცი თავზე უზარმაზარი დაკულულებული პარკით ვერცერთ პერსონაჟს ვერ მივაამსგავსე.

იგივე განმეორდა შემდეგ ჯერზეც, როცა ტანსრული, შემელოტებული ბატონი ვიხილე ვინაშნო, გახუნებული სერთუკით...

იმ ბერიკაცის ვინაობის დასადგენადაც ამაოდ ვინვალე, თოვლივით თეთრ თმას ქარი რომ უფრიალებდა და პერანგის საყელოზე დიდი შავი ბაფთა ჰქონდა გამოწნასკული...

ამ თავსატეხის ამოხსნაში ერთ-ერთი „სტუმარი“ დამეხმარა — ჩოხაში გამოწყობილი ახალგაზრდა კაცი მოგროძო, კობტად დავარცხნილი წვერით. მისი, შვლის ნუკრზე დაწერილი ძალიან სვედიანი მოთხრობის ავტორის ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი საკლასო ოთახში გვეკიდა.

მასთან „შეხვედრის“ შემდეგ, რაღაც ვარაუდი გამიჩნდა და გადასამოწმებლად მეორე დღესვე, გაკვეთილების შემდეგ, სკოლის ბიბლიოთეკას მივაკითხე, იმ დროის სასკოლო ბიბლიოთეკებს შორის საუკეთესოს. ყველაზე სრული, ყველაზე სქელტანიანი ენციკლოპედია გადმოვიღე თაბლოდან და ერთი კვირა მოვანდომე მის გულმოდგინე, ფურცელ-ფურცელ თვალთვრებას.

ვარაუდი გამართლდა — ყველა, ვინც გამომეცხადა და ვერ ამოვიცანი, ბნერალი აღმოჩნდა. მათი გვარებისა და მხოვრაფიების განსწავლევაც დაბეჭდილი გრავიურებიდან, ნახატებიდან და ფოტოებიდან სწორედ ისინი მიმზერდნენ, ჩემს მიერ წაკითხული და გულში ჩავარდნილი ნიგნების ავტორები...

კითხვას რომ სვამენ, რატომ ახსოვს ასაკოვან ხალხს ბავშვობაში წაკითხული ნიგნები მოგვიანებით წაკითხულებზე უკეთესად, ჩემი პასუხი დანარჩენებისგან განსხვავებული, მოკლე და დაუჯერებელი იქნება და ასე ჩამოყალიბდება — ალბათ იმიტომ, რომ იმ სახლებს, სადაც ბავშვობა გავატარე, ერთს, გასული საუკუნის დასაწყისში აშენებულს, ლამაზს და მეორეს, არც ისე ძველს და უშნოს, ჯადოსნური ფანჯრები ჰქონდათ...

მედეა იმერლიშვილის ნახატი

კიბორჩხალები

სტელა და ბებია მისი თოვლმავალით სრუტემდე მივიდნენ, თოვლმავალი ზემოთ, მინდორზე დატოვეს და ფრთხილად დაეშენნენ ოკეანისაკენ. წყლისა და მიწის გამყოფ ადგილას ჩალრმავება იყო, მოქცევა რომ ავსებდა ხოლმე. ჩალრმავებულში კიბორჩხალები ბუდობდნენ. თხუთმეტოცი წუთის განმავლობაში ჩალრმავებულში შეძრომა შეიძლებოდა და თუკი იმარჯვებდი, სათლსაც მსუქანი კიბორჩხალებით აავსებდი.

წლეულს სტელა პირველად იყო „სანადიროდ.“ მანამდე კიბორჩხალები ბებიას მოჰქონდა შინ. ბებია ალასკას მკვიდრი ინდიელების შთამომავალი იყო და სრუტეში კიბორჩხალების ჭერაც წინაპრებისაგან ესწავლა. აქაურთა მწირ მენიუში კიბორჩხალას ხორცი დელიკატესად მიიჩნეოდა, თუმცა რატომღაც მის წვნიანს „ლარიბთა წვნიანი“ ერქვა. სტელას კი იმდენად წვნიანი როდი უყვარდა, რამდენადაც ხიფათის მოლოდინი — როცა წარმოიდგენდა, როგორ შეძვრებოდა ყინულისა და თოვლის თალქვეშ, სრულ სიბნელებში, ხელის ფათურით როგორ მოძებნიდა გაყინულ წყალში გატრუნულ კიბორჩხალას, თან კი იმის შეეშინებოდა, ვაითუ მოქცევა გამოგვეპაროს და წყალმა ჩალრმავებული აავსოსო. რა



ზურაბ ლავრელაშვილი

მოუვიდოდა მაშინ სტელას?! წარმოიდგენდა, რომ იხრჩობოდა, თან ცოცხალიც იყო (ის ხომ თითქოს აკვარიუმის მინის იქიდან უცქერდა, როგორ იხრჩობოდა), და ეს გაორებული ყოფა ჟრუანტელს აგრძობინებდა. „როგორც სამინელებათა ფილმშია, — ფიქრობდა სტელა, — რა ჰქვია?... ჰო, აი როცა გაფაციცებით ელოდები, შედეგურება ან ახლა მოხდება, ან ახლაო, მაგრამ არავინ კვდება...“ წარმოიდგენდა, როგორ ევსებოდა პირი წყლით, როგორ ტივტივებდა ტალღაზე თმაგაშლილი და ხელებგანვდილი. ესეც ფილმის კადრს ჰგავდა. სწორედ ასე ტივტივებენ მიცვლებული საცმინელებათა ფილმებში. სტელას გული უჩქარდებოდა და თვალს ხუჭავდა, კადრი რომ გამქრალიყო. და კადრიც ქრებოდა. სტელაც კვდებოდა და არც კვდებოდა, თუმცა ბებიას თქმით, საშიში არც არაფერი იყო, თუკი იფხიზლებდი და მოქცევა არ გამოგეპარებოდა. „საათი, სტელა, — ეტყოდა ხოლმე ბებია, — მალევიდარა უნდა დააყენო და იქიდან დროულად ამოხვიდე. მაშინ არაფერია საშიში.“

წყნარი, უქარო ამინდი იყო. ყინავდა. მზის ალმაცერი სხივი თოვლს აბრწყინებდა და თვალს სტკენდა სტელას. სიციციტე ვერ არ სციოდა, რადგან თბილად ეცვა. ბენვის ქუდი ყურებს უფარავდა, რეზინის ჩექმები და ხელთათმანები კი წყალში დასველებიანგან დაიცავდა. ბებია წინ ფრთხილად მიაბიჯებდა, თითქოს ყინული შუშის იყო და ფეხქვეშ ჩაემსხვრეოდა. ბილიკი ოდნავ დამრეცად ეშვებოდა წყლისაკენ. სტელა ბებიას ნაფეხურებში დგამდა ფეხს და ცდილობდა, მის ნაკვალევს არ გადასცდებოდა. ვინც თოვლის უდაბნოში ცხოვრობს, კარგად იცის, რა ვერაგია მისი მოჩვენებით ერთფეროვნება. გგონია, ვითომ ეს გადათეთრებული სივრცე ყველგან ერთნაირია, თუმცა დანადრულ ველზე დადიხარ. ყოველ წამს შესაძლოა თოვლით ოდნავ დაფიფქული ყინულის ქერქი ჩაგიტყდეს და ვინ იცის, სად ჩავარდე. ბებია სეისმოგრაფის ალლოთი აგნებდა უსაფრთხო ბილიკს და უკვე მესამოცე წელია, შინ კიბორჩხალებით სავსე სათლი მოჰქონდა. ბე-

ბია ძალიან ამაყობდა ამით, და მართლაც, მის გარდა ვინ დაიკვებინდა დაბაში, რომ დელიკატესით სტუმრის მუდამ გამასპინძლება შეეძლო?! სტელა დიდი ხანია ეხვეწებოდა, თან წამიყოლო, მაგრამ ბებია უარობდა, წელს კი დასთანხმდა.

ახლა ისინი ოკეანისაკენ ჩადიოდნენ. ნაპირი კენჭოვანი იყო. ოკეანეს ალაგ-ალაგ თეთრი ზოლები სერავდა. თოვლით შესუდრული სანაპირო შაქრით გაპუდრულს ჰგავდა. ყინვა რომ არა, დეკორაცია გეგონებოდა. ანიმაციის დეკორაცია. სტელა ხამუშ-ხამუშ ისუნთქავდა მსუსხავ ჰაერს, თვალებსა და ცხვირზე თითქოს ნემსები ესობოდა. ბებია სანაპიროს მიუყვებოდა და ჩალრმავებულში შესაძრომს ეძებდა.

— მოვედით, სტელა! მოკუზულემა შეაბიჯეს თოვლის თალქვეშ, თან სავალს ფარნებით ინათებდნენ. მოლურჯო სინათლის ზოლში ჩანდა წყლის ჭავლი და მრგვლად აციმციმებული კენჭები, ვილაცის თვალებს რომ ჰგავდნენ. რვაფეხას საცეცხვზე ასხმულ თვალებს. რვაფეხა მძიმედ ახელდა სათითაოდ ამ თვალებს და სტელას უცქერდა. გაივლიდი იმ ადგილს და თვალის ქრებოდა, რადგან მხოლოდ სინათლე აცოცხლებდა მათ. რალაცი თეფერეკს ჰგავდა, ოლონდ უშნოს, როცა ცეცხლი კი ენთება, მაგრამ არც იწვის და არც მუშხუნებს.

ბებია ნაცნობ ადგილას ჩაცუცქდა, წყალში ხელი წაყო. სტელაც გვერდით მიუცუცქდა და ფარნით უნათებდა. რამდენიმე ცალი რომ ამოიყვანა, ბებია ახლა სტელას უჩვენა კიბორჩხალების საბუდარი და სტელამაც გაუბედავად წაავლო ერთ-ერთ მათგანს ხელთათმანიანი თითები. სათლში ჩაცვნილი კიბორჩხალები ოდნავი ტყაპუნის ექოს გამოსცემდნენ. სტელა და ბებია მისი მარჯვედ და დაულალავად მუშაობდნენ. ათი წუთი კიბორჩხალებს ტყაპა-ტყუპი გაუდიოდათ სათლში და თითქმის სანახევროდაც აავსეს. მერე ბებია საათს დახედა.

— უნდა წავიდე, სტელა, კმარა. მოქცევამდე კიდევ ხუთი წუთი იყო. შეიძლება ათიც. მაგრამ ოკეანეს ვერ ენდობოდი.

— დროა! შინ იმავ გზით დაბრუნდნენ, რა გზითაც აქ მოვიდნენ. დათოვლილ მინდორს ჯერ ისევ აჩნდა თოვლმავალის კვალი. სტელა უკან შემოსჯდომოდა ბებიას და ხელჯაგანი თითებით სათლი ჩაებლუჯა. ეზოსთან შეჩერდნენ თუ არა, გადმოხტა და სათლი სამზარეულოში შეიტანა. მერე ხელჯაგები წაიძრო, სველი სამოსი გამოიცვალა და თავის ოთახში მომყუდროვდა. სანოლზე მოკეცილმა, კომპიუტერი მუხლზე დაიდო და ფეისბუქის ყველა მეგობარს დღევანდელი შთაბეჭდილება გაუზიარა. ფოტოებიც დაუფზავნა. თანაკლასელებსაც ელაპარაკა მობილური ტელეფონით და მათაც ჩაუფადო ფოტოები ვოთსაპით.

ერთი საათის შემდეგ ბებია სამზარეულოდან გამოსძახა: — გამოდი, სტელა, ვივანშმოთ. კიბორჩხალას წვნიანი გემრიელი იყო. სტუმრად მეზობელი ქალები ჰყავდათ. ისინი სტელას და ბებიას აქებდნენ და კიბორჩხალებს ხარბად ნთქავდნენ. სტელა თავს ამაყად გრძობდა. აკი გაბედა და ბებიას ყინულქვეშ ჩაჰყვია. ეს წარმოუდგენელი სიმამაცე იყო. ლოგინშიაც ახარებდა წარმოუდგენელი გამბედაობის შეგნება. თბილ საბანში ჩაფუთულს, კვლავდაკვლავ აგონდებოდა ყინულის მინის-

ქვეშეთი, ფარნის სხივი, წყალში გარინდული კობორჩხალები... თანდათან მინისქვეშეთი დაშორდა სტელას, თითქოს დედამინის ორბიტას მოსწყდა და მალე წავიდა, სტელას კი წონა დაეკარგა და ახლა უსხეულმყოფელად ფარფატებდა წვეარამში. არ შეშინებია, რადგან იცოდა, რომ ეს მისი ეთერული ორეული მიიღტვოდა ზეციური სავანისაკენ, რომელიც ყინულოვან მინისქვეშეთს ჰგავდა და რომელიც, კობორჩხალების ნაცვლად, უამრავი მინისარი უსხეულო ვინმე ფუთფუთებდა. «გაბედე, არა, სტელა?» — ეკითხებოდნენ ისინი ქოროდ და სტელაც ნელა შესრიალდა ოდნავი ნათლით გაბაცვებულ მინისქვეშეთში, სადაც მორიგ მგზავრობამდე უნდა ელოდა ნიშნისათვის, თუ როდის მოუწევდა კვლავ მინაზე დაშვება...

ახლა ის კობორჩხა იყო და მხოლოდ თვალეტი შერჩენოდა ადამიანური... მზერა, რომელიც უტყვიდა და მომლოდინე... ანდა ვინ იცის, იქნებ კობორჩხალებიც იცქირებოდნენ ასე... სტელას აკი ახსოვდა მათი მზერა და შეშდებოდა, იფშხალებოდა, ნებისყოფა უქრებოდა ამ მარადიული მზერის პირისპირ...

გვირაბი

— ბაბუალ, მემანქანეს დავეღებარაკე-ბი, — ვთქვი და სკამიდან წამოვდექი. იულიამ ქვემოდან შემომხედა, შემფოთება შემატყვო და თავადაც თვალეტი მიში ჩაუდგა. ხუმრობა ხომ არ იყო, ამდენი ხანი გვირაბში მივდიოდით, ბოლო კი არ ჩანდა. სხვა მგზავრებს გადავხედე. არც ერთ მათგანს ალბათ არ უეჭვია, რომ შესაძლოა მატარებელი გზას ასცდა. «ფრთხილად,» — მომაძახა იულიამ, სანამ ტამბურში გავიდოდი. გაფრთხილება იქნებ დროულიც იყო, თუმცა ამო, რადგან წინა ვაგონის კარი დაკეტილი დამხვდა. ტამბურში კარგა ხანს ვიყურებოდი, ვიდრე ისევე ჩემს ადგილას დაგვრუნდებოდი. იულია იქ აღარ იყო. მის მაგივრად ვილაღე კაცი აპკვროდა სარკმლის მინას. ხმადაბლა მივესალმე და გვერდით მივეუჯექი. იულია აღარც კი გამხსენებია. ვაგონის რწევაზე ჩამთვლიმა და ნელ-ნელა ისიც დამავიწყდა, მემანქანის ნახვა რომ მინდოდა.

«ეს ახალი თაობის მატარებელია,» — მითხრა ჩემმა თანამგზავრმა და თავი ჩემკენ შემოაბრუნა. მე იულიას თვალეტი დავინახე. თუ მომჩვენა?

«ჰო, — დავეთანხმე და ისევე თვლემამ წამილო, — მემანქანე არ ჰყავს, თავისით დადის.»

სკამის საზურგეს მივეყრდენი და თვლემას დავენებდი. იულია აღარ გამხსენებია. მალე ალბათ გვირაბიდან გავიდოდით...

სარკმელთან

— ბაბუაჩენებო ფანჯარასთან ზიხარ? — ჩემი და სარკმელს სველი ჩვრით ხელში მოუახლოვდა, — განა აქედან რამეს დაინახავ?

აქ შემთხვევით ვარ-მეთქი, ვუთხარი... ეს შეიძლებოდა კედელი ყოფილიყო, ყორე, გალავანი, წინააღობა რაიმე...

— შემთხვევით? ეს რას ნიშნავს? — ვილაღე ჭრის სარკმელს კედელში, ოღონდ მინის განმწმენდა ავიწყდება. ამიტომ ნუ გგონია, ვითომ მუშის გაპრიალება შეგიძლია. ნურც ფანჯარაში გაიხედავ. იჯექი და ელოდე, სანამ ვინმე მინას ჩაამსხვრევს, თუმცა ეს ცუდია.

— კარგი რაღაა? — მკითხა სანყლად. — ლოდინი... უიმედო ლოდინი, რაც მიზანს გვიცვლის.

ჭანთან

ღამით ციოდა. ძალღებს მოკუნტულებს ეძინათ. დილით ვილაღე მანანალამ შუკაში ჩაიარა. გავიგონე, როგორ სთხოვდა ის მეზობლის გოგონას: «წყალი დამალევიწე.»

«დედად უცხოებთან ლაპარაკი ამიკრძალა.»

«მე არ მიცნობ?»

«არასოდეს მინახიხართ, ბატონო.»

«გგონია, ამ სოფელში არასოდეს გამივიდია?»

გოგონას ხმაში დახმარების თხოვნა

უდერდა. სარკმელი გავაღე და უცნობს გავძახე:

«ბავშვს როგორ ელაპარაკები! წყალი თუ გინდა, თავად ამოიღე ჭიდან, სათლი მანდვეა!»

მანანალამ შემომხედა და თითი მომაშვირა:

«შენ... შენნაირები ურევენ ქვეყანას! რატომ არ გინდა, რომ ამ ბავშვმა წყალი მასვას?»

«იმიტომ, რომ პატარაა და ეშინია შენი... გასწი, გავგეცალე. გამჩნევ, როდი გწყურია, არამედ ბავშვების გახრწნა გინდა!»

«ჰა-ჰა! — ნაძალადევად გადაიხარხარა უცნობმა, — თქვენ კი წყლის ნაცვლად შხამს შემასმევთ, არა?! და მშვენივრად დაგეძინებთ თვითიკის ლოგინში, გერმის ბუმბულიან ბალიშებზე თავებმდებულებს... მაგრამ ვერ ელირსებით.»



ის ნავიდა, მე კი გოგონას დავუყვირე: «ფრთხილად იყავი, გოგონი, დედას დაუჯერე ხოლმე.»

«მართლა უცხო იყო და ჩვენს სოფელში არასოდეს ყოფილა?» — მკითხა მან.

«ათასი ვინმე დაძრწის გზა-შარაზე, ნურავის ენდობ!» — ვთქვი და სარკმელი მივხურე, რადგან საუბრის გაგრძელება აღარ შემეძლო.

უცნობი ნიკოლოზ

შპშპშპშპს სასაფლაოს გარეთ მარხავდნენ და ამიტომ ფორანი პეტრე-პავლეს საგოდებელს გვერდიდან მიადგა და არა ჩიშკრიდან. კედლის გასწვრივ მუშებს უკვე გაეჭრათ ორმო მიცვალებულისათვის. მედროვე და საავადმყოფოს ფერშალი კოფოდან ჩამოხდნენ და მუშების დახმარებით ფიჭვის კუბო ფორნიდან გადმოიღეს.

— გაიქე, ხოდელი, მღვდელი მოიყვან... მუშები მინაყრილზე ისხდნენ და ისვენებდნენ. მედროვე ნეკოს ახვევდა გაზეთის ნაგლეჯში. აღვირის ჭერით გაშავრეინავებულ თითებზე იფურთხებდა და ქალაღდს ასროსოლავებდა. ტანდაბალი კაცი იყო, ლამის ჩია, თუმცა გამძლე, მაგარი.

— სანყალი...

— რა უპატრონოდ მაჰკვდა, კაცო...

— ეჰ, ლოთობამ გადაიყოლა, განა არა...

— ამბობენ, არაყი ჰყვარებია.

— არაყი ვის არ უყვარს!

ამაზე მუშებმა გაიცინეს. ფერშალი კი მაინც შეწუხებული ჩანდა. მალე მღვდელი გამოჩნდა. უკან დიაკვანი მოჰყვებოდა. მუშები მინაყრილიდან ნამოხტნენ და ქუდები მოიშვლიეს. მღვდელმა ლოცვა წარმოთქვა. დიაკვანი წესის აგებაში ეხმარებოდა.

— რა ერქვა, შვილო?

— ნიკალა, ნიკო.

— შენი ვინ იყო?

— არავინ... ნაცნობი...

— მაღლი გიქნია, რო წესის აუგებლად არ დამარხე.

ფერშალმა ჯიბე მოიქექა და დიაკვანს ფლური გაუწოდა.

— დიდი მადლობელი, მამაო.

— რა სამადლობელია, შვილო, ყველანი სიკვდილის შვილები ვართ.

კუბო ორმოში ჩაუშვეს. მღვდელი ნავიდა. დიაკვანი ისევე უკან გაჰყვა. მუშებმა საფლავეზე მინა მოამრგვალეს და გადატეხილი ბარის ტარი ჯვრის სახედ ჩაასვეს. ფერშალი მღვდარედ დააცქერდა საფლავეს.

— ნამო, თითო ჭიქა ნაფუქციოთ, შენდობა ვსთქვათ, — მედროვეს უთხრა მერე, — მუშებიც წამოიყვან.

— რათ უნდა დაიხარჯო! აკი აწირვინე კიდევცა...

— ეგ მე ვიცი.

— ისე, კაი კაცი იყო, სანყალი, უბოროტო...

მუშებმა ნიჩბები კედელთან მიმალეს ჩრდილში.

— ხოდელი, შენ აქ დარჩი, უყარაული, ხელს არავინ გააყოლოს.

— რათა, ეგეც წამოვიდეს, ლუქმას მაინც გასტეხს, მადლია.

— კარქი, მამ ადრე მობრუნდი დუქნიდან.

ფერშალი მესაფლავეებს მახლობელი დუქნისაკენ გაუძღვა. დუქნის კარს ზემოთ, აბრაზე, ფერადებით ეხატა ღვინის ხელადა და ნახევარმთვარესავით გაღუნული ხშიაღი. მედროვემ თავი გადააქნია.

— იმ სანყალის დახატულია.

— ვაჰ, რა უპატრონოდ მაჰკვდა, კაცო!

— წყლის მიმწოდებელიც არავინ ჰყოლია.

— ამბობენ, ვითომ არაყმარ, ჰა...

ამჯერად აღარავის გასცინებია. მუშები ქუდმოხდილები შელაგდნენ დუქანში, ყრმა ხოდელს კი მზერა შესტაცა ნახატმა, კართან შეეყოვნდა.

— რა ჩავნერო, მამაო? — ჰკითხა დავთარზე ნახრილმა დიაკვანმა მღვდელს.

— მიცვალებულს რა ერქვა?

— ნიკო, ნიკოლოზი.

— გვარი?

— არ უთქვამთ.

— რად არ ჰკითხე?

— იჰ, რა ვიცი, გადამქართულდა, ველარ მოვიგონე.

მღვდელი დაეცმუნდა და ცოტა ხნის მერე ბრძანა:

— ჩასწერე: უცნობი ნიკოლოზ. გვარს კი ვინ გამოეკიდება, აკი უპოვარი იყო.

აკვლელი თაიგული რეტროდეტექტივი

ეგრეთი წოდებული ყვავილების საქმე და ჰენტი-იაბტის ნომარქოსის სახლში მომხდარი მკვლელობა გამოძიებულ კამენისათვის ის შემთხვევა იყო, როცა გარემოებათა თანხვედრის გამო, სრულიად მოულოდნელად დანაშაულის ადგილას აღმოჩნდა. თავად კამენის აზრით, ამ ამბავში ღმერთების ხელი ერია. კამენის ხომ მტკიცედ სწამდა, რომ ამქვეყნად მისი დანიშნულება სიავისა და უბედურების მხილება იყო, ღმერთები კი ამკარად თუ ფარულად შეენეოდნენ. ასე მოხდა ამჯერადაც, როცა გასულ ზაფხულს ის შორეულმა ნათესავმა მიიწვია სტუმრად ქვემო ეგვიპტეში.

«მართალია, ზაფხულს აქ, ჩემს მამულში ვატარებ ხოლმე, მაგრამ იმ კაცმა აზრი შემაცვლევინა, როცა აღმითქვა, რომ მშობლიური მხარის ეგზოტიკურ მცენარეულობას მიჩვენებდა, — გამენდო ჩემი მეგობარი, — ხომ იცი, რამერი, დიდი ხანია, მცენარეთა სამყაროს ვიკვლევ და მინდა, ნამრომიც კი დავწერო მათ განმასხვავებელ ნიშან-თვისებათა შესახებ, განსაკუთრებით ყვავილების, რომლებიც სამკურნალო საშუალებად გამოიყენება.»

მენფეს ქურუმთა სკოლის აღზრდილი, კამენი მართლაც შემთხვევით გახდა გამოძიებელი. ფარმაკოლოგიის ცოდნა ხომ მკურნალის დიდებას უქადა და მან განაცხადიც კი შეიტანა სიცოცხლის სახლში საექიმო ნებართვის ასაღებად. ისე კი მოხდა, რომ ის (შემთხვევით?!), ფარაონის სასახლეში მხევის მკვლელობას შეესწრო და დამნაშავე სწრაფად და მარჯვედ გამოაამკარავა, რის შემდეგაც სამეფო პროკურორმა გამოძიებლობა შესთავაზა. ჩემმა მეგობარმაც მალე მოიპოვა სახელიც და დიდებაც, ოღონდ არა ექიმის, არამედ ჩინებული და გონიერი გამოძიებლის და მეფის კარზეც თანამდებობრივად დაწინაურდა. როცა მე ვავიცანი, ის უკვე საიდუმლო სამსახურის უფროსი თანამშრომელი იყო და ჯაშუშთა საკმაოდ ფართო ქსელსაც ხელმძღვანელობდა, თუმცა წინანდებურად უყვარდა ყვავილები... რა გასაკვირია, რომ იოლად ეცთუნებინა დაპირებას, ჰენტი-იაბტის ნომში უცხო და უცნობი ფლორის კვლევისა და დაკვირვების საშუალება გექნებოდა. ისარგებლა რა სამეფოში შედარებითი სიმშვიდით, კამენიმაც მცირე ხნით შევბუღება გამოსთხოვა სამეფო პროკურორს და ნათესავ კაცს გაჰყვა ჰენტი-იაბტის ნომში.

ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთები კი იცინოდნენო. რა იცოდა ჩემმა საბრალო მეგობარმა, რომ დასვენების ნაცვლად მკვლელობის გამოძიება მოუწევდა! კამენი მხოლოდ საქმის დასრულების შემდეგ მიხვდა, რომ მისი გამომგზავრება ჰენტი-იაბტის ნომში ღმერთების ჩანაფიქრი იყო — მათ ხომ წინასწარ უწყოდნენ, რა საზარელი დანაშაულიც მზადდებოდა და თავიანთი რჩეულიც დროულად მიაფრინეს ბოროტმოქმედთა სამხილებლად...

ამრიგად, გასული წლის პაუზუს თვეში, ფარაონის ზეობის მეცამეტე წელს, კამენი სტუმრად იყო ნათესავთან და ჯერაც მგზავრობის მტვერი არ ჩამოეფერთხა, როცა დილით მასპინძელი მის ოთახში შეიჭრა და ლამის ტირილით აცნობა, ნომარქოსის მსახური მოკლესო.

— სად? — ჰკითხა კამენიმ და სპილენძის თასში თითები ჩაყო, რათა ნამძინარევი სახე გაეგრილებინა.

— ბაღში, როცა ბატონისათვის ყვავილები მიჰქონდა.

— მკვლელი ვინმე შენიშნა?

— არა.

— მოკლულს ძალადობის ნიშნები თუ ეტყოდა?

— არა, მაგრამ ვფიქრობ, ის მონამლეს.

— ჰო, მაგრამ მსახურის სიკვდილი, თუნდაც მკვლელობა ნუთუ იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ასე ადრინად გამაღვიძო?! ხომ მატყობ, რა ტანჯულივით მეძინა, სახე და ხელები მთლად დასივებული მაქვს კოლოს ნაკებნისაგან.

— გემუდარები, კამენი, ეს საქმე გამოიძიე, ნომარქოსიც გთხოვს...

— როგორ, მან იცის, რომ...

მასპინძელი დადუმდა და გაკვეთილის უცოდნელ ყრმასავით ჩაჰკიდა თავი. კამენი ხომ წინასწარი შეთანხმებით, აქ ინკოლონიტოდ სტუმრობდა, რაღაი ესოდნენ მალალი ხარისხის მოხელე, ვინაობის გამხელის შემთხვევაში, თავს ველარ დაიხსნიდა გაუთავებელი ნადიმებისა და მთხოვნელებისაგან. ამიტომაც მან პირობა დაადებინა მასპინძელს, ნომარქოსის მწერალს, თავად ნომარქოსისათვისაც კი დაეშალა მისი ვინაობა, მაგრამ მასპინძელმა, როგორც ვნახეთ, პირობა არ შეუსრულა.

— ხომ გავაფრთხილე, რომ აქ ჩემი სახელი არ გეხსენებინა!



სოსო მეშველიანი

უთვისტომო

„ვერ ვერ დაუდვია კეთილი საწყისი ჩემს სინანულს“.
ეფრემ ასური

ამ უსიცოცხლო სიმღერისგან ჩაინთხა ყელი
მიტოვებული სახლის ბუხრის საკვამურით.
აქ რას ვუმღერო შიშით სავსე უცხო ქალაქში?
სასონარკვეთას?!

იქნებ დარჩა სადმე ადგილი,
სად მწიფს სამყარო

ანთებული ხორბლის მინდვრებით,
სადაც ჰაერი მწიფობისთვის ისე მძიმდება,
მსუბუქად ფრენა პეპლებს უჭირთ —
ხტუნვა კალიებს.

შენი ცაც მღვრიე გუბესავით დაინმინდება,
გალეე სავალ გზას, ღირსეულთა როგორც გალიეს.

ვისაც სულ გახსოვს შამბიანი ველობი, ფშანი,
სად ულამაზო მურყნები დგას, ჯაგრცხილა, ძელქვა.
ფერისცვალობის გრილ ღამეში იქ ისვენებდნენ,
ღამეს ათევენდენ მიმაგაღნი შორეულ მთებში,
ისმოდან ბნელში გახვითქული ხარების ქმენა,
ძალეები ყეფით აწყდებოდნენ გაუვალ ძეძვნარს,
წავიდა ყველა, აჩრდილები დაძრწინან ახლა.

— ეს რა დავა აქვთ?

მაინც რაზე ვერ თანხმდებიან?

— ზოგს სწამს, ზოგს — არა,

მიტევების და ღვთის წყალობის!

— ეს რა ხმა ისმის ტყის სიღრმიდან? ეს რა ხმებია?

— ღამის მეხრეთა სარაგია*, ცივი წყარო დის.

*სარაგ (სვან.) — წყარო.

ქვაზე სატვის ოსტატი

ვახტანგ ქანთარია

რატომღაც ყველა ილიმის.
ბიჭი, რომელიც ტრაილერმა გაიტანა,
კაცი, რომელიც შეიღმა მოკლა,
ქალი, რომელმაც თავი ჩამოიხრჩო.

ყველა ილიმის,
თითქოს ყველა ჩემზე ბედნიერია.

მე მოწყენილი გავყურებ
ჩემი პირქუში სახელოსნოდან
მზის გულზე მოყვავილე ტყემლებს,
ესენი კი...
ილიმიან.

— იქნებ წინა ცხოვრებაში

პეტროგლიფების ოსტატი იყავი! —

დამცინა ერთხელ ჩემმა მთვრალმა მეზობელმა.
იქნებ მართლა!

იქნებ იქიდან აჰყვა ჩემს სიზმრებს მღვიმეების ნესტი,
ყველაფერი რომ ჩამოშალა,
გარდა ამ მომღიმარი სახეებისა.

შეიმოგომა 2016

რა კარგი დღეა!

ზის პოეტი და გაჰყურებს ორლობეს,
სადაც გაყვითლებულ ხეებქვეშ
უხვად ყრია ნაბლი და კაკალი
უკვე დათრთვილულ ფოთლებში,
რომლის აკრეფასაც არავინ ჩქარობს,
არც მორღვეული ღობის შეკეთებას.

ჯერაც მწვანედ ხასხასებს ძალღყურძენას ტვერი
ამ საყოველთაო სიყვითლეში.

მართლა რა კარგი დღეა,

პოეტური —

პოეტი კი ზის და არა ლექსზე —

პანდემიით განყვეტილ ღორებზე ფიქრობს.

შოგის წინა დღე უღალატისილზე

ნინო გუგუშაშვილს

გამოვცდი ორბელს, იანვრის სისხამ
დილით, ჩხართვებმა მორთეს ჩხავილი,
სად ტყეში ზღმარტლი და კვიდო ისხამს
(უკვე შორს დარჩა, ონი და ლები).
რა საცოდავად წინკნიან ხის ხავს
ბებერ, დათოვლილ რცხილებქვეშ თხები.

ათოვს ღარიბულ ფიცრულს თუ დიდ ქობს,
იქვე ცირციტა თამაშობს ბავშვი
და ყველაფერი რიგზეა თითქოს,
მაგრამ ოჯახი ამასობაში

იზოგავს თეთრ ფქვილს ამ დღისთვის, მაგარ
ღვინოს, ღორსა თუ მოსახარმ ხორბალს*.
ქობი, გომური და თბილი ბაგა
მაინც რარიგად უხდება შობას.

*მოსახარმ ხორბალი — იგულისხმება ჭანტილობა —
უძველესი ტრადიცია, როცა შობის წინა დღეს ხორბალს
ხარშავენ და ხან თაფლს, ხანაც ნიგოზს ურევენ.

შინდაბრუნება

სახლია ახსოვს,
ვერც იხსენებს ხაენს* და კადისს**.
ახლა იმ სახლთან
მზერა აფრთხობს შემცბარი კატის.
გადააბიჯა მძინარე ძალს აჩრდილმა ღამის,
ხმელი ფოთლებით მიმოფენილ ეზოში დადის.

*ხაენი და **კადისი — ანდალუსიის პროვინციები.

ღელუქითი. გავშვობის სახლი

მთვარიან ღამით
ძველ ტყისპირა სახლის წინ დგახარ,
ხელებს იშვერ და
გემინია შინ შესვლის, რახან
ბოლომდე ღია, უსიცოცხლო სახლის კარები
მოჩანს ახლოდან პირდაფრეხილ სიკვდილის ხახად.

უიმილოა

აზრი რომ არ აქვს
და არც იშლი ამ მოთქმა-ღაღადს,
ამ სიბნელეში რაღაც მოკვდა,
აქ ჩაღმა რაღაც...
ბოლოს პოეტიც ყველასაგან გაბრიყვებული,
სახედარევით თუ დაღუჭავს
ამ წყეულ ქალღაღადს.

ნაშუალამი

ნიადაკურილი ტბასავით ირხევა
გააზრებული სიზმრის ზედაპირი,
თუკი ძილშიც მოგწვდება
სადაც ერთმანეთს აყოლილი ძაღლების ყეფა.

სუნი

ჰაერში ფარფატებს და ბზინავს
შიგნით შემოჭრილ მზის სინათლეზე
უკვე მიხრწნილი ძაღლის ბენვი.
ამაოდ ვანიავებ სახლს,
ეს სუნი სიკვდილზე ჯიუტია.

უღიმიამოა

ჩემს ლექსებში აგრძელებენ შრიასლ
ნემომპალად ქცეული ფოთლები,
პირიქით სჯობდა, ყოფილიყო.



ქეთევან ნათელაძე

ილოცე ჩემთვის

საბჭედ მანქანას, ხმელ ყვავილებს მტვერი ედება,
ამაოება ჩანს ფანჯრიდან, მკვდარი ედემი,
მზის წითელ შუქში გადაბნეული სილუეტები
კაცის და ქალის, ჩამოშლილი სილუეტები...

და ქურჩის ძაღლი, რომ მოათრევს ძვლების ნარჩენებს,
სადაც შუკიდან კუდის ქნევით მოიპარება,
გვერდით ჩაუვლის დაშლილ ჩრდილებს,
თითქოს ქალაქი

ყრუ შეძახილით ივსება და ცხელი ქარებით.

ილოცე ჩემთვის იშვიათად, მე შენ ყოველთვის
გისხენებ ნაზი სიყვარულით, როგორც მეგობარს,
ილოცე ზოგჯერ და იფიქრე მკვდარ ყვავილებზე,
ისინი უფრო ადრე მოკვდნენ, ვიდრე მეგონა.

და უფრო ადრე, რისიც მწამდა, ქარმა ნაილო,
როგორც მინდორში გაბნეული ფეტვის მარცვლები,
როგორც სურნელი აკაცის თეთრი ყვავილის,
რომელიც გვიან გაზაფხულზე გაიძარცვება.

ილოცე ჩემთვის, ილოცებდი, როგორც ბავშვისთვის,
რომელმაც სახლში დაბრუნება აღარ ინება
და უგზოუკვლო ხეტიალით ძალგამოცლილს
სადაც შორს, თვის მალალ ზვინში, ჩაეძინება,

იმ იმედით, რომ მიაგნებენ, რომ მიაგნებენ.
მეხვევა ყელზე სინამდვილე, როგორც ბანარი,
ის ყველაფერი, რაც მიყვარდა, რაც არ მიყვარდა
და ისიც, რისი შეყვარებაც ვერ მოვასწარი.

ილოცე ჩემთვის, როცა ელავს, როცა ღამეა,
შენ სასწაული გაეღვების ნათლით მოცულთ,
ჩემს სამყოფელში შესაძლოა ისე დაღამდა,
ისე ავად ვარ, რომ ლოცვითაც ვეღარ ვლოცულობ.

ეს მოგონებაც, თითქოს ბნელში ჭრაქი ანათებს...
მე ხვალაც ასე გაგიხსენებ, როგორც მეგობარს,
როგორც ყველაზე ახლობელ და ძვირფას მეგობარს,
ილოცე ჩემთვის და იფიქრე მკვდარ ყვავილებზე,
მე რომ მეგონა, რომ მეგონა, მე რომ მეგონა.

ომი. უკრაინა

მამის ხსოვნას

შენ რომ ცხოვრობდი, ის ქალაქი დაბომბეს, მამა...
თოვლის ქალაქი, რომ გზავნიდა თოვლის ბარათებს,
შავი ჭურვები — საზარელი შავი ჩიტები,
იქ ჩამოცვივდნენ და თოვლზეც კი ცეცხლი დაანთეს.

თუმცა არასდროს იმ ქალაქში არ ვარ ნამყოფი,
მოიცვა მაინც მისმა ბედმა გულიც, გონებაც,
შენ რომ სტუმრობდი, მამა, იქნებ იმ ძველ შესახვევს
ომის ურჩხული ცეცხლს აფრქვევს და ეპატრონება...

იქნებ ის სახლიც ვერ გადარჩა, სადაც ცხოვრობდი,
ცა დაიფარა ჯოჯოხეთურ ალის მტევნებით,
შენი ოთახიც, რომ უმზერდა ფართო მოედანს,
ნაბლის ხეებით დამშვენებულს და შადრევნებით

იქნებ იმ ცეცხლმა, ომის ცეცხლმა შთანთქა მთლიანად,
სადღაც ძლიერად უბედობის ზარმა დარეკა,
და იმ ოთახში ჩრდილი შენი ახალგაზრდობის
თოვლს შეუერთდა, მაგრამ იმ თოვლს თოვლი არ ერქვა.

გათენებამდე ის ქალაქი დაბომბეს, მამა,
ბევრი წლის წინათ რომ ცხოვრობდი (შეძრეს ქვეყანა),
გუმბათებზე და ანგელოზთა დაშვებულ ფრთებზე
მიიმედ დაჭრილი, ნაომარი თოვლი ეყარა.

დაახარისხებს ვინმე ომის თარიღებს სასტიკს,
იყო სიბნელე, იყო ომი, არა იყო რა...
მე მტკივა ცეცხლში, ნანგრევებში ქალაქმა თითქოს
სიზმარი შენი სიჭაბუკის თან ჩაიყოლა.

გათენებამდე ის ქალაქი... ეფიქრობ და წამით
აუტანელი, ეკლიანი დარდი ღვივდება,
ასე არცერთი სხვა ნგრევის ხმა არ შემაფხიზლებს,
ასე არცერთი სხვა ქალაქი არ ამტკიცდება.

სულ ერთ ღამეში ცოტავდება ზოგჯერ სამყარო,
იქ კი ხეებიც მარტოსულად იდგებიან ობლები,
ჩვენ გვიყვარს შვილებს ის ქვეყნები, ის ქალაქები,
ბევრი წლის წინათ რომ ცხოვრობდნენ ჩვენი მშობლები.

ლამაზები და ძლიერნი და ჩვენი ტოლები
(თუნდაც დროებით ჩამსვლელებად,
თუნდაც მდგომარეობად),
ჩვენ გვიყვარს შვილებს ქალაქები ჩვენი მშობლების,
იქ ჩვენი წილი უფალი და მზე გვეგულება.

შენ რომ ცხოვრობდი, ის ქალაქი დაბომბეს, მამა,
თოვლის ქალაქი, შავი ფერფლი დარჩა ომიდან,
იქ ჩაიფრინეს საზარელმა შავმა ჩიტებმა
და იმ ქალაქში გაზაფხული აღარ მოვიდა...

შენ რომ ცხოვრობდი, ის ქალაქი დაბომბეს, მამა...

ნანგრევები

არ გიფიქრია? ნანგრევების იდუმალ ხიბლზე,
რა ნამდვილია მათი ყოფა, როგორი მტკიცე,
რამდენი უნდა აიტანო, რამდენი შეძლო,
რამდენი უნდა იტვირთო, რომ ნანგრევად იქცე.
დადგება დღე და ძველებურად ვერაფერს იგრძნობ,
უყურებ ცას და თვალს უკუნეთ სიბნელეს აჩვენებ,
რამდენჯერ უნდა გატკინონ, რომ დაიწყო დაშლა,
რამდენად უნდა გიყვარდეს, რომ ნანგრევი დარჩე.
და აღარასდროს არ აშენდე, არასდროს აღარ,
რადგან იცოდე ნგრევის ფასი და არა მხოლოდ...
იდგე საკუთარ ნანგრევების დიდებულ ჩრდილში
და იმ ჩრდილშივე მზის შუქით კვებობდე ბოლოს.
ვიდრე ნავლეკავს მარადმყოფი დინება ჭამის,
ვიდრე დაგვეკარგავს საკუთარი სიმცირის კვალი,
სულ ერთი წამით, მხოლოდ ერთი წუთით თუ წამით,
რა ლამაზია ნანგრევები, შეავლე თვალი.

ვიდრე ნაპირზე თევზებით გამოორიყავდა,
მე მას შორეულ ვარსკვლავებზე ფიქრით ვავსებდი,
იქნებ ეს წამი უკვე იყო, უკვე მიყვარდა,
იქნებ ამ წყალში დიდი ხნის წინ უკვე დავსველდი.

და ამიტომაც აღარ მაკრთობს მისი სიცივე,
აღარ მიზიდავს ღრუბლებით მასზე ოცნება,
იქნებ ამ ფიქრით და ამ სევდით უკვე ვიცხოვრე,
იქნებ ფანჯრებში უკვე ჩანდა ეს ფოთოლცვენა,

დარიჩინისფრად შეღებილი და მომაკვდავი.
იქნებ ამიტომ ვეღარ ვხედავ მასთან მსგავსებას,
რომ ერთხელ უკვე დავემგვანე
მის მკვდარ სიყვითლეს
და მერე დიდხანს ყველა ცხადზე ცხადად მახსოვდა...

ხომ დგება წუთი, არაფერი რომ არ გაკვირვებს,
დღეები უშნოდ მიკერებულს რომ ჰგავს საყვლოს,
იქნებ მე უკვე სიყვარულზე მითხრეს ყოველი
და აღარაფერს შეუძლია, რომ ამაღლდეს.

ჩაივლის ეს დროც, საკუთარ თავს ვეცყვი — არ ღირდა,
რეკდა უთქმელი სინანულის ხან ხმა, ხან — ზარი...
იქნებ ეს ცეცხლი ერთხელ უკვე ისე გაღვივდა,
რომ ახლა უკვე ვეღარ ჩნდება მისგან ხანძარი!

და ახლა ერთ დროს გადახდენილ დღეთა დეჟავუ
თავის თავს გამხმარ ნოემბერში ცოცხლად იმარხავს,
რომ ის, რაც ხდება, დიდი ხნის წინ უკვე მომხდარა,
და რასაც ვხედავ, დიდი ხნის წინ უკვე მინახავს.

მე არ ვიყავი შენი კატა, წვიმიდან სველი
არ მოვდიოდი ღამლამობით, არც სახლის კართან
გიცდიდი ხოლმე, არ გეძახდი, არ გთხოვდი შველას,
არც შენს საწოლში არ მეძინა, როგორც შენს კატას.

შენ არ გათბობდა ჩემი ცხელი მზებების ველი.
შენი დარჩენაც თმენას ჰგავდა და არა ლოდინს,
ვუსმენდი მარტო გიგანტური კედლების ყვირილს,
რომელსაც სხვები ვერ ხედავდნენ,
მხოლოდ მე ვგრძნობდი,

როგორ განვიტოდა არსებობა, დაფარა ქვიშამ
ის სევდიანი ასწლეული, სადაც არ მიხმე,
სადაც დაღლილი ჩვენი ღმერთი არაფრად იშვა,
რომ ვერასოდეს ვერ გაგვეგო იმ წყლების სიღრმე,

მეოცნებეთა აფეთქებდნენ რომელშიც გემებს
და გაფურბოდით, როგორც რაღაც საშინელ ფრინველს,
ჩვენ ვერ გავიგეთ, ვერასოდეს გავიგებთ უკვე,
თუ როგორია მათი ღელვის ნამდვილი შუქი.

და რა მოხდება, ერთ დღეს ეს ცა რომ იქცეს სარკედ,
იქ ვპოულობდეთ ყველა პასუხს, ყველაფრის სახელს,
თორემ აქ უკვე მონამღვლი ვარდები ამკობს,
მიტოვებული კათედრალის დაბზარულ თაღებს...

და ყოფა ასე გამოხრული, ასეთი მჩატი,
როგორც სიზმარი, როგორც ერთი ნაჭერი ყველის,
აღარ მოიცდის სახლის კართან, არ დაგიძახებს
და მითუმეტეს არასოდეს არ ითხოვს შველას.

მე არ ვიყავი შენი კატა და როგორც ქალი,
არ გავყვარებდი საკუთარ შიშს, საკუთარ სევდას,
ფარულ სურვილებს, ღამესავით საეჭვო ზრახვებს,
არ გკარნახობდი, არ გაძლევდი მაგიურ ნიშანს,
წყალმა და ქვიშამ გადაფარა ძვირფასი სახე,
ღმერთი ეშმაკად და ეშმაკი კი ღმერთად იშვა.

სიყვარული

მარტო შევედივარ მდინარეში, აღარ გაკავებ,
ამომენურა გადარჩენის ყველა ვერსია,
დაადგებოდეს ვიდრე ვინმე ჩვენს ცხელ ნაკვალევს
და ვიდრე ყნოსვით მოგვაგნებდნენ, ვიდრე გვესვრიან...
უნდა გახსოვდეს — არ გაჩერდე, არ მოიხედო,
ჩემს სიბნელეში მეტი შუქი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეტი თოვლი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში, შესაძლოა, მეც არ ვიქნები.

შემორჩა ბილიკს მონამღვლი კვალი ისრების,
რაც არ ყოფილა, უკვე გაჩნდა ყველა ის ბზარი,
რაც სიყვარულით აღარასდროს ამოვიგება,
უკვე ყველა ხემ იშრიალა ჩვენი სიზმარი.
უკვე ყველა დღე ჩვენი ყოფნის მწუხრით დაღამდა,
ყველა ღრუბელმა ჩამოშვა ფრთები მიწამდე,
ეს არის, რასაც ვაცოცხლებდი, რასაც ვმარხავდი,
ჩემს სიბნელეში არ იქნება მეტი სიციხადე.
და შენ ერთ დღესაც დაიჯერებ, ჩათვლი, ყალბია,
აქ რაც იხილე — ეს ხეები, ეს ტყის სულები,
სხვადასხვა მხარეს გავიქცევით, როგორც გარბიან
შეყვარებული მაქციები და ურჩხულები.
ვეძებ მკვდარ სიტყვებს,

რას იტყვიან მკვდარი სიტყვები,
გონების თვალთ დახახული ღამის ჩრდილები,
რომ სიყვარული ბოროტებით არ დაიღალა,
ეს საშინელი სიყვარული, ეს საშინელი.
რომ ილუზიას დაემგვანა მისი მიგნება,
ან შეიძლება ჩვენ დავეკარგეთ ნიჭი მიგნების;
ჩემს სიბნელეში მეტი შუქი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეტი ცეცხლი აღარ იქნება,
ჩემს სიბნელეში მეც სიბნელედ გარდავიქმნები.

ველური მსხლის ხე

როგორც მცენარეს, დღეებმა სევდის
ყინულზე ცივი წვიმები მისხეს,
ზაფხული იდგა, სოფლიდან გწერდი,
და სოფლის ბოლოს ველური მსხლის ხე

ყველაზე წმინდა რამ იყო სოფლად.
გული კი მხოლოდ წვიმებზე მწყდება,
ვის სჭირდებოდა ამგვარი ყოფა,
ჩანასახშივე ქცეული წყლებად.

როგორც ჯარისკაცს სავსე აქვს გული
ომში უდროოდ სიკვდილის ვნებით,
ჩვენ სიყვარულის ნავედით ომში,
ჩვენც აგვიყოლა სიკვდილის ვნებამ.

გული კი მხოლოდ წვიმებზე მწყდება,
ცა რომ ბროლივით მემსხვერვეთა თავზე,
შენი კოცნებით დაფარულ ტანზე
სხვა დროებითი კოცონი ჩნდება.

სხვა დროებითი ადრეები მკლავენ
უსახოდ მდგარნი გაღებულ კართან,
შენი კოცნებით დაფარულ მკლავებს
ვაგებებ სახლში შემოსულ ზამთარს.

ირჩევს გონება გარდასულ ნახატს
და თავს სევდიან ფიქრისგან იზღვევს,
როგორ ნაბილნეს ღორებმა მსხლის ხე
ტალახიანი, ბინძური დინგით.

და შემზარავი სიჩუმე ირგვლივ
ყველაზე დახშულ სმენასაც სწვდება,
ვინ დაიჯერებს სულელის მეტი,
რომ გული მხოლოდ წვიმებზე მწყდება,

ვინ დაიჯერებს სულელის მეტი.



დასასრული

— მაგრამ ისეთი უბედურება მოხდა... ნომარქოსი სასონარკვეთილია.

— რატომ? მეტი მსახური არ ჰყავს, ვინც ყვავილებს მიათმევს? თანაც, როდის აქეთ დარდობენ მდიდარი ბატონები მსახურების სიკვდილს ან თუნდაც მკვლელობას?!

— შენ არაფერი გესმის, კამენი! ის მსახური მოკლეს და მალე ვინ იცის... ჰოი, ღმერთებო!

— კარგი, გასაგებად მითხარი, რა მოხდა.

— ესე იგი, ამ ამბავს გამოიძიებ? — ჯერ არ ვიცი. ვნახოთ. ხომ დამპირდი, რომ დღეს ნომარქოსის ბაღში ყვავილებს მიჩვენებდი!

— ჰოდა გიჩვენებ კიდევ... მოკლული მსახური ხომ სწორედ ყვავილნარში იპოვეს.

კამენი შემდეგ მითხრა, რომ ის მაშინვე გააოცა გარემოებათა ამგვარმა დამთხვევამ და თუმცა მასპინძლის ორპირობამ ძალიან გააბრაზა, მაინც გაჰყვა ნომარქოსის მამულში, რათა უბედურების კვალი დაეთვალიერებინა. მართალია, ჩემი მეგობარი ფატალისტი როდია, მაგრამ მშვენივრად მიხვდა, რომ ყვავილების სიყვარულიც და ფარმაკოლოგიისადმი მიდრეკილუბაც ამას ემსახურებოდა — მსახურის მკვლელობის გამოძიებას. მსახურის, ვინც ბაღის ბილიკზე ნახეს მკვდარი, იქვე კი მიმოფანტული ყვავილები ყვარა.

კამენი ნომარქოსს წარუდგინეს და გამოძიებელმა მასაც სთხოვა, სტუმრის ვინაობა არ გაემხილა. შემდეგ კიდევ ერთხელ მოისმინა მომხდარი, ამჯერად თავად ნომარქოსის პირით, თუმცა გარეშე ადამიანი ძნელად თუ შენიშნავდა ამ ამბავში საფრთხის ან დანაშაულის ნიშნებს. გარდაცვლილი მსახური ერთ-ერთი იმ ფარემთაგანი იყო, ვინც ბატონს სადილობისას ემსახურებოდა. მას სუფრაზე თაიგულის მირთმევა ევალებოდა, რათა მოტრაპეზენი ყვავილების ფერადოვნებითა და ნელსურნელებით დამტკბარიყვნენ. სადა და უცერემონიო წინაპრებისაგან განსხვავებით, რომლებიც სოხანეზე დადგმულ ტაბლასთან ჩაცვუტულები ჭამდნენ, წარწინებული ეგვიპტელები სადილობას ხომ პომპეზურ სანახაობად აქცევენ ხოლმე! არცერთი მდიდარი მეტეორა უმუსიკოდ და უყვავილებოდ, ზოგი კი მროკავთა და ჯამბაზთა გარეშე მაგიდას არ მიუჯდებოდა. ნომარქოსსაც ეს ჩვეულება დაედო წესად და მსახურებისათვის ებრძანებინა, სატრაპეზო მაგიდაზე მუდამ მდგარიყო ყვავილებიანი ღორბაქი. გარდაცვლილი მსახურიც ყველდღე ბაღში ზეჯითად ჭრიდა ყვავილებს და თაიგულს ჰკრავდა ბატონის საამებლად.

— ყვავილებს თავად არჩევდა? — იკითხა კამენი.


— არა, მეზღვის დახმარებით, ვინც კვირის დღეებს უხამებდა მათ, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ყვავილია სასურველი თითოეული დღის მფარველი ღმერთისათვის. — ამ დილით რა მოხდა?

ნომარქოსმა მსახურთუფროსს გადახედა და ისიც ხეხნივით მოჰყვა, როგორ დააგვიანა მსახურმა სასადილო დარბაზში თაიგულის მოტანა, როგორ გაგზავნა მან ფარემი მიზეზის გასაგებად და როგორ ვერ ნახა ამ უკანასკნელმა მსახური სადგომში, სადაც ჩვეულებრივ, ის თაიგულს ჰკრავდა ხოლმე. მსახურთუფროსი განრისხდა და თავად გაემურა თავხედი მსახურის საპოვნელად. სადაცაა ბატონი კანცელარიიდან დაბრუნდებოდა და თუ სადილი მზად არ დახვდებოდა, საკუთარი ტყავით მოუნევედა სასჯელის ატანა. ამიტომ მსახურთუფროსმა კეთილგონიერად ამჯობინა, ფარემისათვის გაეძრო ტყავი (გადატანითი მნიშვნელობით, რაღა თქმა უნდა), ვიდრე თვითონ დაზარალებულიყო. თანაც ის ერთგული და სანდო მსახური იყო და გული არ უთმენდა, ხელქვეითები არ დაესაჯა, თუკი მათ ცუდლუტობას შეამჩნევდა, ამიტომ ჯოხს წამოავლო ხელი და მსახურის სადგომისაკენ გაემართა, მაგრამ მისდა გასაკვირად, მსახური ვერც მან მიაგნო.

— სეთმა დასწყევლოს, სად არის ის არამზადა? — იყვირა მსახურთუფროსმა და ჯოხი მაგიდას დაჰკრა, თანაც ისე ძლიერ, რომ ლარნაკში ჩადებული თაიგულის ბუტკოში ჩაბუდებული ფუტკარი ძირს ჩამოვარდა.

ყვირილზე მსახურები მოცვივდნენ და მსახურთუფროსმა მათ უბრძანა, ბედნავ-სი ფარეში სასწრაფოდ მოეძებნათ.

— ნადით და ყურით ახლავე მომითრით, რომ ამ ჯოხით ზურგი ავუჭრელო, — დაიბრდვინა მსახურთუფროსმა და მსახურებიც კისრისტეხით გაცვივდნენ ამხანაგის საპოვნელად. ყველას ეგონა, რომ ის სახაბაზოში ან საკუჭნაოში შეჰყვა ლაქლას და სასადილო დარბაზში თაიგულის მიტანა ამიტომაც გადაავინყდა, თუმცა ვერც იქ და ვერც მსახურთა სადგომების თუ შრამელების ახლო-მახლო დაკარგული ვერ იპოვეს. მერე ვილაცამ მოისაზრა, ბაღში წავიდოდა; შესაძლოა, სწორედ იქ შეაგვიანდა, როცა ყვავილები მოჰქონდა... მსახურთუფროსს ამ ვარაუდის გაგონები-



ზურაბ ლავრელაშვილი

მკვლელი თაიგული

სას რისხვა ოდნავ კი დაუცხრა, თუმცა ბრაზი მაინც არ განელებია. ჰოდა მსახურებიც მყისვე აფრინა მეზღვისთან...

— რა ვითარებაში ნახეთ გარდაცვლილი?

— ის ბაღის შესასვლელთან იწვა, გარშემო კი ყვავილები ყვარა, რომლებიც მეზღვისაგან წამოეღო.

— ნამდვილად? მეზღვემ დაადასტურა, რომ ყვავილები მსახურს მან გადასცა?

ამჯერად მსახურთუფროსმა გადახედა ნომარქოსს და მხრები აიჩჩა.

— გვაპატიეთ, ბატონო, მაგრამ იმ აურზაურში არავის მოჰფიქრებია, მეზღვისათვის ეს ეკითხა.

— ანუ გეგონათ, რომ მსახური ყვავილების ახალი თაიგულით ბრუნდებოდა ბაღიდან, როცა მოკვდა?

— დიახ, ბატონო. რომ გენახათ, თქვენც ამას იფიქრებდით.

წარმომიდგენია, როგორ ჩაელიმა კამენის! მაგრამ ის ღიმილს არ შეიმჩნევდა, მე ხომ ვიცი...

— ყვავილები სად წაიღეთ?

— არსად, — მიუგო მსახურთუფროსმა, — მსახური სადგომში გადმოვასვენეთ, მაგრამ ყვავილები არავის გახსენებია.

— ძველი თაიგული? ის, თქვენ რომ ნახეთ...

— მგონი, ისევე იქ უნდა იყოს მაგიდაზე, ვინ აიღებდა...

— მსახურის ოთახში წამოიქეხი, მინდა ის თაიგული ვნახო.

მანამდე კამენიმ სასადილო დარბაზი დაათვალიერა. ეს იყო ნათელი და მაღალჭერიანი ოთახი, სადაც შუქი გვერდით გამავალი კარების ზემოთ დატანებული სარკმლებიდან აღწევდა. სინათლე თეთრად შეფეთილ კედლებზე ირეკლებოდა და დარბაზს უფრო მეტ შუქს ჰფენდა. ამას გარდა, ჭერიც ცარცისფრად იყო შეფიფქუ-

ლი, რაც სინათლეს აძლიერებდა. დარბაზი ორად იყო გაყოფილი ცისფერი ხის ბოძებით, რომლებიც დოლაბივით მომრგვალებულ საძირკვლებში იყო ჩაშენებული. ნომარქოსი, ოჯახთან ერთად, ჩვეულებრივ, დარბაზის ამალღებულ ნაწილში სადილობდა, ერთგვარ ფიცარნაგზე, რომელზეც ეკალმუხის მაგიდა და აბანოზის სავარძლები იდგა, შედარებით დაბალი ნაწილი კი სტუმრებისათვის იყო განკუთვნილი. კედლის გაყოფებით, საგანგებო სადგამებზე ჩამსკრივებული იყო სანათები და ნელსურნელებათა ჭურჭელი. სანათებს ნადიმის დროს ანთებდნენ, ნელსურნელება კი ზემოთსას იკმეოდა. შორეულ კუთხეში იდგა ფართო მაგიდა, რომელზეც კერძებს აწყობდნენ ფართო საინებით, მერე კი მსახ-



ურებს გადაჰქონდათ ისინი სასადილო მაგიდაზე და მოტრაპეზებს ულაგებდნენ ლამაზად მოხატულ შედარებით მომცრო თეფშებზე.

კამენიმ დარბაზი ბეჯითად მოიარა, მაგრამ საეჭვო ვერაფერი შენიშნა. ნომარქოსის უსაფრთხოება კარგად იყო დაცული, როგორც დიდმოხელეს შეჰფეროდა, სანამ რომელიმე კერძს მასთან მოიტანდნენ, ჭაშნაგირი თითო ლუქმას სინჯავდა და ადასტურებდა, რომ საჭმელი მოწამლული არ იყო. მამასადამე, ნომარქოსის მტრებს, თუკი ისინი ჰყავდა, მცირედი შანსიც არ ჰქონდათ, საჭმელში შხამი გაერიათ.

კამენი კართანაზე გამოვიდა. ნი იყო მსახურთა სადგომები, სამზარეულო და შრამელები. კერძებს სწორედ ეზოდან ეზიდებოდნენ დარბაზში და ყვავილებიც აქედან შემოჰქონდა მსახურს. კამენიმ შრამელებს მიაშურა და თან ცნობისმოყვარე ბრბო აედევნა, რაღა ამ დროისათვის ნომარქოსი კვლავ სამსახურში წავიდა ორცხენა ეტლით, მსახურები კი, მიუხედავად გაფრთხილებისა, საქმეს მიხედვით, გამოძიებულს გაჰყვნენ.

სადგომი პატარა იყო, განდევილი ქუჩის სენაკივით. უავეჯო და თითქმის ცარიელ ოთახში კედელთან იდგა მაგიდა, რომელზეც მსახური ყვავილებს არჩევდა ხოლმე. საბედნიეროდ, მაგიდაზე ახლაც ჩანდა ლამაზად მოხატული ვაზა, შიგ თაიგული იდო. დილას აქეთ ყვავილებს ფერი კი შესცვლოდათ, მაგრამ მაინც დამბანგავ სურნელს აფრქვევდნენ.

— არავინ მიუახლოვდეს! — ბრძანა კამენიმ, თავად კი სამოსის კალთა ცხვირპირზე აიფარა და მაგიდის შორი-ახლო გაჩერდა. რა დანახა და რა შენიშნა, არავინ იცის, მაგრამ ორიოდე წუთის შემდეგ ის უხმოდ გაემართა ბაღისაკენ...

ბაღის შესასვლელთან ჯერ კიდევ ჩან-

და მიწაში ჩასრესილი ყვავილები. ჩანდა უამრავი ნაფეხურიც. ეტყობა, ბრბოს ყვავილები გადაეჯეგა, თუმცა იმდენად როდი დაეზიანებინა, მათი აღნაგობის გარჩევა შეუძლებელი გამხდარიყო. კამენიმ აქაც ბრბოს უკან დგომა უბრძანა, თავად კი ისევ ცხვირ-პირზე სამოსის კალთაფარებული, ნელში მოხრილი, ყვავილებს დასცქეროდა. მერე ნელში გაიმართა და სახეზე სარკასტულმა ღიმილმა გადაუარა...

„თითქმის მაშინვე მივხვდი, რაც მომხდარიყო, — მითხრა მან მოგვიანებით, როცა მისი სააგარაკო სახლის ბანზე ვისხედით, — მეზღვის გამოკითხვა აღარც იყო აუცილებელი, თუმცა მას ჯერ კიდევ სავარაუდო ეჭვმიტანილად ვთვლიდი.“

„რა საფუძვლით?“

„საქმე ისაა, მეგობარო, რომ მსახური მართლაც მოწამლათ, რაც მერე ჩემი მოთხოვნით თოტის ტაძარში გაკვეთამაც დაადასტურა. ოღონდ მოწამლეს არა ძლიერმოქმედი შხამით, არამედ ყვავილის მტვრით...“

„თაიგულით, რომელიც ლარნაკში იდო...“

„განსაკუთრებული ყვავილით, შორეულ აღმოსავლეთში რომ იზრდება, ნითელი ზღვის გადაღმა, სადაც მას თვითმკვლელთა ყვავილს ეძახიან. დაყნოსავ თუ არა, მყისვე კრუნჩხვა მოგივლის და მცირე ხნის შემდეგ ტანჯვით კვდება. თვითმკვლელები ამ ყვავილს ხშირად ყნოსავენ, სხვები კი იმ ადგილს, სადაც ეს ავ-ბედიითი მცენარე ხარობს, ახლოსაც არ ეკარებიან. ამიტომ ვუბრძანე ნომარქოსის მსახურებს, თაიგულს არ მიჰკარებოდნენ.“

„ესე იგი, ვილაცამ თაიგულში ის შხამიანი მცენარე გაურია...“

„მსახურმა კი მეზღვისთან წაიღო, მაგრამ როდი იცოდა, შხამიანი მცენარე თუ მიჰქონდა და გზად შესუნთქვით მოწამლა და მოკვდა. მსახურს მხოლოდ ის უნდოდა ეკითხა მეზღვისათვის, რატომ იყო თაიგულში უცხო ყვავილი, რომელიც კვირის ამ დღეს არ შეესაბამებოდა... ის ხომ მრავალი წელი ჰკრავდა თაიგულს და შემცვლარად იცოდა, რომელ დღეს რა ყვავილი მიესადაგებოდა... ბოროტმოქმედებს გეგმა საუცხოოდ კი ჰქონდათ დასახული, მაგრამ მსახურმა ეს გეგმა არია, როცა სასადილო დარბაზის ნაცვლად მეზღვისთან წავიდა და გზად მოკვდა.“

„ვინ იყო მთავარი მსხვერპლი? ნომარქოსი?“

„რასაკვირველია.“

„შენ კი ის გადაარჩინე...“

კამენიმ თავმოწონედ გადმოხედა.

„ხომ გიმტკიცებდი, თითოეულ ჩვენგანს ღმერთები მფარველობენ-მეთქი; ეტყობა, ჰენტი-იაბტის ნომარქოსიც ჯერ არ გაუწირავთ უკვდავებს, თუკი ისევ ცოცხალია. ალბათ, იმდენს არ იპარავს ხაზინიდან სხვა დიდმოხელეებთან შედარებით და ხელქვეითებსაც ლმობიერად ემყრობა, რაკი ამომნა სიკვდილისაგან იხსნა. მინდა გითხრა, რომ ჰენტი-იაბტის ნომში გზები არცთუ ცუდია და გლეხებიც უზომო გადასახადებს არ უჩივიან. მგონი, ესეც კმარა, ღმერთებმა რომ მოწყალე თვალთ გადამოგხედონ.“

„როდის მოასწარი ნომარქოსის კეთილ საქმეთა რევიზია?“ — ვკითხე ღიმილით.

„ეგ ჩემი ახირება როდი იყო, რამერი, მე ხომ თავდასხმის მოტივი უნდა დამედგინა, ჰყავდა თუ არა მას მტრები და ვის უნდოდა ის მოწამლა, თანაც ესოდენ ეგზოტიკური საშუალებით.“

„მერე რა ქენი, დაადგინე?“

„უკვე გითხარა, რომ სავარაუდო ეჭვმიტანილი მყავდა: მეზღვე! სხვას ვის უნდა სცოდნოდა, რომ არსებობს ეგოდენ შხამიანი მცენარე, რომლის მტვერიც მსხვერპლს მყისვე კლავს?! ჩემი აზრით, მკვლელობის საშუალება — უცხო შხამიანი ყვავილი — ეჭვმიტანილთა წრეს საკმაოდ ავიწროებდა. მეზღვის გარდა ამ წრეში მოიაზრებოდნენ იმ ხომალდების მეპატრონეები, რომლებიც ზღვის გაღმა ქვეყნებთან ვაჭრობენ. ვილაცამ ყვავილი ან მისი თესლი აღმოსავლეთიდან ჩამოიტანა და ნომარქოსისათვის შემოინახა. მეზღვე ან რომელიმე მსახური, ვინც ეს ყვავილი თაიგულს შეურია, მხოლოდ შემსრულებლები იყვნენ, მე კი შემკვეთი უნდა მეპოვა. თუკი მკვლელი ირწმუნებდა, რომ მე ჩანადიქრს ვერ მივუხვდი, ვინძლო დამნაშავე გამომეაშკარავებინა. ისე უნდა მომჩვენებინა, ვითომ კვალს ვერ მივაგენი, ვითომ ძაღვის ბოლო

ხელთ არ მქონდა, ამიტომ განგებ ყველას გასაგონად ხმამაღლა განვაცხადე, საეჭვო ვერაფერი ვნახე და ლოთი მსახურიც ნაქცევის გამო გარდაიცვალა-მეთქი. აკი ყველამ იცოდა, რომ ის ჩუმ-ჩუმად ბატონებისათვის სუფრაზე მისატან ნუნუსას და ყუათიან ლუდს ეპარებოდა. ვითარებაც ისე წარმოვადგინე, თითქოს შემთვრალი მსახური ნაბორძიკა და თავი ქვას დაჰკრა. მოკლედ, მკვლელს შეტყობინება გავუგზავნე, ბედი კიდევ უშიშრად ეცადა, ოღონდ წინასწარ, რასაკვირველია, უსაფრთხოების ზომები მივიღე, ანუ ნომარქოსი გავაფრთხილე, ის და მისი ოჯახის წევრები თავიგულს არ მიჰკარებოდნენ.

„რად გეგონა, რომ მკვლელი ისე იმ მეთოდს გამოიყენებდა?“

„დარწმუნებული ვიყავი, ამას იზამდა. სხვაგვარად ის ნომარქოსს ვერ მისწვდებოდა.“

„ხანჯალი ან შორიდან ნასროლი ისარი?“

„ცხადია, ადამიანის მოკვლა მრავალი ხერხით არის შესაძლებელი, მათ შორის შორიდანაც, მაგრამ ამას დიდი ნაკლი აქვს: ეს აშკარა მკვლელია. შხამიანი ყვავილით მონამვლა კი ეჭვს არ იწვევს.“

„არ გითქვამს, ვის უნდოდა ნომარქოსის სიკვდილი.“

„ჩვენი სახელმწიფოს მტრებს. ჰენტი-იაბტის ნომი ხომ საზღვრისპირა მხარეა, აზიის მომიჯნავე, და ჩემი ვარაუდით, უცხო ქვეყნის აგენტები აქ თავიანთი კაცის დასმას იმედოვნებდნენ მოკლული ნომარქოსის ნაცვლად, ვინც, როგორც გითხარი, საკმაოდ პატიოსანი მოხელე და პატრიოტი იყო. შესაძლებელია, აქ შეთქმულებაც იყო, რომლის კვალიც ფარაონის კარამდე მიმიყვანდა. ეგვიპტეში ხომ არცთუ იშვიათია თანამედრობის გამო მეტოქე კანდიდატის მკვლელობა, ანდა უკვე დანიშნული მოხელის გზიდან ჩამოცილება. მართალი გითხრა, მე უფრო ამ ვერსიისაკენ ვიხრებოდი.“

„ანუ შეთქმულთა ჯგუფს ნომარქოსის მოშორება ჰქონდა ჩაფიქრებული, რათა მის ნაცვლად სასურველი კაცი დაესვა? მაგრამ ამ თანამედრობაზე ხომ მეტწილად ფარაონის ახლო ნათესავები ინიშნებიან?“

„ჰოდა, შემკვეთიც მათ შორის უნდა მეძებნა, — გულ-გრილად მომიგო ჩემმა მეგობარმა, — სახელმწიფოს ხომ მართო უცხოქვეყნელები არ მტრობენ. ეგვიპტის სამეფოს მის გულსგულში გაჩენილი მოშურნეობის მატლიც ხრავს. ეს ჩვეულებრივი ადამიანური ნაკლია.“

„მერე რა მოხდა?“

„როგორც გითხარი, ჩემი ბრძანების შესაბამისად, ნომარქოსის სასახლეში შემსვლელ-გამსვლელთა თვალთვალი დაწესდა, ოღონდ გარეგნულად ისე ჩანდა, თითქოს ყველაფერი ძველებურად იყო. ჩემი აზრით, მკვლელს ან მკვლელებს მალევე უნდა ეჩვენებოდა, რომ მათი გეგმა დროებით ჩავარდა, რაღაც გაუთვალისწინებელი შემთხვევის გამო და არა იმიტომ, რომ ისინი ვიღაცამ გამოიჭირო. არ გამკვირვებია, როცა რამდენიმე დღის შემდეგ ნომარქოსის მამულის ალაყაფში მერძევის ფურგონი შევიდა და ერთ ცარიელ ბიდონში შხამიანი ყვავილები იყო.“

„მერძევე დააპატიმრეთ?“

„არა, ვაცალეთ, სანამ ყვავილებს შეთქმულთა მორიგ წევრს გადაცემდა.“

„მოდი, გამოვიცნობ!.. შეთქმული, ვინც მომწამელები ყვავილი თაიგულში ჩადო, მსახური იყო.“

კამენიმ სინანულით შემომხედა, თითქოს ჩემი მიაშიტობა უეკირდა.

„ზოგჯერ უფრო ერთგულნი უცხო ადამიანები არიან, ვიდრე შინაურები. ყველაფერს ვერ გაგიმხელ, რადგან ეს სახელმწიფო საქმე იყო და ძიებასაც შემდგომ საიდუმლოდ ვანარმოებდი, თუმცა გეტყვი, რომ ამ აკვაცობაში არა აზიელების, არამედ ნომარქოსის ახლო ნათესავების ხელი ერია. სწორედ ნათესავებმა დაიჭირა ვეს მკვლელი, რომელმაც მკვლელობის საშუალებად მანამდე ჩემთვის უცნობი ყვავილი შეარჩია.“

„მეზადე?“

„ის უდანაშაულო იყო და გავათავისუფლეთ, თუმცა შეთქმულთა გეგმით, ეჭვი სწორედ მასზე უნდა მიგვეტანა.“

„სად იშოვნა მკვლელმა ის ყვავილი?“

„სავარაუდოდ, მან ნავსადგურში რომელიღაც გემის მეზღვაურისაგან გაიგო, რომ აღმოსავლეთში ასეთი მცენარე ხარობდა, და შესაძლოა მანვე იქიდან ფარულად ჩამოიტანა მისი თესლი ან ჩითილი და ფარულადვე ახარა, რათა შემდეგ ხელსაყრელი შემთხვევისას გამოეყენებინა.“

„ესე იგი, მკვლელი დააპატიმრეთ?“

„რასაკვირველია, და ბრალად ნომარქოსის მოკვლის მცდელობა წაუყენეთ. მაშინ წავასწარი, როცა ლარნაკში შხამიანი ყვავილებს აწყობდა.“

„მის ვინაობას არ მეტყვი? მინიშნებითაც კი?“

„რა საჭიროა! გული გაგიტყდება... მგონი, ისიც კმარა, რომ ნომარქოსმა იტირა და სამოსიც შემოიხია, როცა მკვლელის დამკვეთის ვინაობა გაუფიქრებდა. მწუხარებით გაოგნებული, თანამედრობის მიტოვებასაც აპირებდა, მაგრამ დავაჯერე, რომ ჰენტი-იაბტის ნომს მისებრ ღირსეული მმართველი აღარ ეყოლებოდა. არ გამიკვირდება, თუკი სამსახურიდან გადადგომის შემდეგ ის ამონის ტაძარში ბერად აღიკვეცება და სიცოცხლეს მარხვითა და ლოცვით გალევს.“

ჩემმა მეგობარმა დაამთქნარა და ბანიდან ბაღს გადახედა.

„ასე ჩამშხამდა, რამერი, პირდაპირი აზრითაც, დასვენება ჰენტი-იაბტის ნომში, თუმცა რაღაც ხეირი მაინც ვნახე — ყვავილი, რომელიც ახლა ჩემს ბაღში იზრდება. ოდესმე თუ ვინმეს მოკვლა მოგიინდეს, რამდენიმე ცალს უფასოდ გაჩუქებ. უტყუარი საშუალებაა...“

ჩემი მეგობრის ცინიკოსობა არ გამკვირვებია, რადგან იმდენი რამ ენახა და მოესმინა, რომ ადამიანური მზაკვრობის ნებისმიერი გამოვლინება მისთვის ჩვეულებრივი რამ იყო, როგორც მზის ამოსვლა ან ჩასვლა.

„დიდი მადლობა, მეგობარო, მაგრამ მე უფრო ეგ მაინტერესებს, როგორ მიხვდი, რომ თაიგულში შხამიანი მცენარე ერია?“

„ეტყობა, ყურადღებით არ მისმენდი, თორემ მსახურთუფროსის მონათხრობში შენც იოლად ამოიცნობდი ამას. თუ გახსოვს, მან თქვა, რომ გარდაცვლილი მსახურის სადგომში გამძვინვარებულმა რომ ჯობი მაგიდას დაჰკრა და არ მორიდებია, ვაითუ ლარნაკი გამტყდარიყო; თუმცა ვაზა გადარჩა და იქიდან მაგიდაზე რაღაც ჩამოვარდა...“

„ფუტკარი!“ — წამოვიძახე მე.

„სწორედაც, მეგობარო! საბრალო მწერი ისევე მაგიდაზე ეგდო, როცა მე მსახურის ოთახში შევედი დასათვალიერებლად. მაშინვე მიხვდი, რომ ყვავილები შხამიანი იყო. ამგვარი წვრილმანის შემჩნევა ჩვენი, გამომძიებლების, პროფესიული ვალაია. თანაც მე ხომ ფარმაკოლოგიისაც რაღაც გამეგება და ვიცოდი ისიც, რომ კვირის იმ დღეს თაიგული ღია ფერის ანემონებით უნდა ყოფილიყო შეკრული. გახსოვს, მსახურთუფროსმა ეგეც თქვა, რომ თაიგულს თითოეული დღის მფარველი ღმერთისათვის სასურველი ყვავილებისაგან კონავდნენ. ასე რომ, მკვლელმა ვერ გაითვალისწინა, თუკი ჯერ მსახურს და მერე მე, გამომძიებელს, თაიგულის შეუსაბამობა დაგვაეჭვებდა. მართალი გითხრა, მე უთუოდ შემეშინდებოდა, მკვლელობის დაგეგმვისას მარტო ადამიანურ გონებას დავნდობოდი.“

„შენი აზრით, ის ფუტკარი — ამონის მაცნე იყო?“

„დიახაც!.. და არა მარტო ის მწერი... ჩემი ჩასვლა ჰენტი-იაბტის ნომში და თანაც იმ დროს და იმ ადგილას, სადაც ნომარქოსის მკვლელობა მზადდებოდა, სწორედ ყოვლადძლიერი ამონის ჩანაფიქრი იყო, ფუტკარი კი ამ ჩანაფიქრის მცირე, მაგრამ მამხილებელი დეტალი... კიდევ გაინტერესებს რამე?“

„არაფერი, გარდა იმისა, რად სჭირდება ამონს ესოდენ რთული გზით სიარული, როცა შეუძლია მკვლელს პირდაპირ მიხი დაატეხოს თავს და ბოროტებაც იოლად ალკვეთოს?! მან კი თავისი გასაკეთებელი საქმე შენ გადმოგაბარა... თანაც ნომარქოსის ერთგული მსახურიც მოკვდა.“

„მართალი ხარ, თუმცა მოდი, ამ საკითხზე ქურთუმებმა იმტვირონ თავი, ჩვენ კი ლუდი დავლიოთ. თუ ღვინო გირჩევნია? აგრილად და სიცხეც ისე აღარ შეგვანუხებს, როცა ღმერთებს ზედაშეს დავუღვრით და მადლობას შევუთვლით, რომ გაგვანინეს და თავიანთ ჩანაფიქრში მონაწილეობის უფლებაც გვიბოძეს. მსახურს ახლავე სასმელს მოვატანინებ და მერე, თუ გინდა, თითო ხელ სენეტსაც ჩავუჯდეთ...“



კონსტანტინე კაპანაძე

ალექსანდრი

1

ფინანსური და მატერიალური რესურსების მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი — საშა — კარის ზღურბულზე იდგა, მარჯვენა საჩვენებელ და შუა თითს შორის სიგარეტი გაჩხიარა და მძიმედ და ნელა ქაჩავდა. შორიხლოს მოსახვევებში ბიჭებმა შემოუხვიეს. სპორტულ ტანისამოსში გამოწყობილი ბურთის ფეხით ათამაშებდნენ, უკან კი სიცილ-კისკისით გოგოები მოსდევდნენ.

— ბიჭებს გაუმარჯოს, ბიჭებს! — ხელი აუწია საშამ.

— ზდაროვა, საშა ძია, ზდაროვა, — ერთხმად მიესალმნენ.

მერე გასახდელი შევიდნენ, საშა კაბინეტში შებრუნდა. როცა დაჯდა, ოთხმოცდათექვსმეტფურცლიანი რეგული გადაშალა და თავისთვის, თუმცა ხმამაღლა და გასაგონად, თითქოს საკუთარ თავს გაგებას სთხოვდა, წაიკითხა — „ლუკა. რვა საათზე. ორი საათი. შაბათი. ასოცი ლარი.“ ამოიხვნეშა. „ჰო, ჰო, გუშინ დაგირეკეს, აქ ვიყავი“ — დაწვინა სიტყვები აფხაზეთიდან დევნილმა მელოტმა, ცისფერთვალე ბანანმა, მოკლე და სქელცხვირიანმა ლეონმა, რომელიც ნითელ ჩავარდნილ დივანზე ესევნა.

— ხო. ახლა ესენი.

— ჰოდა, მიდი, ბიჭებთან შედი, საჩემო რამე ექნებათ, — წამოფრინდა და თონის პურს ყუა მოგლიჯა, რომელიც საშას ცხვირში იდო.

ფანჯრიდან ყვირილი და შეძახილები იჭრებოდა.

— საშა ძია, რამდენ ხანში მორჩებიან? — იკითხა ლუკამ და კარი მიხურა.

კაბინეტში ახლა ლუკა, საშა და ლეონი ფუსფუსებდნენ.

— ჩაარტყავ, ლუკა? კაი კანიაკია, მე-ზობელმა მაჩუქა.

ფერდაკარგული კარადიდან ორი ორმოცდაათგრამიანი შუშის ჭიქა გამოიღო.

— არა, არა, საშა ძია. საყომარებელი მაქვს, — საშას კოლოფიდან სიგარეტი ამოიღო და მოუკიდა, — საშა ძია, ძმურად, გააგებენ, რომ მორჩნენ რა.

— ჰო, ჰო, — კონიაკი დაისხა, — ახლავი, გენაცვალე.

საშა ან საშა ძია — გააჩნია, ვინ მიმართავდა — ერთი ცხოვრებაარეული კაცი იყო, ოღონდ უცხო თვალისთვის, იმათთვის, ვინც ერთხელ დაელაპარაკა, შეხედა, გვერდზე დაუჯდა; თორემ იმათთვის, ვინც იცნობდა, საშა ძია იყო მეგობარი, ძმაცაცი, ახლობელი, ჭირისა და ლხინის გამზარებული. ჭირი, ეჰ, იცოდა — ხუთი თითივით იცოდა. ლხინიც იცოდა, მაგრამ ხუთი თითივით — არა. მოკლედ, საშა ძია იმიტომ

იყო ცხოვრებაარეული კაცი უცხო თვალისთვის, რომ, არცთუ უსაფუძვლოდ, ლოთი გეგონებოდა. გახლდათ კიდევ, და წარუმატებელიც გახლდათ. მეორეს მხრივ კი მის ყოველდღიურ ყოფაში მშვენიერებაც გამოსჭვიოდა, სილამაზეც და სიყვარულიც — სინამდვილეში ამით არსებობდა, ორმოცდაათ წელს გადაცილებულმა ამას მიჰაღწია, თუმცა ვერაფრის დიდებით იაზრებდა.

დაბალი და მსუქანი იყო. სახე მუდამ ანთილებული ჰქონდა, თითქოს ყოველჯამს დაძაბული და ანერვიულებულიყო. მის გრძელ და გამხდარ თითებს რომ შეავლებდი თვალს, ქალისააო, იფიქრებდი, გამორჩეულად კი ფრჩხილები გაფიქრებინებდა. ჭალარა თმა ჰქონდა — კლასიკური სტილის ჭალარა თმა. აპრეხილი ულვაშებილა აკლდა და სულმთლად კლასიკაში ჩაჯდებოდა...

საშას სიტყვამ, რასაკვირველია, გაჭრა და იმნამსვე წავიდნენ, რის გამოც ლუკამ და ბიჭებმა დათქმულ დროზე დაიკავეს მოედანი. გოგოები, რომლებიც მათ მოყვნენ, მაყურებლის სკამებზე ისხდნენ. სადაც ახლა ბიჭები ბურთს აგორებდნენ, შვიდი-რვა წლის ბავშვები ფეხს იდგამდნენ ფეხბურთში, ვარჯიშობდნენ, ოღონდ დღისით და, ჰა-ჰა, გაზაფხულის ფაშს ექვსამდე; აი, მერე აწყდებოდნენ ლოთები, მწველები, აგრონომები, ბიზნესმენები, არეულ-დარეულები, ყველა ჯიშისა და პროფესიის კაცი იყრიდა თავს. მაგრამ საშა ძიას თავისი ადამიანები ჰყავდა, იმიტომ, რომ უბრალოდ შეხვდნენ, დაელაპარაკნენ, გაიცნეს, დაუმეგობრდნენ. ზოგ-ზოგიერთები ნელზე მეტი დადიოდნენ კვირაში ორჯერ-სამჯერ და გამარჯობას ძლივს მიაღწიეს — ესე იგი, ამათთვის საშა გახლდათ. მკაცრად სთხოვდა ასეთ ადამიანებს, რომ საშა დაეძახათ. ერთხელ საშაძიათი მიმართეს და ჩხუბი აუტეხა. მადლობა ღმერთს, რომ იმ დროს ლუკა გასახდელი ჩანთას ალაგებდა. საშა ძიას მხარი დაუჭირა და მაგრად დაბეგვა. ბოლოს შეხვდა და შერიგდნენ. მას მერე აღარ მოსულან. ექვსი ექვსზე თამაშობდნენ — ერთი კარში და ხუთი გარეთ.

ჰაერზე მოსანევიად გასულმა საშამ, რაც ძლიერ უყვარდა, გოგოები შენიშნა და მათკენ ნელი ნაბიჯით დაძრა, რადგან ორი ჭიქა დაელია მხოლოდ. თავს ინახავდა, მწვრთნელები აპირებდნენ მოსვლას და მის კაბინეტში ქეიფს, ამიტომ ესეც ელოდა, მამაცურად ელოდა, მაგრამ დღის დოზა მიიღო, რათა ადამიანი რქმეოდა. გოგოებს მიუჯდა — ერთი შეაშინა, ნეკნებში თითები უჩხვლიტა.



ნათია კაპანაძე

ქპრიპი

შენი მკერდიდან ნამოსული რძე
ზრდიდა მის შვილებს,
ობზობული კუთხეები ავსებდა ოთახს.
იჯექი მერე დიდი ხნით და ტკივილს იცლიდი
— შენივე ხელით.
ფრჩხილებში გქონდა ჩარჩენილი კვალი ტკივილის,
მთელი ცხოვრება...
და ველარაფრით მოიშორე იმაზე ფიქრი,
რომ სამუდამო არაფერია. და გებევრება
შენი ასაკი, რადგან ცხოვრებამ
ქრისტეს ასაკში მძიმე ჯვარი აგვიდა ბეჭზე...
იმავე ბეჭზე დაკიდებულ ჩანთით, ყოველ დღე,
მიგაქვს ბოთლები, ცარიელი, ნაშოვნი სიმწრით,
აბარებ თითოს ხუთ კაპიკად და მერე შიშით
ყიდულობ ერთ პურს, ცოტა ერბოს...
უყურებს ზიზღით — უფროსი შვილი
და გეშინია, რომ ეს მზერა გაჰყვება მუდამ
და ერთადერთი სამუდამო იქნება მისი
ეს გამობეჭვა.
რადგან
ყოველი ახალი დღე, თითქმის უცვლელად,
იმეორებს გასულ დღეს...
აღარც საკუთარ თავზე ფიქრობ.
აღარც წარსული გახსენდება.
მხოლოდ ანმყო.
და ამ ანმყოში
შენ ხარ. და არის ბევრი დარდი.
ორი პატარა.
და სახლთან ახლოს სასაფლაო,
ერთი ნაცნობით...

ზამთრის სუსხი რომ შემოაღწევს ტანში, ამინდებს
შეცემა რომ დასჩემდებათ, ძვლებში გაატანს.
დღეს გაზაფხულის ქუჩაზე რომ ქალი გასწირეს,
სიკვდილისთვის რომ გაიმეტეს აგერ ახლახანს...
იმ ქარდაჩვეულ ბორდიურებს გვერდს რომ აუვლი,
გაგიჭირდება საკუთარი სახლის მიგნება,
და სულ შემთხვევით ნამოკცდება რამე აუგი.
და გაიფიქრებ იმ დღეებზე — რომ არ იქნები...

მრავალწერილი

1.
არ მნახო ასეთი. არ მნახო რადგან
შორსა ვარ ახლა ჩემი თავისგან
და როცა ჩემ თავს ჩემს თავში ვმარხავ
ვთავისუფლდები ყველა ავისგან
როგორც ნიბლია ბოლო ფრენისას
ჩამოვარდნამდე დამცვივდა ფრთები
არ უნდა მნახო შენ გაქცევისას
როცა ვტირი და არაფრით ვკვდები
და ყველაფრისგან დაცლილი როცა
ამოვავლებ სლუკუნს ჩუმ დარდებს
როდემდე უნდა მიწვედეს მოცდა?!
ეს მოთმინება სადამდეც გაძლებს!

ვერ დამინახავ, წინაც რომ მედგე
და გამჭვირვალე გვეყოფდეს კედელი
შენ უნდა ჩემს სუსტ მაჯებზე შედგე
როგორც სეტყვისგან მკვდარი მტევნები.
და სეტყვისასავით ნამოხვალ ჩემსკენ,
იქუხებს. ელვაც იქნება ხშირი
არ უნდა მნახო. სადამდეც შევძლებ
ვიქნები უტყვი. მკრთალი. და მშვიდი.

2.
რადგან ჩემს მაჯებს უნახავს ბევრი
ტკივილი, სისხლი და თავგანწირვა
როცა მივდივარ — მაშინაც ვრჩები
ეს არის ჩემი ლოცვა და წირვა
ჩემს ოთხ კედელში გულაღმა წოლა
ჭერზე ბზარები როგორ მატულობს
სანამ ამიტანს შიში და ძრწოლა
ვეცნობი ჩემი თავის საუფლოს
სადაც მოსული ათასი ფიქრნი
შლიან ანმყოებს მსგავსად წარსულის
ვერ ვხვდები ასე ან რისთვის ვიბრძვი
რისთვის მჭირდება ხალხი ნასული
და სანამ ჩემს თავს ძვლივით ვძიძგნი
თითქოს ცხოვრება არის გასული
უკანასკნელი ბილიკის წინ ვარ
გაყოფილია გზა ისევ ორად:
ერთი, აქ ჩემს თავს კვლავ მსხვერპლად ვწირავ
ან, მეჩვენება ის სხვა გზა შორად
და ადგილიდან არ ვიძვრი, თითქოს
ჩემს თავს ვიღაცა სამსხვერპლოდ ითხოვს.

3.
ვდგავართ ჩვენ ორნი. მხოლოდ უძრავი
არის ფესვები და ხმა შრიალთა
მისი ფოთლების, ისე უკრავენ
რომ შემოდგომა თვითონ მიახმა
მინაზე დაყრილ ყავისფერ ფოთლებს
ეს ფოთლებია, მე რომ მიხსნიან
რა ეშველება ჩემს წყეულ ცოდვეს
ან ამ უმთვარო ღამეს. მისნიან
ნიშნებს მივანდე ჩემი ცხოვრება
როგორმე უნდა ძალა ვიპოვნო!
და მარტობა არის ცხოვება —
ვფიქრობდი ასე, უწინ, იყო დრო
როცა საღამო ღამეს ტოვებდა
რომ სატრფოსათვის მშვიდად მიესწრო
მერე კი რიჟრაჟს წინ ეგებოდა
დილის ბინდი და ღამის მიმწუხრი
ლაჟვარდი მშვიდად ეგებებოდა
ცის კაბადონს და მერე თავს უხრის
უცებ მოქუფრულ ღრუბელს. წყვეტილი
მტოვებს ფიქრი და... მრავალწერილი!

მერცხლები ბუდეს იშენებდნენ, სახლის კიდებზე
ენყო ქონები კაქტუსების... იქვე ალოე
და ცაზე ამოანათებდა ჩვენსკენ ვიდრე მზე,
ჩიტები ფანჯრის რაფებზე და
ხეზე გალობდნენ...

ნარცისებს ფერი გასდიოდათ და გაზაფხულებს
გრილი ნიაგი ჩვენს სხეულზე უდებდა ბინას,
ცოლები საქმელს ახვედრებდნენ ქმრებს,
გზად წასულებს,
ცულით ნაპობი ნაფოტებით ვებრძოდით ყინვას...
წვიმდა და წვიმის ყველა წვეთი — საუცხოონი
ნამავდა ეზოს ბალახსა და ფურცლებს ვარდისას...
ჩემი ფიქრები, უშრეტი და დაუცხრომელი,
უკეთესებს რომ მოელოდა ხვალ თუ გაისად...
კუდის ქიცინით გაფანტული ავი ფიქრები,
მურიას თვალწინ გაფრენილი ჩემი ბავშვობა,
განა მე ბავშვი აღარასდროს აღარ ვიქნები?!
მარტივი არის იმ სილალის ჩემგან გაშვება?!
მერცხლები ბუდეს იშენებდნენ... ენთო ბუხარი,
და კიბებზე ძირნაყარი ელაგა ვაშლი,
შენ ნუ იქნები ნურასოდეს, დედა, მწუხარე,
მე კი ყოველთვის დაგირჩები პატარა ბავშვი.

ქპიპის დღეები

1.
გულაღმა წევხარ. მიბჯენილი გულისყურია
იგრძნო სად არის შენი ფიქრის ორომტრიალი
და მაინც, რარიგ შეუცნობი არის ტიალი.
მერე კი ბედის განმსაზღვრელი შენი გულია.
არაფერია, ეს ცხოვრება თუკი რთულია,
თავად დაინყო მის გარშემო უნდა ტრიალი.
ამოაცალო საკუთარ თავს შეგრძნება შიშის,
ამოაყოლო ამოსუნთქვას დარდები ყველა,
იყო დრო, როცა გჭირდებოდა დახსნა და შეველა
სანამ დაგიდგა სანამცეცო დღეები ქვიშის,
სადაც დამარხე შენი თავი, თავიდან იშვი,
ეგუბოდი საკუთარ თავს რთულად და ძნელად.
გადაიტანე... ეჰ, რა აღარ გადაიტანე
და მერე დიდხანს საკუთარ თავს ებრძოდი, ვინძლო
სარკეში მორიგ ჩახედვისას იქნებ და იცნო
ის, ვისაც თავად გაემიჯნე, გადაუარე
ზედ და დალილიმა უცხოსავით რომ ჩაუარე,
ახლა უყურებ თვალეში, რომ რაიმე იგრძნო.
და მიტოვებულ ოთახებში გასტყორცნილ მზერას
პერიოდულად ცრემლები რომ ავსებენ. თმენით
შეაქცევ ზურგს და დაფიქრდები მორიგი დღე რით
გადააგორო. სხვას არასდროს რომ არ სთხოვ შეველას,
მერე კი დიდხანს იტანჯები. რთულად და ძნელად
გადაგაქვს მსგავსი დღეები და გადაგაქვს შენით.

2.
თუ არ იცოდი ბევრი რამე, ბევრ რამეს ანი
გაიგებ. უნდა შეეგუო, ასე იქნება,
რადგან გამჩენმა თუ განგებამ ასე ინება,
შენ კი თავს რაღაც შემორჩენილ იმედებს აცლი,
თითქოს შენ თავსვე, სადაც გზაზე, ოდესღაც აცდი
და ახლა მშვიდად მიუყვები დღეთა დინებას.
ნამოცდენილი სიტყვებია, ძალას რომ გაცლის,
ამ ქვიშის დღეებს მინებდი და ვერ გაგიგია,
ეს ყველაფერი რეალობაა თუ მითია?!
ან როდის იყო საკუთარ თავსაც რომ გაცდი...
ძველ მოგონებებს ინახავ და არასდროს არ ცვლი,
მაგრამ ასეა, ძვირფასები მუდამ მიდიან.
რა გრჩება, ფიქრობ, და მერე ამ ფიქრს
ნებდები. თითქოს შორს არის შეება
და ბოლოს ხვდები არავინ გრჩება,
ედღევი ისევ თვითგვემას და შიშს...
დრო საერთოდაც ვერაფერს ვერ შლის
და ყველაფერი უცვლელი რჩება.
მსგავსი დღეები გახშირდა. მუდამ
განიცდი ამას, თუმცა, ძნელია
(როცა სიჩუმე მეტის მთქმელია)
და როცა შენს თავს ყველაფრით ზღუდავ,
როგორმე გინდა გაექცე უკვდავ
იმ მოგონებებს, რომ ვერ გშველიან.

3.
ხო, წყლის ნაყვავა, კედელზე ცერცვი,
ეს ყველაფერი. მთელი ცხოვრება.
რომელიც აღარ განმეორდება —
(მადლობა ღმერთს) და რადგანაც ვერ ცვლი
ვერაფერს ირგვლივ, ისევ თავს ებრძვი...
დაგლალა ცდამ და მუდმივ ომებმა.
სივრცეა — თეთრი, ვინრო კედლები
და იატაკი — სანოლის ნაცვლად,
რომ დაინახო, უკეთ და ნათლად,
ნელ-ნელა როგორ კვდები. ნებდები.
როგორ იცლებს ქვიშის დღეები
შენი დღეების გასწვრივ და მსგავსად.
სულ ცოტა დარჩა, სანამ ბოლომდე
დაასრულებდე მუდმივ გოდებას,
ვერ ეღირსები ალბათ ცხოვრებას,
უნდა საკუთარ თავთან ომობდე.
ამასთანავე: თავსვე შმობებდე.
ასე ისწავლი, ალბათ, ცხოვრებას.
და ახლა მსგავსად ძველი დღეების,
სადაც ყველაფერს ჰქონდა ხალისი,
ახლაც ხიბლი აქვს ყველას თავისი,
ნაცვლად ლეღვის და ნაცვლად თმენების,
აღარ გექნება ძალა შენების...
ბევრს ნახობ, მაგრამ აღარ განიცდი.



კონსტანტინე კაპანაძე ალექსანდრე

დასასრული

— ჰაჰ, საშა ძია, — წამოფრინდა ანა. ყველამ ჩაიხარხარა.

— ქალბატონებს ვახლავარ, როგორ ხართ, როგორ? — იკითხა და საზურგეს მიეყრდნო.

— კარგად, საშა ძია, თქვენ? გუშინ თქვენმა ცოლმა ყავაზე და ნამცხვარზე დაგვპატიჟა. ხილის საყიდლად მივედი. გოგოები, — მიუთითა ორ დაქალზე, — მახლდენ თან. ხომიანი ყავა სცოდნია, — ელექტროსიგარეტი მოქაჩა.

ბიჭები სამკუთხედს ათამაშებდნენ და მერე კარში ურტყამდნენ.

— ჰო, ჩემმა ცოლმა მაგარი ყავა იცის, — გაიღიმა, — ბიჭო, — დაიყვირა, — ის ჯეკლასი ახლა იყიდე?

— კი, საშა ძია, — მივიდა მასთან ლუკა, მიატოვა ბურთი, — ეს ჯეკლასი მამაჩემმა მიყიდა, უნივერსიტეტში რომ ჩავაბარე, მაჩუქა. ის პორშე კი ანასია.

— ვაააა. მაგრები ხართ, რა. ისე, — მიტრიალდა, — ამათ მერამდენედ უნდა უბაღელშჩიკოთ, არ მოგებურდ-ათ?

გოგოებმა დაიმორცხვეს, ბიჭებს კი სიამაყემ გადაურბინა სახეებზე.

— კაროჩე, შევედი ახლა მე გასახდელში და რომ გამოვალ, დავცხობ. შევიკარით უკვე, — და ლუკა ნავიდა, ხოლო როცა სტადიონი დატოვა, შემობრუნდა და საშას დაუყვირა, — მწვრთნელები მოვიდნენ, მწვრთნელები. საშა უმალ ადგა და ჩქარი ნაბიჯებით გაეშურა.

2

მაისი და ზაფხული რომ გადაივიდა, გასახდელში სიცივე მატულობდა და მატულობდა. შემოდგომაზე აყრილი და დამტვრეული იატაკი ცივდებოდა უკვე და სანამ ფეხზე ჩაიცვამდი, აქეთ-იქით ხტუნვა გინევდა, ზამთარში კი მაისურის გახდა და დაჟრიალება ერთი იყო. ელექტროგამათობელს მხოლოდ კაბინეტსა და შემოსასვლელში ნააწყებოდით. კედელზე, როგორც კი კარს შეაღებდი, თვალში გეჩხირებოდა თაბახის ფურცელზე კაღებით დაწერილი ორი გამოჩენილი ფეხბურთელის — ოთარ კორღალიძისა და ალექსანდრე ჩივაძის — ბიოგრაფია შავ-თეთრი ფოტოებითურთ. კაბინეტის წინ, სანამ გასახდელში შეხვიდოდი, ყავის გაფუჭებული აპარატი იდგა... ელექტროგამათობლის გვერდზე, შემოსასვლელ კართან, დივანის თავზე ხის ჯვარი იდო — გამოჩენილად, შესამჩნევად. იატაკი განუწყვეტლივ ჭრიალებდა. საშა ძია მუდამ გაიძახოდა, რომ მშვიდად და წყნარად ევლოთ და, რაც მთავარია, ბურთი ზედ არ დაეხეთქებიანთ. გასახდელს აურაცხელი წარწერები ამშვენებდა — ზოგი კალმით დაწერილი, ზოგი ფანქრით და ზოგი — რით... ყველაზე გამოკვეთილი, გამოსაჩენი, გინდოდა თუ არა, პირველი მას რომ კითხულობდი, იყო:

„თქვენი, რომელთაც გატაცება... მხოლოდ... უინია. მე არც წარსულის, არც მომავლის არ მეშინია.“

მალალ ზავშეს ან კაცს ეკუთვნოდა აშკარად. დანარჩენ კედლის სივრცეს სახელ-გვარები და ერთი ნოტივი წარწერა ავსებდა — „მარის, მიაწეი ბოლომდე“. იქვე კუთხეში კი დამტვრეული სკამები, სანმენდი ჯოხები, ცოცხები, ტილოები და სარეცხი საშუალებები ეყარა. გასახდელი სიგარეტის სუნით ყარდა... ქეიფობდნენ. ღრიალი და სიცილი ისმოდა. ბიჭები იცვლიდნენ. ლუკამ ჩანთიდან ნახევარლიტრიანი პლასტმასის ბოთლი ამოიღო, რომელშიც კონიაკი ესხა.

— ეს რად გინდა, შეჩემო?

— საშას წამოვუღე.

გაკვირვებს. ლუკამ კარზე დააკაკუნა. მოდი, მოდიო, გამოსძახეს. — აი, საშა ძია, რომ შეგპირდი. ჩემი ხელით გაკეთებული კონიაკია.

საშა ძია წამოდგა, გამოართვა და ჩაეხუტა. დანარჩენებმა, ყოჩაღ, ყოჩაღო...

— დღეიდან შენთვის ალექსანდრე ვარ, — და ნაღვე-ქიანი ყავის ჭიქა გაუწოდა, — დაგვიღიე ერთი ჭიქა.

— ვა, ვა, ნახე შენ, თავისი ყავის ჭიქა მოგცა, — მხარზე ხელი მიართყა ხანშიშესულმა მწვრთნელმა.

ლუკამ კონიაკი გადაკრა და გამოვიდა. მერე შესასვლელთან ჩამოკიდებული ქურთუკი მოიცვა და მწვრთნელს, რომელიც დივანში იჯდა და სლოტებს გამწარებული თამაშობდა ტელეფონში სიგარეტისა და ელექტროგამათობლის თანხლებით, გულითადად დაემშვიდობა...



ჯემალ შანიძე

მე გამოვედი ძველი სიზმრიდან, გამოვაცოლე სული გოდებით, და ახლა, მგონი, უფრო მიზიდავ და კიდევ უფრო მიახლოვდები.

მე ვერ გიხილე, როცა მენადა, შენ არ მომეცი შანსი, ცბიერი, რომ კიდევ ერთხელ გამომეცადა ეს გრძნობა — დღი და ზეციერი.

არ გამიწყრები, ვიცი, ამაზე, რომ დაგინერო მცირე ბნკარები, მე ვხედავ ახლა შენს სილამაზეს, და, ალბათ, რამდენს შენ ეყვარები.

მე ვხედავ, როგორ გიყვარს ზამთარი და როგორ იხდენ ქუდსა და პალტოს, შენი ღიმილით არის გამთბარი მთელი თბილისი, და არა მარტო...

მე ვხედავ, როგორ ხვდები ამინდებს (შენ გიყვარს ხოლმე წვიმით გართობა), თუმც, ზოგჯერ ხდება, თავსაც არიდე, როს მოიწყენ და როცა მარტო ხარ.

მეც მიჭირს ხოლმე დეკემბრის სუსხი და გაფურბივარ დღეებს ქარიანს, არასდროს ვიყავ მე ასე სუსტი, ეს, ალბათ, ახლა ამ თვის ბრალია...

ცა იქუფრება, შორს ელავს ჯანლი, სულმა სევდები მყისვე მოდენა. ყველგან გეძებე, აღარსად ჩანდი, მზე იყო ცაზე, ვით ცეროდენა.

ჩემს სულში ახლა ეს ქარიც ატანს, თავს არ მანებებს მაინც ვერაგი, ოთახში ჩუმად წრიალებს კატა და ვგდივარ ტახტზე, როგორც პერანგი...

ადვილად არ ჩადგება უსაშველო ეს ქარი. აქანავა ჭადრები, გამოსწოვა ნექტარი. ჩაამსხვრია ფანჯარა, ჩამოყარა ბიები, მთელი ღამე მაჯვავრა ვარდები და იები.

ალარ მინდა, ვიფიქრო, რა იქნება ხვალ და ზეგ.

ალბათ, სულ არ ვიქნები, როგორც დღეს ვარ მაღაზე. ეს რა გვიქნა ამ ქარმა, ნაგვიხდინა იმედი. ნეტავ, სხვაგან რა ხდება, მოვიკითხო ტიბეტში...

მადლობელო ვარ, გახსოვარ რადგან, მიგონებ გულში ჩუმად და ღელვით. უშენოდ ჩემში წყვილი ჩადგა, და, გთხოვ, მომეცი ლამაზი ხელი.

ძვირფასი თუკი რაიმე ყვავის, შენს გულში თუკი ვცოცხლობ მცირედით, გიგზავნი კრძალვით ამ ლამაზ ყვავილს, ყოველთვის გტკონდეს ჩემი იმედი...

შენ კითხულობ და ფაქიზად ფურცლავ მარტოდ დარჩენილ, საოცარ წიგნებს, და ამჩნევ, როგორ იზრდება უცბად შენი გონების და სულის კიბე.

შენ ამჩნევ, როგორ იზრდება მთვარი, როგორ ეცვლებათ სეზონებს ფერი, ზოგჯერ არ გინდა გახედვა გარეთ და არ გინდება სურვილი ფრენის.

მაგრამ ცხოვრება ძალიან გიყვარს და იმედებით სავსე ხარ მარად. მზად ხარ, ტალახით მოზილო თიხა და თუ დაგჭირდა, ძალიან ჩქარაც.

შენი გონება ყველაფერს წვდება, ყველაფერს ხვდები შენი გუმანით, თუმცა ცხოვრება უეცრად წყდება, ცარიელდება ყველა უბანი...

დაისადგურა დუმილმა ირგვლივ, ეხლება წვიმის ნოტები სარკმელს, ეზივარ და თავში რითმების რიგი მავალებს ერთად უამრავ საქმეს. წვიმა და ფიქრი ძალიან მიყვარს (ორთავე ერთად მომიტანს შვებას) და ჩემი სიტყვა, უთქმელი სიტყვა, საოცრად მალე ქაღალდზე შრება. მე მიყვარს, როცა გიხსენებ ამ დროს და მოგონება ღრმავდება ძლიერ, შენ ჩემზე, ვიცი, არასდროს დარდობ, მე შენზე ფიქრებს ველარა ვძლიე. ახლა შენ შორს ხარ, მაგრამ ამ მანძილს გააპობს ლექსი და შენთან მოვა. ძვირფასო, ნუღარ მოიწყენ ანი, დღეს მხოლოდ მხიარულების დროა.

მეათასა გამკლავი

— ბეორბი, გეორგი როვაშვილი — სანდომიანი გამომეტყველებით უთხრა გამყიდველს შუახნის კაცმა და ფასდაკლების ბარათი გაუწოდა, შემდეგ კი პროდუქტებით სახსრად ცელოფნის პარკი გამოართვა, მარკეტიდან გამოვიდა და ნელი ნაბიჯით წავიდა კორპუსებისკენ.

გეორგი ცისფრად შეღებილი საცხოვრებელი კორპუსის წინ ზურგით იდგა და მაჯის საათს დასწერებოდა. სინამდვილეში შუახნის ციფერბლატი ფანჯარას ირეკლავდა და გეორგი იმ სახლს უთვალთვალავდა, სადაც გუჩა ცხოვრობდა. მალე გეორგის მხარზე კენჭი მოხვდა, კმაყოფილმა ჩაილაპარაკა — გაები, შე მეღავ — და გაღიმებული სახით ფანჯრისკენ შეტრიალდა, საიდანაც გუჩა იყურებოდა და თვალით ანიშნებდა, ამოდო.

— ჯონი, შე უნამუსოვ, თურმე ქალაქში ჩამოსულხარ და მე კი ეხლა გავიგე, შემთხვევით მოგკარი თვალი ფანჯრიდან, — მხიარული ტონით უთხრა გუჩამ გეორგის და თან ხელჩამორთმევით გადაკოცნა. გეორგი ბინაში შევიდა. შესასვლელში შავი ძაღლი იწვა და სევდიანი თვალებით შესცქეროდა სტუმარს.

— ახლახანს ჩამოვედი, — ნაილულულა გეორგიმ და გამჩხრეკავად თვალი მოავლო ოთახს.

— ისევე ისეთი ხარ, ძმაო. ხმა კი საგრძნობლად შეგცვლია, — რიხით უთხრა გუჩამ, გეორგიმ კი ცელოფნის პარკიდან პროდუქტები ამოალაგა და ძველმა მეგობრებმა ცოტა ჩაუფინეს, სანამ ერთ-ორ ჭიქას დალევედნენ.

— რას ჩაიწირობ, რას აკეთებ? — ჰკითხა გეორგიმ.

— ფანჯრიდან გამვლელებს ვითვლიდი, ჰა-ჰა-ჰა, — გადაიხარხარა გუჩამ.

— მე მერამდენე ვიყავი? — სიცილით ჰკითხა გეორგიმ.

— შენ მეათასე, მეათასე, — იცინოდა გუჩა.

ცოტა რომ შეზარხოშდნენ, საქმეზე გადავიდნენ და სიტუაცია შეიცვალა.

— არის რამე საქმე? — პირველმა გეორგიმ იკითხა.

გუჩამ სიგარეტს მოუკიდა და თვალეები ისე მოჭუტა, თითქოს მზე სახეში აჭყეტავსო:

— არის!

— არა, მე შევეგვი მაგეებს, შარია, თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, — ნაილულულა გეორგიმ მოულოდნელად.

— დამიჯერე, ჯონი, ბედნიერება თავისით არ მოდის, გაჭირვებაში და შიმშილში აღმოგხდება სული, — მკაცრი კილოთი თქვა გუჩამ და ოთახში გაიარ-გამოიარა.

— ეგრე იოლი გგონია ჰიპერმარკეტის სალაროს გატანა? — ჰკითხა გეორგიმ და გამომცდელი მზერა მიაპყრო.

— ფულით სახსრად ტომრები არ გვანყენს, ჯონი, ქალაქარეთ დაისვენებ, რა გინდა?! ამ გაჭირვებაში ფულია მთავარი ამ ქვეყანაზე. სხვანაირად, ყველა ვარიანტში, დაჩაგრული იქნები. ხომ გაგიგია, ბევრი ფული — ცოტა პრობლემაო, — ისე ამბობდა გუჩა, თითქოს გეორგის ნათქვამი არ გაუგებიაო.

— არა, არ შემიძლია. კაი ხანია, ასეთ საქმეზე არ წავსულვარ. შეიძლება ხვოსტზეც მაზიან. ამ ბოლო ხანებში სასმელს დაუჯახლოვდი, ხმა იმიტომ შემეცვალა. გუჩამაც კინაღამ პოლიციამ დაამაკავა, — ყოველანაირად გეორგი, იქნებ უფრო მეტი დავაყაჭიროო.

— ხმა კი მართლა შეგცვლია, მაგრამ ეგეთები ხელს არ შეგვიძლის. სალაროდან ფულს მე ავიღებ, შენ მხოლოდ ვიტრინებთან უნდა იდგე და გამყიდველის ყურადღება მიიქციო. არც ახლა არ შეგიძლია? — მოუჭრა გუჩამ.

გეორგი ფანჯარას მოშორდა და დაბალი ხმით დაიწყო:

— დაეუშვათ სალარო გავიტანეთ, მერე რა უნდა ვქნათ?

— სასწრაფოდ ბათუმში ავითესებთ. პირველად ხომ არ მივიღვართ ასეთ საქმეზე? იქიდან თურქეთში გადავალთ — ახალი პასპორტი და იგრილი. ოქრო, მცხუნვარე მზე, წყნარი ტალღები, სიმშვიდე, სასიამოვნო მუსიკის ჰანგები, ნამდვილი სამოთხე იქნება, — იმედისმომცემი ხმით თქვა გუჩამ.

— განა რამდენი იქნება სალაროში? — იკითხა გეორგიმ.

— ყველაფერი შევამონმე, ჩემო ძმაო. ხელნაშობს კრავი მალაზია არ გეგონოს. სოლიდური ფირმაა, იაპონური ტექნიკით ვაჭრობს. დღის ბოლოს სალაროში რამდენიმე ათასი ინახება. აბა, ვინ მიიტანს ამაზე ეჭვს? ვის მოაფიქრდება სალაროს პატარა უჯრა და ბევრი ფული ერთად? მთავარი მოხერხებულობაა. მარკეტის მინისქვეშ საავტომობილო სადგომთან ამოქოლილი ნაგავსაყრელია, სადაც გამზადებული გვირაბი გველოდება. იქიდან ქუჩაში გავალთ გადაცემულნი. დამიჯერე, პოლიციას ნარმოადგენს არა აქვს ამ გვირაბზე. ისინი მარკეტს წრეში მოაქცევენ, მაგრამ მთლიანად ქუჩების ბლოკირებას ვერ შეძლებენ. ბოლო-ბოლო, ჰო თუ — არა?

გეორგიმ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ეგრე რა, შე კაცო, თორე მომკლა ამდენმა ხვეწნა-მუდარამ, — შვებით ამოი-



ლევან გელაშვილი

სუნთქა გუჩამ. გეორგის მიუახლოვდა და დაბალი ბოხი ხმით დაიწყო, — ყოველივე მოფიქრებული მაქვს, გეგმაც შევადგინე. აი, რა უნდა გავაკეთოთ... — აქ გუჩამ ლაპარაკი შეწყვიტა, მიიმედა ჩაახველა და განაგრძო, — მალაზიაში რომ შევალთ, მე დავდგები ვიტრინებთან და ისეთ შთაბეჭდილებას შევქმნი, თითქოს რალაცის შექმნა მსურს და გულდასმით ვათვალთვლებ პროდუქციას. შენ კი ამასობაში სალაროს მიუახლოვდები და ქალს ეტყვი, რომ ციფრული, ეკოლოგიურად სუფთა სათვალის არჩევა გსურს. ის ხელით გიჩვენებს ვიტრინებს და გეტყვის, რომ გამყიდველ ქალს უნდა მიმართო. ამასობაში შენ გულდასმით უნდა დაათვალიერო სალაროს უჯრები და სხვა წერილობანი, თუ რაიმე საეჭვოს შენიშნავ, დაუყოვნებლივ უნდა შემატყობინო. ამ ყოველივეს შემდეგ შენ ვიტრინებში სკენ ნახვალ, მე კი — სალაროსკენ. სულ რამდენიმე წუთი გვაქვს დრო, დაცვის წევრები ყოველ 30 წუთში იცვლებიან. სწორედ ამ შეცვლის მომენტში უნდა მოვითავოთ საქმე. კონსულტანტი ქალის ყურადღება უნდა მიიქციო, ის უნდა დაგეხმაროს სათვალის შერჩევაში. შენ იქნები პრეტენზიული, ჭირვეული მყიდველი, რომელიც კითხვებით ბურლავს ტვინს. ამასობაში მე მოლარე ქალს მცირე დოზით გამაბრუებელ სითხეს შევასხურებ. სანამ ის გაუძირველად გაყურდება, მე ხელის სწრაფი მოძრაობით უჯრის გამოვაცარიელებ. შემდეგ გასასვლელისკენ წავალ, შენ რამეს მოიმიზეზებ და სწრაფი ნაბიჯებით უკან გამომყვები, გვირაბის ბოლოს ჩემს ოპელში ჩავსხდებით და ჰერი ბათუმისკენ.

გეორგი გაცეცხული უყურებდა, ოდნავ დამინანიებდა მზერა ჰქონდა. მერე საქმიანად წამოიწყო:

— ერთი მნიშვნელოვანი დეტალი გავიგე — სალაროს ფული უჯრის ულტრაიისფერი მარკეტით შეიძლება იყოს დანიშნული. ასეთი ფულით სადაც მივალთ, იქ აგვიყვანენ.

— ეგ კი მართლა გამომრჩენია, — ჩაილაპარაკა გუჩამ.

— რა გაეწყობა, დღესვე უნდა ვიმოვოთ გზის ფული.

— კი მარა საიდან?

— მე რაღა.

— თუმცა რა საფიქრებელია, ჩემ ფინიას გავყიდი თავის ლეკვებიანად, ჯიშისანი როტვილერი, ორი კვირაა, მეხვეწება მეზობელი, — თქვა გუჩამ.

— ეს საკითხიც გადაწყდა, — კმაყოფილმა თქვა გეორგიმ და დაამატა, — ალბურულ მაყუთს შუაზე გავყოფთ.

— შუაზე რათა? — გაჯავრდა გუჩა.

— მა, როგორ?

— შუაზე რათა, კაცო?! მეტი მე უნდა შემხედვს, საქმეზე მე მიმყავხარ.

— არა! მაყუთი შუაზე გაიყოფა, ეგრე ვმუშაობ მე, — აღრინდა გეორგი.

— ჰო, კაი — შუაზე გავყოფთ, — თქვა მცირე დუმილის შემდეგ გუჩამ.

სალამო ხანს გუჩას ბინაში გეორგი მივიდა. გუჩას ფული უკვე ჯიბეში ედო და გამოსაცვლელი ტანსაცმელიც ჩაელაგებინა. ყოველი წერილობანი დააზუსტეს და მერე დღეს შეხვედრა დათქვეს. დათქმულ ადგილზე მისვლისას გუჩამ ორი მომცრო ბოთლი ამოაძვინა კომბინეზონის ჯიბიდან.

— მაიცა, ჯონი, ჯერ ეს დავლიოთ, ჯანზე მოგვიყვანს და მხნედ ვიქნებით, — უთხრა გეორგის და ორივემ სულმოუთქმელად გამოცალა შუშუნა სითხე, რომელიც, გეორგის აზრით, ენერგეტიკული სასმელი უნდა ყოფილიყო.

როდესაც მალაზიაში შევიდნენ, დასან-

ყისში ყველაფერი გეგმის მიხედვით მოხდა. გაბრუებული მოლარე გახიხებული, აღქმადგაგვიანებული იჯდა უგრძობლად. ის იყო, გუჩამ უჯრები გამოსხნა და მაჯაზე ჩაკერებულ ტომარასავით ქამრიან ჯიბეში ალაგებდა მსხვილ კუპიურებს, რომ მოულოდნელად პოლიციის ნიღბიანი სპეცსამსახურის თანამშრომლები შემოცვივდნენ. გაქცევას აზრი არ ჰქონდა, გუჩას მყისიერად ხელბორკილები დაადეს.

გეორგიმ ჰარიკი მოიხსნა, სპეციალური ნებოვანი ლენტის სახის კანიდან აიძრო, წარბებთან მიმაგრებული სილიკონი მიოშორა, ნესტოებიდან ჩადგმული პლასტმასის მილაკები გამოიძვრინა, გრიმის ფერადი ფენა გაიწმინდა და გადაჭიმული კანი გასწორდა. მისმა სახემ სრულიად სხვა გამომეტყველება მიიღო. საგამოძიებო ბიუროს თანამშრომლებმა ხელი ჩამოართვეს და ოპერაციის წარმატებით დასრულება მიულოცეს.

— ნელსაც პრემიაზე გახვალ, შარშან რომ ჯონი დავიჭირეთ, ისიც შენი დამსახურება იყო, — ჩაულაპარაკა ერთმა ლიმილით.

სალამოს გეორგი ცუდად გახდა. გაფითრდა და მოცელილივით დაეცა, საავადმყოფოში გადაყვანამდე გარდაიცვალა. როგორც იზოლატორში გუჩამ თქვა, მას უფიქრია, მოპარული ფული რაღა ამ შობელობაში გაუყურო და იმ ბოთლით მონამღვლილი სითხე დააღვინა...

ნამდვილი სიბარა

შპშშა სილუეტმა დერეფანი რომ გაიარა, კარზე რიტმულად დააკაკუნა. დახშულ ხმას კარის ჭრიალი მოჰყვა და ცქვიტი შეგტუხა გარეგნობის ბადრი ოთახში შევიდა, რომელიც რეალურად ბაროკამერა უფრო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი ოთახი.

ბადრი — კომუნიკაბელური იდიოტი, ამასთან ძალიან ილბიანი — მათრახის ტყლაშუნივით იცინოდა, ყოველი სიტყვის ბოლოს გაიტყლაშუნებდა ხოლმე.

ოთახში საზრინთვალეა ზორი ფანჯარასთან იდგა და ყალბუბების ნაპრალში წვიმისაგან გადარეცხილ ქუჩას უყურებდა.

ზორი (იგივე ანზორი) — მეტსახელად გამცლებელი. მასზე ყოველთვის ამბობდნენ, რომ ჯიბეში მეტი ჰქონდა, ვიდრე — თავში. ძალიან იდუმალი პიროვნება იყო, 30-ზე მეტი ადამიანი ჰყავს მოკლული, დადიოდა ხმები.

როდესაც ბადრი მაგიდასთან დაჯდა, ზორიც სავარძელში ჩაეშვა და ბეჭდიანი

თითი მოვარაყებულ საფერფლეზე აათამაშა. მერე სიგარას მოუკიდა და ნახევრად ჩაბნელებული ოთახი მრუმე ნისლში გაეხვა. ბადრი თითქოს მშვიდად იჯდა, თუმცა შინაგანი დაძაბულობა ეტყობოდა. მათი დიალოგი შოთილას ეხებოდა. დიდ ფულს დიდი სისასტიკე ახლავს ნილების განაწილების და, განსაკუთრებით, წართმევის დროს. შოთილა ნლიდან წლამდე ზრდიდა თავის ნილს მოგებიდან, მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ მისი დამსახურებით მარკეტების ქსელის სრულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფდა. ბადრი, დიდი ხანია, საბჭოში მის გზიდან ჩამოშორებას ითხოვდა, ამ თემას კი საბოლოოდ ზორი წყვეტდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ბიზნესიდან მენილები უნდა მოიშორო, მაგრამ ბიზნესის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელს არ უნდა შეეხო. ბადრი ამბობდა, სანამ აგარაკზე ისვენებს, ყველაზე შესაფერისი დროა მის მოსაკლავადო. ზორიმ საზრინანი თვალები მილულა. მერე სიგარა გააბოლა და ზღაზვნით განელილი კვამლი ღრმა ნაფაზით გაფანტა. მცირეოდენი დეტალი დააზუსტა და ყავა ჩამოასხა იქვე მაგიდაზე მდგარი ვერცხლის ჩინური პატარა ჩაიდნიდან.

— დალევ? — ჰკითხა ბადრის.

— კი, დამისხი.

სწორედ იმ წამს, როდესაც ყავას ასხამდა, ცქვიტი-ბადრიმ ჯიბიდან პატარა დისტანციური მართვის საათის მექანიზმიანი ბომბი ამოიღო და მაგიდას ქვემოდან მიაკრა. შემდეგ კი ჩვეული მანერით ფინჯანი აიღო და ყავა მოსვა.

— ნამდვილი სიგარა, იცი, როგორ კეთდება? — ჰკითხა ზორიმ და პასუხს არ დალოდებია, ისე განაგრძო, — კუბელი ქალები შოკოლადისფერ ბარძაყებზე იგორგოლავენ, — ამ სიტყვებზე ისევე სიგარა მოქაჩა და ოდნავ დამცინავი კმაყოფილი სახით დააკვირდა ბადრის, რომელმაც ყავა სულმოუთქმელად გამოცალა, — მოკლედ, მაგ საქმეს მე მოვთავაზებ. აგარაკზე დავადგები, — თქვა მოულოდნელად ზორიმ, — ჩემი ხალხი მყავს, ყველა დეტალს ვავთვლით.

მერე ცქვიტამ მალულად საათს დახედა და წასასვლელად მოემზადა.

— ჩემი ინტერესი — რვა — მწვანე და ბრილიანტების საქმეში ორი პროცენტი, — თქვა ზორიმ ისევე.

ცქვიტას გაუკვირდა კიდევ ასეთი მცირედი მოთხოვნა, თუმცა არაფერი უთქვამს, თავი დაუქნია და წამოდგა. მაგიდაზე მიკრული მექანიზმი წამებს გამალებით ითვლიდა.

— ჩემი ხალხი გაგაცილებს, — უთხრა ზორიმ და სიგარის მოწვევა განაგრძო.

შავი სილუეტი ისე გამოვიდა ოთახიდან, რომ არავის გაუცილებია. ბნელი ტალანის მსგავსი დერეფანი გაიარა და გარეთ გავიდა, სადაც ფორიანწარბებიანი შოთილა ელოდებოდა მანქანაში.

შოთილა — იგივე ზორია. ტრაქტორით ბოხი და რახარა ხმა ჰქონდა. საუბრის დროს ხმა უწყდებოდა ხოლმე, თითქოს ყელის სიღრმეში აფეთქებები ხდებოდა. მისი მაფიის ბოსივით მანერები და მიხვრა-მოხვრა ერთბაშად გაგრძობინებდა თავის პიროვნების უზენაესობას.

სანამ ბადრი მანქანაში ჩაჯდებოდა, ჯიბიდან დისტანციური მართვის პულტი ამოიღო:

— გავისტუმრო ეს იდიოტი, — ჩაილაპარაკა.

— მოიცა, — შეაყოვნა შოთილამ მანქანის ფანჯრიდან. გადავიდა და ბადრის მხარზე ხელი დაადო, — რამდენი ხანი გავიდა? ცოტა დაიცადე.

ბადრიმ სხაპა-სხუპით მიაყარა:

— სანამ ყავას ასხამდა, ბომბი პირდაპირ მაგიდას ქვემიდან მივაკარი. მთლიან ოთახს ავნებ ჰაერში.

უცებ ბადრი გაფითრდა და უსულოდ დაეცა მიწაზე. დერეფნიდან ზორი გამოვიდა:

— თვითონ მითხრა, ყავა დამისხიო. შხამი, რომელიც მისთვის განკუთვნილ წვენში უნდა გამერია, ყავაში ჩაუყუარე, — უთხრა შოთილას.

— ახლა მაგის დრო არ არის, გვაში დავმალე, მომეხმარე, — დაიხარა შოთილა.

— სამყაროში არსებობს ნამდვილი სიგარა, რომ ადამიანები ბედნიერები იყვნენ, — ჩაილაპარაკა საზრინანთვალეა ზორიმ, კვამლი სწორხაზოვნად გამოუშვა და შოთილას ზურგს შეხედა...

გალაკტიონ ტაბიძის პოეზიის დასახასიათებლად — განსაკუთრებით 1977 წლიდან, როდესაც გამოვიდა მიხეილ კვესელავას დიდტანიანი მონოგრაფია „პოეზიის ინტეგრალები“ — ხშირად გამოიყენება ცნება *ინტეგრალი / ინტეგრალური*. 1980 წელს ეს მათემატიკური ტერმინი თავისი ნივთის სათაურში გაიტანა როლანდ ბურჭულაძემაც — „მხოლოდ ინტეგრალური“. სათაური ციტატაა გალაკტიონის შედეგრიდან „ეფემერა“, რომელშიც ვკითხულობთ:

*ლექსთა შეჯიბრებაზე —
მხოლოდ ინტეგრალური,
ცხენთა შეჯიბრებაზე —
ისევ ლურჯა ცხენები!*

თუ დავაკვირდებით, ლექსის ტექსტში, რომელსაც გალაკტიონის თხზულებათა აკადემიური თორმეტტომეულიდან ვიმონუმებ (ტ. 2, გვ. 103), რაოდენ მოულოდნელიც უნდა იყოს, იკითხება არა „მხოლოდ ინტეგრალური“, რასაც შეჩვეული ვართ, არამედ — „მხოლოდ ინტეგრალური“.

აკადემიურ გამოცემას, ცხადია, მეცნიერულად დადგენილი ტექსტის პრეტენზია აქვს, ყველა სხვა ტიპის გამოცემა მას უნდა ითვალისწინებდეს, ამიტომაც გაკვირვებას იწვევს, რომ „ინტეგრალის“ ნაცვლად მუდმივად ფიგურირებს „ინტეგრალი“. ეს ეხება არამხოლოდ რიგით გამოცემებს, არამედ ცნობილი გალაკტიონოლოგების — რევაზ თვარაძის, ნოდარ ტაბიძის, ვახტანგ ჯავახიძის მიერ შედგენილ „რჩეულს“, აგრეთვე, ამიტომაც ლეონიძის პოპულარულ „რჩეულს“ (1973). „ეფემერას“ ტექსტში შეტანილი ცვლილების გამო არც მკვლევართა და არც პოეტების რაიმე განმარტება არ გაუკეთებიათ, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ აკადემიური თორმეტტომეული „ინტეგრალი“ მათ კორექტურად ჩაითვალეს და, ასე ვთქვათ, საეჭვო ნაკითხვა ტრადიციული „ინტეგრალი“ ჩანაცვლეს.

მაგრამ არის კი „ინტეგრალი“ კორექტურა?

გალაკტიონის სიცოცხლეში მომზადებული და დაბეჭდილი გამოცემების გადასინჯვამ, „ეფემერას“ ტექსტის ისტორიის შესწავლამ მთლიანობაში საყურადღებო სურათი წარმოაჩინა.

„ეფემერა“ („ცხენთა შეჯიბრებაზე“), ეგრეთ წოდებული ეფემერის ციკლის მეთაური ლექსი, პირველად 1922 წელს გამოქვეყნდა „გალაკტიონ ტაბიძის ჟურნალის“ მესამე ნომერში (გვ. 1). აქ, პირველნაბეჭდ ტექსტში, შესაბამის ადგილას, იკითხება სწორედ ის სიტყვა, რაც აკადემიურ გამოცემაშია ასახული — „მხოლოდ ინტეგრალური“. ამის შემდგომ პოეტის სიცოცხლეში შედგენილ ნიგნებში „ეფემერა“ კიდევ ხუთჯერ გამოქვეყნდა: 1927 წლის „რჩეულში“, ეგრეთ წოდებულ ზარნიშან ნიგნში (გვ. 341), 1937 წელს გამოსულ თხზულებათა პირველ ტომში (გვ. 478), აგრეთვე, 1944, 1954, 1959 წლების „რჩეულში“ (შესაბამისად: გვ. 434, 239, 518). ყველა ამ გამოცემაში, გარდა 1954 წლის „რჩეულისა“, იკითხება „მხოლოდ ინტეგრალური“ და ოდენ 1954 წლის „რჩეულში“, რომელიც, რედაქტორის აქტიური ჩარევის გამო, ტექსტოლოგიური თვალსაზრისით ყველაზე არასანდო, არაავთენტურ გამოცემადაა მიჩნეული, ფიქსირდება „ინტეგრალური“.


არსებობს „ეფემერას“ ერთადერთი ავტოგრაფული ხელნაწერიც, რომელიც დაცულია ქართული ლიტერატურის მუზეუმის გალაკტიონ ტაბიძის ფონდში (№2516). ხსენებულ ავტოგრაფში მკაფიოდ, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე იკითხება „ინტეგრალური“.

ამრიგად, ფაქტობრივ მონაცემებზე — პოეტის ავტოგრაფსა და ავტორიზებულ გამოცემებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ინტეგრალი“ ლეგიტიმური, ავტორისეული ნაწარმოებობის სიტყვაა და არა კორექტურული ლაფსუსი.

ამ თვალსაზრისს უფრო მეტ სიმყარეს სძენს გალაკტიონის შემოქმედების სხვა, ანგარიშგასაწევი ფაქტებიც.

„ეფემერა“, როგორც ცნობილია, 1922 წელს დაინერა, სიტყვა „ინტეგრალი“ კი პოეტს უფრო ადრეც აქვს გამოყენებული. ლექსში „Voiles“ („ვუალები“, 1916), რომელიც პირველად „არტისტულ ყვავილებში“ დაიბეჭდა (გვ. 23), ვკითხულობთ:

*საიდუმლო ალები! ისევ მომეძალება
უმიზეზო წვალე და
ლურჯი მწერვალები!*



ვარსკვლავებით მნიშვნელი, ლოცვა-გასაკვირველი: ასეთია პირველი

ტრფობის ინტეგრალური. უნდა აღინიშნოს, რომ ეს სტროფი ყველა შემდგომი პუბლიკაციისას უცვლელად იბეჭდებოდა და არავის მოსვლია აზრად „ინტეგრალის“ ჩანაცვლება „ინტეგრალით“.

გალაკტიონის ხელნაწერებზე მუშაობისას სიტყვა „ინტეგრალი“ 20-იანი წლების ერთი ცნობილი ლექსის ვარიანტშიც აღმოჩნდა. ავტოგრაფულ ტექსტში (851) ლექსისა „გაგონდება თუ არა“, კერძოდ, მესამე სტროფში, კატრენის ბოლო ორი ტაქვი კანონიკური ტექსტისგან განსხვავებულ ნაკითხვას იძლევა:

*კიდევ შეგრჩა თუ არა
მზიარული თვალები,
თუ დრომ დაგისამარა
ყველა ინტეგრალური?*

ეს ავტოგრაფისეული „ინტეგრალური“ ძველი აკადემიური თორმეტტომეულის ვარიანტებში, მცდარი ნაკითხვის გამო, გადმოიტანილია, როგორც „ინტეგრალური“ (ტ. 2, გვ. 314), რაც აშკარა ტექსტოლოგიური ხარვეზია. იგი გასწორდა ახალ აკადემიურ გამოცემაში, სადაც „ინტეგრალურმა“ კუთვნილი ადგილი აღიდგინა (ტ. 3, გვ. 508).

არსებობს ერთი ირიბი ცნობაც, რომ ოციანი წლების მკითხველი „ეფემერაში“, როგორც მოსალოდნელიც იყო, ავტორისეულ „ინტეგრალს“ კითხულობდა. გალაკტიონის დღიურში, პირობითად 1930-1931 წლებით რომ თარიღდება, ჩაუნერია უცნობი ავტორის მიძღვნილი ხასიათის ლექსი, შთაგონებული ეფემერის ციკლის მხატვრული სახეებით (საარქივო გამოცემა, XIV, გვ. 33). ლექსი ასე იწყება:

*დღეს საქართველოს ხშირად ახსენებ,
გიყვართ სიმალღე და მწვერვალები...
ვიცი, გრძნობები არ მოგასვენებს
და ლექსში ისევ ინტეგრალური.*

ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არამარტო ის, რომ უცნობი ავტორი აშკარად „ეფემერადან“ მომდინარე „ისევ ინტეგრალურს“ ახსენებს, არამედ უფრო მეტად ის, რომ ლექსი ჩანერილია გალაკტიონის მი-

ერ და „ინტეგრალი“, როგორც დედნისეული სიტყვა, ხელშეუხებლად დატოვებულნი.

სიტყვა „ინტეგრალი“ გალაკტიონს რამდენჯერმე აქვს გამოყენებული პროზაურ ჩანაწერებშიც, სადაც ეს სიტყვა აღნიშნავს:

1. საბეჭდი მანქანის ინტეგრალს;
2. დროის შუალედურ მონაკვეთს;
3. მანძილს ბგერისა და ბგერამდე — მუსიკალურ ინტეგრალს.

განსაკუთრებით საინტერესოა ერთი მხატვრული ფრაგმენტი, გალაკტიონის ხელით ჩანერილი ოლია ოკუჯავას 20-იანი წლების დღიურში:

„და მოაგონდა მხატვარს თავისი ცხოვრების ერთი შემთხვევა. ერთხელ იგი ომნიბუსით მიდიოდა, მის წინ იჯდა უცნობი ქალი. მხატვარს არ დაუნახავს ამ ქალის სახე, მან დაინახა მხოლოდ მისი ხელები. ხელები, ბროლივით ჩამოქნილი თითების ვარდისფერი ფრჩხილები, ისეთი, როგორც ანერილი აქვს ფრანგ მგოსანს ტეოფილ გოტიეს თავის „ხელების ეტიუდში“. და დამახსოვდა მხატვარს ეს ხელები, როგორც მშვენიერი მელოდია, მშვენიერი ინტეგრალი ჩარჩება ხსოვნაში ადამიანს და არ მისცემს მოსვენებას მას“ (საარქივო გამოცემა, XXIV, გვ. 419-420).

ამ პოეტურ ფრაგმენტში „ინტეგრალი“ შინაარსობრივად მუსიკას უკავშირდება და ასოციაციის პრინციპით ქმნის მხატვრულ სახეს: ხელები, როგორც მშვენიერი ინტეგრალი.

„ინტეგრალის“ ჩანაცვლება „ინტეგრალით“ — თანაც ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე — რომ არ შეიძლება, ამაზე ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც მეტყველებს: „ინტეგრალის“ ცნება გალაკტიონის ლექსებსა და ჩანაწერებში პირველად მხოლოდ ოცდაათიანი წლებიდან ჩნდება. ესაა 1934 წლის პროზაული ჩანაწერი და მისი ვერსია ლექსად — „პოეზიის ინტეგრალური“ (1938). ლექსში ინტეგრალის თემა ასეა წარმოდგენილი:

*როცა უბრალო სიდიდეთა
რჩება რკალები,
უმაღლესი გზა წინ მემულება:
ინტეგრალური!*

როდესაც ინტეგრალს მე ვადარებ
ეხლა მეორეს,
მსგავსებას მათსა და პოეტის
ცხოვრებას შორის [...]

ეხლა კი მის წინ გაიშლება
ფერნალური —
უმაღლესი გზა — პოეზიის
ინტეგრალური!

საკუთრივ „ინტეგრალის“ შესახებ უფრო გაშლილად და ღიად საუბარი ლექსის პროზაულ ვერსიაში: „...ღრმად ვუფიქრდები უმაღლესი მათემატიკის როდესაც გამოანგარიშებას. როდესაც უბრალო სიდიდეთა და გამოანგარიშებათაგან გადავდივარ ინტეგრალურზე, უმაღლესი მათემატიკის ყველაზე რთულ სიმალღეებზე, უნებურად ვატარებ პარალელს ჩემს ცხოვრებასა და ამ ინტეგრალს შორის“ (საარქივო გამოცემა, XIV, გვ. 433).

გალაკტიონის დღიურებში რამდენჯერმე გვხვდება აგრეთვე ცალად ჩანერილი სიტყვა „ინტეგრალი“. რიგ შემთხვევებში პოეტი იმას მიანიშნებს, რომ ცნება ალბულისა მათემატიკის სფეროდან. ერთგან, მაგალითად, ვკითხულობთ: „პოეზიის ინტეგრალური (მათემატიკა)“. სხვაგან ასეთი განმარტებაა: „ინტეგრალი — **ЦЕЛЫЙ, ПОЛНЫЙ, ИНТЕГРАЛЬНЫЙ**“. კიდევ ერთგან კი პოეტი გვამცნობს: „მე მაქვს ლექსი „პოეზიის ინტეგრალური“. უნდა დავუკავშირდე მუსხელიშვილს და ვეკუას ახალი ლექსისათვის“.

„ინტეგრალის“ გამოჩენა გალაკტიონის ოცდაათიანი წლების ჩანაწერებსა და ლექსში, რასაკვირველია, სულაც არ ნიშნავს, რომ პოეტს მანამდე გაგონილი არ ჰქონდა, არ იცოდა ეს მათემატიკური ტერმინი. პირიქით, დარწმუნებული ვართ, რომ მას კარგად ახსოვდა თუნდაც პოეტურ ტექსტში ამ ცნების გამოყენების ფაქტორი, კერძოდ, ალექსანდრ ბლოკის „სკვითებში“ (1918): „**Мы очищаем место бюю / Стальных машин, где дышит интеграл**“... („ჩვენ ვუსუფთავებთ ადგილს ფოლადის მანქანების ბრძოლას, სადაც სუნთქავს ინტეგრალი“).

ეს კი მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ გალაკტიონი ერთმანეთისგან განარჩევდა ორ ცნებას — „ინტეგრალს“ და „ინტეგრალს“ და სხვადასხვა დროს გამოიყენა მათი სპეციფიკური შინაარსით. ასე რომ, „ეფემერაში“ ერთი ცნების („ინტეგრალი“) მექანიკური ჩანაცვლება მეორე ცნებით („ინტეგრალი“) დაუშვებელია! „ინტეგრალის“ კანონიერებას ადასტურებს ფაქტები — გალაკტიონის პოეტური და პროზაული ტექსტების მონაცემები, რაზეც გამომწველივით გვქონდა საუბარი.

რა შინაარსისაა გალაკტიონთან ინტეგრალის ცნება, მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, მეტწილად ცნობილია.

რაც შეეხება „ინტეგრალს“, ირკვევა, რომ „ინტეგრალიც“ — პოეტის შემოქმედებითი ევოლუციის გარკვეულ ეტაპზე — ღრმად მხატვრულ-ესთეტიკური გენეზისის მქონე, მნიშვნელოვანი კონცეპტია და სამომავლოდ ვრცელ, სერიოზულ საუბარს იმსახურებს.



მწერალი

არჩილ ქიქოძე

მწერალი, ფოტოგრაფი და მოგზაური არჩილ ქიქოძე დღეს „ლიტერატურული გაზეთის“ სტუმარია. მისი წიგნების მკითხველი ხშირად წარმოვიდგენ, როგორი საინტერესო ცხოვრება აქვს — ხან გზაშია, ვიღაცებთან ერთად მიუყვება მთის ბილიკებს, ხანაც მარტო მიემგზავრება შორს, ახალი ადგილების აღმოსაჩენად, შემდეგ ქალაქებში დააბიჯებს ფოტოაპარატით, ისმენს ამბებს, ძალსაც ასეირნებს ალბათ... ის ჩემი ერთ-ერთი საყვარელი ავტორია, ზუსტად ისე წერს, როგორი ტექსტების კითხვაც მიყვარს, ისეთი პერსონაჟების გამოგონებელია, რომლებსაც უნებურად მივბაძავ ხოლმე. ჩემთვის სრულიად გაუცნობიერებლად, ისევე ვინცე ლაპარაკს, ვცდილობ, იმ რიტმით თუ იმწარად ვიცხოვრო, როგორც მისი ესა თუ ის გმირი, რომელიც იმ მომენტში მხიბლავს და მაინტერესებს.


ბევრი წიგნი დაწერა უკვე, მოთხრობები და რომანები. ესეების კრებულისა და ფოტოალბომ „საქართველოს“ ტექსტის ავტორიც არის. არაერთი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია — თითქმის ყველა ის ჯილდო აქვს, ქართულ ლიტერატურაში რაც გაიცემა.

2021 წელს დაწერა „ხელიკი საფლავის ქვაზე“, რომელსაც ჩვენი ინტერვიუს წინ ვკითხულობდი. საუბარიც ამით დაიწყო.

— ბოლო რომანის „ხელიკი საფლავის ქვაზე“ დასაწყისში ახსენებთ წიგნალბომს, „შენდობით მომიხსენიეთ“, ერთ თათარაიძისა და ამირან არაბულის ნაშრომს ეპიტაფიებზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ საფლავის ქვებსა და წარწერებს, რომლის კითხვა, ხანაც ფურცვლა და თვალღებვა, ერთ დროს ძალიან მიყვარდა. მინდა ვთხოვოთ, გაიხსენოთ შთაბეჭდილება თუ ფიქრი ან წარმოსახვა, რაც დაგიტოვათ იმ წიგნმა, რამაც არ დაგანებებთ თავი და შემდეგ იქცა სხვა ახალი წიგნის, ახალი სიცოცხლის შთაგონებად.

— ის წიგნი ავტორებმა მაჩუქეს. არც ვიცი, რამდენად მოეწონებოდათ ის, თუ როგორ გამოვიყენე მათი ნაშრომი, მაგრამ ძალიან დიდი შთაბეჭდილება კი მოახდინა იმ წარწერებმა, ეპიტაფიებმა. ჯერ ერთი, თვითონ ეთერი ამბობდა, ვისი მკვდარი არ დამიტოვებოდა და მისი ეს დამოკიდებულება წიგნში მართლაც ჩანს, თითქოს ჭირისუფლის დაწერილია, თითქოს მისი პირით ლაპარაკობენ ავტორები. მერე წარმოვიდგინე, ესენი როგორ დადიოდნენ და აგროვებდნენ ამ წარწერებს. თვითონ ამ საქმემ მოახდინა ჩემზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება, რომ თავიდან ვფიქრობდი, წიგნში ეპიტაფიების შეგროვება ყოფილიყო დედის სპეციალობა, მაგრამ მერე რომ ვიფიქრე და ვიფიქრე, სხვაგან წამიყვანა, სხვა გადამწყვეტილებამდე მივედი. შთაბეჭდილება იმანაც მოახდინა, როგორი მარტივი, ნაივურიცა ეს წარწერები და ამ სიმარტივეში რამდენი დრამაა. თან რომ იცვლება — ქალაქში სხვანაირი წარწერები, სოფლად სხვანაირი... თუმცა ქალაქამდე არ მივსულვარ თბრობაში, სოფელ-სოფელ იარა რომანის გმირმა. ეთერის და ამირანის წიგნმა განსაზღვრა ნამდვილად ისიც, რომ ჩემთან მოქმედების ნაწილი ქართლში მიმდინარეობს, რადგან მათაც მასალის უმეტესობა მგონი სწორედ ქართლში აგროვებს. მოკლედ, ბევრი რაღაც განმისაზღვრა იმ წიგნმა. მერე ივანე კახალიკა-შვილმა, ჩემმა მოხვევე მეგობარმა, გამოაქვეყნა ფეისბუქზე წითელარმიელის ვარსკვლავიანი საფლავის ფოტო და ამან თითქოს კიდევ რაღაც გამიხანათა, ეპოქების ცვლილება დამანახა... მიუხედავად იმისა, რომ ეპიტაფიები ძველი, არქაული არ არის, ისინი მაინც ძალიან პრიმიტიულია და ამ პრიმიტიულობაში კიდევ — მარადიული. რაღაცნაირად ასეა. ამითაც ძალიან ფასეულია ის წიგნი ჩემთვის.

— რადგან ნამძღვრებით და, ასე ვთქვათ, მაღლობებით დაიწყო, გააზნახუც-რიმვილზეც გკითხავთ. ის არის რომანში



წამლერებული სიმღერის ტექსტის „გაზაფხულია, გაზაფხულია“ ავტორი. თქვენ სთხოვეთ დაწერა?

— მანამდე მინდა ვთქვა, რომ წიგნში მესამე ადამიანისთვის მადლობის გადახდა დამავიწყდა, ეს დავით თარხნიშვილია, ხელიკების სპეციალისტი, რომელსაც სულ ვურეკავდი და რაღაცებს ვეკითხებოდი. წიგნი მეორედ რომ გამოიცემა, დავწერ მის შესახებაც...

— ასე წერია რომანში: „Phoeniclereta aevis — ლიბანური ხელიკი... ანაკლიის ციხეზე! პატარა, მაგრამ მდგრადი პოპულაცია, რომელიც იქ ალბათ სამი საუკუნეა ცხოვრობს. ამ ხელიკების წინაპრები ტყვეებით მოვაჭრე თურქულ გემებს ჩამოჰყვნენ ოდესღაც. ის გემები კიდევ ლიბანის კედრისგან შენდებოდა...“

— სწორედ მან მანახა ლიბანური ხელიკები ანაკლიის ციხეზე, რომლებიც იქ სავარაუდოდ იმ გზით მოხვდნენ, როგორც წიგნშია. ამან ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, დავინყე ფიქრი და შეკონინება იმ დიდი ამბის, შემდეგ რომ დაიწერა.

და ნახცოს კიდევ ვთხოვე, ძალიან მარტივი სიმღერა მინდა, აი, ტიპი რომ სულ ერთსა და იმავეს მღერის, ეგეთი დამინერე-მეთქი. დამინერა მართლაც და მერე, როცა რომანი გამოვიდა, მითხრა — სიმღერა ხომ 4 წლის წინ დამანერინე, წიგნს ასე დიდხანს წერდი? არადა, მაშინ ჯერ დაწყებულიც არ მქონდა, ვერ ვინცებდი, მხოლოდ სულ ვინიშნავდი რაღაცებს და ეგეც ჩავინიშნე, გამზადებული სიმღერის ტექსტი.

ეგრე ვარ, სანამ წერას დავიწყებ, დიდხანს ვფიქრობ რაღაცებზე. არსად მეჩქარება ხოლმე.

— ახლა გამახსენდა, მგონი უმბერტო ეკო თავისი „ვარდის სახელის“ ბოლოსიტყვაობაში წერს იმაზე, თუ როგორ არ ჩქარობს, როგორ ქმნის მთელ სამყაროს, სანამ ნაწარმოების წერას დაიწყებს, და ისეთ პერსონაჟებსაც კი იგონებს, რომლებსაც მერე არ იყენებს ნაწარმოებში, მაგრამ ამბობს, მათი არსებობა მაინც აუცილებელიაო. და თქვენც გეცნობათ ეს გამოცდილება?

— ჩემ შემთხვევაში, ბოლო წიგნს ვგულისხმობ, პირველად იყო, რომ იმაზე მეტი ხაზი მქონდა მოგონილი, ვიდრე გამოვიყენე. ოღონდ ეს მოხდა პირველად. ის კი არა, რომ ბევრს ვფიქრობ, უბრალოდ, დაწყება


„ არსად მეჩქარება სოლმა “

მიჭირს ძალიან, არ მიდის ტექსტი და მგონია ხოლმე, რომ ველარ დავწერ ვერაფერს. ჩანანერებიც რომ ნახო, ეტყობა რომ არ გამოდის, ცუდი ლიტერატურაა. მერე რაღაც მომენტში იწყებს და მოგყვება.

ეგეც მინდა ვთქვა, რომ მწერალთა სახლმა მომცა სტიპენდია — ორი კვირა მწერალთა რეზიდენციაში ვიცხოვრე და სწორედ იქ დავიწყე ბოლო რომანის წერა. როცა გამოვედი იქიდან, სულ 20 გვერდი მქონდა დაწერილი, ისიც გადავაკეთე, მაგრამ მთავარია, რომ დაწყებული მქონდა, უკვე შეგინთ ვიყავი. სტიპენდია რომ არ მოეცათ, შეიძლება დიდხანს ვერც დამეწყო.

— ფიქრობ, რომ კარგია, როცა მწერალი არის კარგი მკითხველიც. ლიტერატურა, ზოგადად, ასე მაქვს წარმოდგენილი — დაიწყე ერთმა ავტორმა, გააგრძელა სხვამ, შემდეგ კიდევ სხვამ... ასე ასაზრდოებენ ტექსტები ტექსტებს, ავტორები ერთმანეთს, კულტურები კულტურებს. არ ვიცი, მგონი, ამას გავლენასაც ვერ დაარქვებ, ეს სრულიად მოუხელთებელი საზრდოა, შეგრძნებების თუ შთაბეჭდილებების უხილავი ძაფი, რაც აკავშირებს ერთმანეთთან მწერლებს, რასაც მოძრაობაში მოჰყავს ლიტერატურული ცხოვრება, რაც ქმნის ლიტერატურულ პროცესებს. თითქოს წაკითხული ტექსტები ცოცხლობენ მკითხველში და შემდეგ აგრძელებენ სუნთქვას სხვაგან და სხვაგან... ალბათ ყველას თავისებურად აქვს წარმოდგენილი, თუ რა არის ეს.

— რა თქმა უნდა, უმაგისოდ არ არსებობს. ამიტომაც გაქვს შეგრძნება ვიღაცაზე, რომ ის შენიანია, შენი მწერალია, თუნ-



დაც დიდი ხნის მკვდარი იყოს ან შენი თანამედროვე, მაგრამ არასდროს შეხვდე.




— ალბათ ლიტერატურული ალუზიებიც აქედან ჩნდება ტექსტებში. თუ ეს ორი სრულიად სხვადასხვა რამ არის?

— არ ვიცი, არა მგონია, რომ რაც ზემოთ ვთქვით, იმას კავშირი ჰქონდეს ალუზიებთან. გახსენება მართლა მიჭირს, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ მანდედან მოდის რომელიმე ლიტერატურული ალუზია ჩემს ბოლო წიგნში. თუმცა არა, აქაც და წინა რომანში მაქვს ალუზია ჰომეროსის ილიადასთან დაკავშირებული. მგონი, შეგნებულად გავაკეთე სულაც, რომ ორივე წიგნში ყოფილიყო ილიადა. გავლენას რაც შეეხება, ერთ რაღაცას გავიხსენებ, ამ წიგნზე რომ ვმუშაობდი, მაშინ გამოვიდა თამთა მელაშვილის „შაშვი, შაშვი, მაყვალი“. იმან წამიღო თავის სტილზე, პოეტურ პროზაში გადამიყვანა რაღაც მომენტში, ერთ-ერთ თავში — ქართლში რომ ჩადის, იმ თავს ვგულისხმობ. ვუთხარი კიდევ თამთას. კი არ ჰგავს მაინც და მაინც, მაგრამ ვიფიქრე, რატომაც არა, იყოს-მეთქი. შეიძლება ისე არც დამეწერა იმ მომენტში, თამთას წიგნი რომ არ მეკითხა...

— მე მომეწონა ძალიან, ვაჟას რომ „შეხვდით“ თქვენს ბოლო რომანში, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებიც გამახსენა რაღაც ადგილებში. მერე იცით რა გამახსენდა, ზაირა არსენიშვილი თავის „ვა, სოფელში“, მგონი, „ვეფხისტყაოსანს“ არც ახსენებს, მაგრამ მეჩვენებოდა რომ მთელი ტექსტი სუნთქავდა ამით, ჩემთვის სრულიად შეუცნობელი გზით ვგრძნობდი ამას...

— დიდი შანსია, ასე ყოფილიყო. სინამდვილეში ახსენებს, ბავშვები „ვეფხისტყაოსნის“ სცენებს დგამენ. ახლახან თელავში პირველად ვიყავი ზაირას სახლში. ძალიან ამაღელვებელი იყო, ვათვალისწინებდი მის ბიბლიოთეკას, ვნახე, რა წიგნებს კითხულობდა. ძალიან ბევრი წიგნი ჰქონდა მოგზაურობაზე, კუნძულებზე... სად იქნებოდა ნამყოფი.

— მოგზაურობაზე მინდოდა ცოტა მოგვიანებით მეკითხა, მაგრამ ბარემ ახლავე გკითხავთ: ზაალ ანდრონიკაშვილი რომ ამბობს „ნორვეგიული დლიურის“ ანოტაციაში, რაც უნდა გასაკვირი იყოს, მოგზაურობა მოგზაურობამდე, სივრცეში ფიზიკურ გადაადგილებაზე ადრე იწყებაო... ამაზე გამახსენდა ბაბუაჩემი, რომელიც არსად იყო ნამყოფი, მოსკოვის და ლენინგრადის გარდა, მაგრამ მეგონა,





სუფთა და თბილ ოთახში ფარდები გა-
ნეული იყო. მაგიდის ორი სანათი აენთოთ:
ერთი მერი მელონის, ხოლო მეორე ცარი-
ელი სავარძლის საპირისპიროდ მდგარი.
მისი მელონის უკან, ბუფეტში, ორი მალა-
ლი ჭიქა, გაზიანი წყალი და ვისკი იყო. თე-
რმოსი ყინულის ნატეხებით ამოევსოთ.

მისი მელონი სამსახურიდან მეულ-
ის დაბრუნებას ელოდა.

დროგამოშვებით, ყოველგვარი აღელ-
ვების გარეშე, საათს გახედავდა ხოლმე და
თავს იმ ფიქრით ირთობდა, რომ ყოველი
გასული წუთი თანდათან აახლოებდა მე-
ულის შინ დაბრუნების დროსთან. მისი
მელონის მთელ არსებასა და მის ყოველ
მოქმედებას უჩვეულო სიხარულისა და
კმაყოფილების სხივი დაჰკრავდა. კერვის-
ას უცნაური სიმშვიდით დაეხარა თავი. იგი
ორსულობის მეექვსე თვეში იყო. მერის კა-
ნი ბრწყინვალე ელფერს ატარებდა, მისი
ბაგეები უფრო ფაქიზი, ჰაეროვანი გამხდა-
რიყო, აუღელვებელი გამომეტყველება კი
თვალებს უფრო მეტ სიმუქეს სძენდა.

ხუთს რომ ათი დააკლდა, მიაყურა და
რამდენიმე წუთის შემდგომ, როგორც
ყოველთვის, პუნქტუალურობის ზუსტი
დაცვით, ქვიშაზე მანქანის საბურავების
შემდეგ კი, კარის მიჯახუნების ხმა გაისმა.
ნაბიჯების ხმა თანდათან უახლოვდებოდა
ფანჯარას, გასაღები საკეტში გადატრია-
ლდა. მერიმ კერვას თავი მიანება, წამოდგა
და როგორც კი შეუღლებ შემოვიდა, მის სა-
კოცნელად გაემართა.

— გამარჯობა, საყვარელო, — თქვა მე-
რიმ.

— გაგიმარჯოს, ძვირფასო, — უპასუხა
პატრიკ მელონიმ.

მისი მელონიმ მეულეს პალტო გამო-
ართვა და კარადაში შეკიდა. შემდეგ სას-
მელები გაამზადა — პატრიკისთვის ცოტა
მაგარი, თავისთვის კი შედარებით სუსტი.
მალე კვლავ სავარძელში მოკალათდა და
კერვას მიუბრუნდა. პატრიკს ბოკალი ორ-
ივე ხელით დაეჭირა და ისე ახვლრევდა,
რომ ყინულის კუბები ჭიქის კედლებს ნკა-
რუნიტ ეჯახებოდნენ.

ჩვეულებისამებრ, მისი მელონისთვის
დღის ეს მონაკვეთი მეტად ძვირფასი იყო.
მან იცოდა, რომ სამსახურიდან დაბრუნებ-
ულ მეულეს, მანამ, სანამ ერთ ჭიქასასმე-
ლს არ ჩაცლიდა, დიდად არ სურდა საუ-
ბარი. თავად კი, სირწმემე ყოფნითაც კმაყ-
ოფილი გახლდათ და, სახლში მარტოდ
გატარებული მრავალი საათით თავმოებუ-
რებულს, მეუღლის სიახლოვე სიამოვნებას
ანიჭებდა. მის გვერდზე ყოფნით ტკბობა
უსევდა, ამ მამაკაცურ სითბოს თითქმის
ისევე შეიგრძნობდა, როგორც გარუჯული
ადამიანი გრძნობს მზის მცხუნვარებას.

მოსწონდა, თუ როგორ თავისუფლად მო-
კალათდა პატრიკი სავარძელში, როგორ
შემოალო კარი, დიდი ნაბიჯებით როგორ
ნელა მიმოდინდა ოთახში. მოსწონდა პა-
ტრიკის მისდამი მომართული გამჭოლი,
შორსმჭვრეტელი მზერა, მისი პირის სასა-

ცილო მოყვანილობა, განსაკუთრებით ის,
თუ როგორ დუმდა თავის დაღლილობა-
ზე, გაუძრევლად იჯდა საკუთარ თავთან
განმარტოებული და ამ ყოველივესგან გა-
თავისუფლება ვისკისთვის მიენდო.

— საყვარელო, დაღლილი ხარ, არა?

— დიახ, — მიუგო პატრიკმა, — დავი-
ლაღე, — როგორც კი ეს წარმოთქვა, მოუ-
ლოდნელად ვისკით სავსე ბოკალი ხელში
აიღო და თითქმის ნახევარი სულმოუთ-
ქმელად შესვა.

მისი მელონის ეს არ შეუმჩნევეა, თუმ-
ცა როდესაც პატრიკმა ხელი ჩამოსწია, გა-
იგონა, როგორ დაცვივდნენ ყინულის ნა-
ტეხები ცარიელი ბოკალის ძირზე და ყო-
ველივეს მიხვდა. მისტერ მელონი ერთხ-
ანს შეყოვნდა, სავარძელს მიეყრდნო, შემ-
დეგ წამოდგა და აუჩქარებლად გაემართა
კიდევ ერთი ჭიქის შესასმელად.

— მე მოგიტან, — წამოიძახა მერიმ და
წამოხტა.

— დაჯექი, — თქვა პატრიკმა.
როცა მისტერ მელონი თავის ადგილს
დაუბრუნდა, მისი მელონიმ შენიშნა, რომ
სპირტის მალაღობი შემცველობისგან სასმე-
ლი მუქი ქარვისფერი გამხდარიყო.

— ძვირფასო, ჩუსტები ხომ არ მოგიტა-
ნო?

— არა.

მისი მელონი ხედავდა, თუ როგორ და-
ინყო მისმა მეულემ წრუტეა მუქი ქარვის-
ფერი სასმელისა, რომელშიც ზეთოვანი
ხვეულები წარმოქმნილიყო.

— სირცხვილია, რომ შენსავით მაღალი
რანგის პოლიციელს მთელი დღე ფეხით
სიარული უწევს, — თქვა მერიმ.

პატრიკს ხმა არ გაუცია, აპიტომ თავ-
ჩაღუნულმა მერიმ კერვა განაგრძო. ყოვე-
ლ ჯერზე, როცა მისტერ მელონი სასმე-
ლს ტურნებთან მიიტანდა, მერის ესმოდა,
როგორ ეჯახებოდნენ ყინულის ნატეხები
ჭიქის კედლებს.

— ძვირფასო, — უთხრა მერიმ, — გინ-
და, ყველს მოგიტან? ვახშამი არ მომიშნა-
დებია, დღეს ხომ ხუთშაბათია.

— არა, — უპასუხა მისტერ მელონიმ.

— თუ სავაზიმოდ გასასვლელად ძალი-
ან დაღლილი ხარ, — განაგრძო მერიმ, —
ჯერ კიდევ არაა გვიანი. საყინულეში ხორ-
ცი და კიდევ ათასი რამეა, შეგიძლია, აქვე
მიირთვა, სავარძლიდან ადგომა არც მო-
გიწევს.

პასუხის, ღიმილის ან თუნდაც თანხმო-
ბის ნიშნად თავის დაქნევის მოლოდინში
მერიმ თვლები მეულეს მიაშტერა, თუმ-
ცა ეს უკანასკნელი უტყვავდა იჯდა.
— მოკლედ, — თქვა მერიმ, — ნავალ,
ჯერ ყველსა და კრეკერებს მოგიტან.

— არ მინდა, — უპასუხა მისტერ მე-
ლონიმ.

მერი შეცბუნებული წამოდგა სავარძ-
ლიდან, გაფართოებული თვლებით კვლავ
მეულეს უყურებდა:

— კი მაგრამ, უნდა ივხშომო! ამ საქმეს
მანც მოვაბამ თავს, მერე კი, თუ გინდა,

ნორვეგიული წარმომავლობის ბრიტანელი მწერლის — რომანისტის, პოეტის,
სცენარისტისა და სამხედრო პილოტის — როალდ დალის სახელის გავრცელების
პირველად, ალბათ, „ჩარლი და შოკოლადის ქარხანა“, „ჯეიმსი და გიგანტური ატა-
მი“ ან „მატილდა“ გაგვახსენდება. ერთი შეხედვით, ეს მოულოდნელი არცაა, რადგ-
ან როალდ დალი XX საუკუნის ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო მწერალია. თუმცა,
საგულისხმოა, რომ დალის შემოქმედება მხოლოდ საბავშვო მოთხრობებით არ შე-
მოიფარგლება.

„დასაკლავი ბატკანი“ ამ ფაქტის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია. აღნიშნულ ნოვე-
ლაში როალდ დალი სასპენსის დიდოსტატად გვევლინება. მწერალი აქტიურად მი-
მართავს შავ იუმორს, ირონიას. ნოველა აგებულია წყვილის კონფლიქტზე, რომელ-
საც მკითხველისთვის მეტად მოულოდნელი დასასრული აქვს.

საკუთრივ სათაურის — „დასაკლავი ბატკანი“ — ძირები ბიბლიაში შეიძლება
დავებნოთ. სახელდობრ: „და იგი განბოროტებისათვის არა ალაღებ პირსა თქსსა,
ვითარცა ცხოვარი, კლვად მიმართ მიიყვანა და, ვითარცა კრავი, წინაშე მრისხველისა
თქსისა უჭმოა, ვერეთ არა ალაღებს პირსა თქსსა“ (ესაია, 53: 7) და „მე, ვითარცა
კრავმან უმანკომან მოყვანებულმან დაკლვად, არა ვცან. ჩემ ზედა ისატყუეს გული-
სსიტყუა ბოროტი მეტყუელთა...“ (იერემია, 11:19). როალდ დალი ამ სიტყვათშეხამე-
ბას, ერთი მხრივ, მეტაფორიზაციის ყოველგვარ საბურველს აშორებს და შავი იუმო-
რით ტვირთავს, რადგან, ერთმნიშვნელოვანია, დასაკლავი ბატკანი ნოველაში მკე-
ლელობის იარაღია. მეორე მხრივ კი სწორედ მეტაფორასთან გვაქვს საქმე: დასაკ-
ლავ ბატკანად ნოველის ორი პერსონაჟი — მკვლელობის მსხვერპლი და თავად მკვლე-
ლი — იქცევა. თხრობის დასასრულს გაუღერებული — „(მკვლელობის იარაღი — ი.
ნ.) ალბათ ჩვენ ცხვირწინაა“ და პოლიციელთა მიერ შეჭმული „სამხილი“ კი ირონიის
კულმინაციას წარმოადგენს.

მთარგმნელი

როალდ დალი

დასაკლავი ბატკანი

ჭამე, გინდა — არა, შენი ნებაა.
მერი წამოდგა და, რასაც კერავდა, მაგ-
იდაზე, სანათის გვერდით მოათავსა.
— დაჯექი, — თქვა მისტერ მელონიმ,
— ერთი წუთით მაინც დაჯექი!
ახლა კი მერი წამდვილად ალელდა.
— მიდი, — მიმართა მერის, — ჩამოჯე-
ქი.

მერი ნელა ჩაეშვა სავარძელში, მთელი
ამ ხნის განმავლობაში მეულეს გაფარ-
თობულ, შეფიქრიანებულ თვალებს არ
აშორებდა. ამასობაში, მისტერ მელონის
მეორე ჭიქა ჩაცალა და მოღუშული ჩაჰ-
ყურებდა.

— მისმინე, — თქვა მისტერ მელონიმ,
— რაღაც უნდა გითხრა.

— რა არის, ძვირფასო? რა მოხდა?

მისტერ მელონი გაშეშებულიყო და თა-
ვი ისე დაეხარა, რომ სანათის შუქი მისი
სახის ზედა ნაწილს ეცემოდა, ნიკაპი და
ტურნები კი ჩრდილში მოექცია. მერიმ შენი-
შნა, რომ მეულეს მარცხენა თვალის კუ-
თხესთან პანანინა კუნთი უთამაშებდა.

— ვშიშობ, ეს შენთვის ცოტა შოკისმო-
მგერელი იქნება, — თქვა მისტერ მელო-
ნიმ, — თუმცა ამაზე ბევრი ვიფიქრე და იმ
გადანყვეტილებამდე მივდი, რომ უკეთე-
სი იქნება, ყოველივე ახლავე გითხრა. იმე-
დი მაქვს, ზედმეტად არ გამკიცხავ.

და მან მერის ყველაფერი უამბო. დიდი
ხანი არ დასჭირვებია, არაუმეტეს ოთხი-
ხუთი წუთისა. მერი არც კი განძრეულა,
ისე მოისმინა ნათქვამი, თავზარდაცემუ-
ლი უყურებდა მეულეს, რომელიც ყოვე-
ლი სიტყვის შემდეგ მისგან უფრო და უფრო
შორს მიდიოდა.

— ასეა, — დასძინა მისტერ მელონიმ,
— ვიცი, რომ ახლა ამის სათქმელად ცუდი
დრო შევარჩიე, მაგრამ სხვა გზა არ იყო.
რასაკვირველია, ფულს მოგცემ და ყველა-
ფერს ვილონებ, რომ უყურადღებოდ არ
დარჩე. ალიაქოთის ატეხა საჭირო არაა.
ყოველ შემთხვევაში, ვიმედოვნებ, ამას არ
გააკეთებ. ამან შესაძლოა ჩემს სამსახურს
ავნოს.

მერის პირველი ინსტინქტი ის იყო, რომ
ნათქვამი არ დაეჯერებინა, ყველაფერი
უარეყო. ისიც კი მოუვიდა აზრად, რომ იქ-
ნებ, მის მეულეს ხმა არც ამოულია და ეს
მხოლოდ საკუთარი წარმოსახვის ნაყოფი
გახლდათ. შესაძლოა, თავისი საქმეებით
თუ დაკავდებოდა და თავს მოიკატუნებდა,
თითქოს ეს საუბარი არც შემდგარა, მოგვ-
იანებით, როცა გამოფხიზლდებოდა, აღ-
მოაჩენდა, რომ ყველაფერი კვლავ ძველე-
ბურად იყო.

— ვახშამს მოვამზადებ, — ნაიჭურჩუ-
ლა მერიმ და ამჯერად, მისტერ მელონის
მისი შეჩერება აღარ უცდია.

ოთახიდან გასვლა რომ დააპირა, ვერც
კი გააცნობიერა, როგორ შეეხნენ მისი ფე-
ხები იატაკს. მერი საერთოდ ვერაფერს
გრძნობდა — მხოლოდ ოდნავ გულიწარე-
ვას და სურდა, რომ ყველაფერი ამოეწყ-
ია. ახლა მისი თითოეული მოძრაობა მექა-

ნიკური იყო: კიბით სარდაფში ჩასვლა; შუ-
ქის ანთება; საყინულიდან იმის გამოღება,
რაც პირველად მოხვდა ხელში. მერიმ ამ
საგანს შეხედა. ქალაქში იყო შეხვეული,
ქალაქი მოხსნა და კვლავ დააკვირდა.

ბატკნის ფეხი.

კეთილი, მაშინ ვახშამად ბატკანი ექნე-
ბათ. მერი სარდაფიდან ამოვიდა. ბატკნის
ფეხის ბოლო, წვრილი ძვალი, ორივე ხელ-
ით ეჭირა და როდესაც მისაღებ ოთახში
შევიდა, დაინახა, რომ მისტერ მელონი მი-
სგან ზურგშექცევით ფანჯარასთან იდგა.
მერი შეჩერდა.

— ღვთის გულისთვის, — თქვა მისტერ
მელონიმ ისე, რომ არ შემობრუნებულა, —
არაა საჭირო ჩემთვის ვახშმის მომზადება.
მივდივარ.

ამ მომენტში მერი მელონი მეულეს
უკნიდან მიუახლოვდა, დაუფიქრებლად
მოიქნია გაყინული ბატკნის ფეხი და მთე-
ლი ძალით ჩაარტყა კეფაში.

მერი ალბათ ასეთივე წარმატებით მოა-
ხერხებდა ქმრისთვის ფოლადის ხელკეტის
დარტყმასაც.

მან ერთი ნაბიჯით უკან დაიხია, დაიც-
ადა და, რამდენად გასაკვირიც უნდა იყოს,
მისტერ მელონი ოთხი ან ხუთი წამის გან-
მავლობაში კვლავ ფეხზე იდგა და აქეთ-
იქით მსუბუქად ქანაობდა. შემდეგ ხალიჩა-
ზე დაენარცხა.

ძლიერად დაცემის ხმამ და პატარა მა-
გიდის გადაბრუნებამ მერი შოკის მდგომა-
რეობიდან გამოიყვანა. ნელ-ნელა გონს
მოეგო, სიცივესა და გაოცებას მოეცვა მი-
სი არსება. გარკვეული ხნით მეუღლის სხ-
ეულზე შეეჩერებინა მზერა და სასაცილო
ხორცის ნაჭერი ორივე ხელით ჩაებლუჯა.

— კარგი, — უთხრა საკუთარ თავს, —
მე ის მოვკალი.

მეტად უჩვეულო იყო, რომ მერის მოუ-
ლოდნელად გონება გაუნათდა. საკმაოდ
სწრაფად დაინყო ფიქრი. როგორც დეტე-
ქტივის ცოლმა, მშვენივრად იცოდა, რა სა-
სჯელიც ელოდა. თუმცა ახლა ეს მისთვის
სულერთი იყო. მეტიც, ერთგვარ შვებასაც
იგრძნობდა. მეორე მხრივ, რა ბედი ენეო-
და ბავშვს? რა კანონები მოქმედებდა ორ-
სულ მკვლელთა სანინაღმდეგოდ? ორი-
ვეს მოკლავდნენ — დედასაც და ბავშვს-
აც? თუ მეათე თვემდე მოიცდიდნენ? რას
მოიმოქმედებდნენ?

მერი მელონის წარმოდგენა არ ჰქონდა.
არც გარისკვისთვის იყო მზად.

მან ხორცი სამზარეულოში შეიტანა,
ტაფაზე მოათავსა, ლუმელს ბოლომდე აუ-
ნია და მიგნით შეაგდო. შემდეგ ხელები და-
ინახა და მალა სართულზე, საძინებელში
აირბინა. სარკის წინ ჩამოჯდა, თმები შეის-
წორა, ტურნებსა და სახეს შეეხო. გაღივება
სცადა, თუმცა რაღაც უსახური გამომეტ-
ყველება მიიღო. კვლავ სცადა იგივე მოქ-
მედების გამეორება.

— გამარჯობა, სემ, — თქვა მხიარულ-
ად, ხმამაღლა.

მისი ხმა უჩვეულოდ ჟღერდა.

— სემ, გეთაყვა, კარტოფილი მინდა. ჰო, ერთი თუხუქის ქილა ბარდასაც ავიღებ.

ეს მცდელობა უკეთესი გამოდგა. ღიმილიც და ხმაც გაუმჯობესდა. კიდევ რამდენჯერმე გაივარჯიშა. შემდეგ ქვემოთ ჩაირბინა, პალტო აიღო, უკანა კარიდან ბაღში და ბაღიდან ქუჩაში გავიდა.

ჯერ ექვსი საათი არ იყო და პროდუქტის მაღაზიიდან სინათლე კვლავ მოჩანდა.

— გამარჯობა, სემ, — მერიმ გაბადრული, მომღიზიარი სახით მიმართა დახლს იქით მდგომ მამაკაცს.

— სალამო მშვიდობისა, მისის მელონი. როგორ ბრძანდებით?

— სემ, გეთაყვა, ცოტადენი კარტოფილი მინდა. ჰო, ერთი თუხუქის ქილა ბარდაც მომეცი.

მამაკაცი შეტრიალდა და თაროდან ბარდის ქილა ჩამოიღო.

— პატრიკი დღეს დადლილია და გარეთ სავახშოდ გასვლა გადაიფიქრა, — თქვა მერიმ, — ხუთშაბათობით, ჩვეულებისამებრ, გარეთ ვვახშობობ და ახლა, როგორც აღმოჩნდა, თურმე სახლში ბოსტნეული საერთოდ არ მქონია.

— ხორცზე რას იტყვით, მისის მელონი?

— არა, ხორცი მაქვს, გმადლობ. საყინულეში ერთი კარგი ბატკნის ფეხი მაქვს შენახული.

— ო!

— სემ, დიდად არ გამეგება, გაყინული ხორცი როგორ უნდა მოვამზადო, თუმცა ამჯერად გარისკვა მომიწევს. რას ფიქრობ, გამოვა?

— პირადად მე, — თქვა გამყიდველმა, — მიმარჩია, რომ გაყინულია თუ არა, მაგას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. აიდაპოს კარტოფილს აიღებ?

— ო, დიახ. ორ ცალს.

— კიდევ რამეს ხომ არ ინებებთ? — გამყიდველმა თავი გვერდზე გადააქანა, თან მერის მონივნებით შეჰყურებდა, — შემდეგ რას მიაართმევთ თქვენს მეუღლეს?

— თქვენ რას შემომთავაზებთ, სემ?

მამაკაცი მაღაზიაში მიმოიხედა: — ჩიხტიქის ერთ მოზრდილ ნაჭერზე რას იტყვით? ვიცი, რომ თქვენს ქმარს უყვარს.

— მშვენიერია, — თქვა მერიმ, — ნამდვილად უყვარს.

როდესაც გამყიდველმა შენაძენი შეფუთა და მერიმ თანხა გადაიხადა, ამ უკანასკნელს სახეზე ღიმილი დაუწყო თამაში.

— გმადლობ, სემ. ღამე მშვიდობისა.

— ღამე მშვიდობისა, მისის მელონი, და გმადლობთ.

და ახლა მერი, რომელიც სახლისკენ მიიქაროდა, საკუთარ თავს არწმუნებდა, რომ მეუღლე მის მომზადებულ ვახშამს ელოდა. ვახშამი კარგად უნდა გაეკეთებინა, ყოველი ღონე ეხმარა, რომ რაც შეიძლება გემრიელი გამოსულიყო, რადგან საწყალი კაცი მინ დალული დაბრუნებულიყო. თუკი სახლში შესვლისას მერი რამე უჩვეულოს, ტრაგიკულს ან საზარელს შენიშნავდა, მაშინ, ბუნებრივია, ეს მისთვის შოკი იქნებოდა და მწუხარებისა და სასონარკვეთილებისგან გაგვიფრებოდა. წესით, მერი არ უნდა მოელოდეს რაიმე უცნაურის აღმოჩენას. ის ხომ შეძენილი ბოსტნეულით უბრალოდ შინ მიდიოდა.

წარმოიდგინეთ, ხუთშაბათ საღამოს სახლისკენ მიმავალი მისის მელონი, რომელსაც თავისი მეუღლისთვის ვახშამი უნდა მოემზადებინა.

„ესეც ასე!“ — შემოუძახა მან საკუთარ თავს: „ყველაფერი სწორად და ბუნებრივად გააკეთე. დაე, ყველაფერი ისე იყოს, როგორც არის და ზედმეტი თვალთმაქცობაც აღარ გახდება საჭირო“.

ამიტომ, როდესაც სამზარეულოში უკანა კარიდან შევიდა, გაიღიმა და თან თავისთვის რაღაც მელოდის ლინის მოჰყვა.

— პატრიკ! — დაიძახა მერიმ, — საყვარელო, როგორ ხარ?

შემდეგ შეფუთვა მაგიდაზე დადო და მისაღებ ოთახში გავიდა. როდესაც დაინახა, რომ მეუღლე იატაკზე ფეხებმოკეცილი ეგდო, ერთი ხელი კი ამობრუნებული და სხეულის ქვეშ ჰქონდა მოყოლილი, მერისთვის ეს ნამდვილად შოკი აღმოჩნდა. მასში მეუღლისადმი ძველებურმა სიყვარულმა და ლტოლვამ გაიღვიძა და ძირს დაგდებულს მივარდა, მუხლებზე დაემხო და გულამოსკვნით ატირდა. ყველაფერი მარტივად მოხდა. თამაში საჭირო აღარ გამხდარა.

ვად მოხდა. თამაში საჭირო აღარ გამხდარა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნამოდგა და ტელეფონთან მივიდა. პოლიციის განყოფილების ნომერი იცოდა და როდესაც ზარს უპასუხეს, მაშინვე დაიყვირა:

— იჩქარეთ! მალე მოდით! პატრიკი მკვდარია!

— ვის ვესაუბრებ?

— მისის მელონის. პატრიკ მელონის მეუღლეს.

— თქვენ ამბობთ, რომ პატრიკ მელონი მკვდარია?

— ვგონებ, მკვდარია, — ქვითინებდა მერი, — ძირს წვეს და, მგონი, მკვდარია.

— მალე მოვალთ, — უპასუხა მამაკაცი.

პოლიციის მანქანა სწრაფად მოვიდა და როდესაც მერიმ კარი გააღო, მასთან ორი პოლიციელი შევიდა. ორივეს იცნობდა — პოლიციის განყოფილების თითქმის ყველა პოლიციელი იცოდა. მაშინვე სავარ-



ძელში ჩაეშვა, შემდეგ პატრიკის სხეულთან დაჩოქილ პოლიციელთან მივიდა. მას ო'მელი ერქვა.

— მკვდარია? — ატირდა მერი.

— ვშიშობ, მკვდარია. რა მოხდა?

მერიმ მოკლედ უამბო, თუ როგორ წავიდა პროდუქტის მაღაზიაში და უკან დაბრუნებულს მეუღლე ძირს დაგდებული დახვდა. სანამ მერი თან საუბრობდა და თან ტიროდა, პოლიციელმა ნუნენმა გარდაცვლილი კაცის თავზე გამოხმარი სისხლის ლაქა შენიშნა. მან ო'მელის უხმო, ეს უკანასკნელი მაშინვე ნამოხბა და ტელეფონს მივარდა.

მალევე პოლიციის სხვა თანამშრომლებიც გამოჩნდნენ. თავდაპირველად ექიმი, შემდეგ ორი გამოძიებელი. მერიმ ამ უკანასკნელთაგან ერთ-ერთის სახელი იცოდა. მოგვიანებით მოვიდნენ პოლიციის ფოტოგრაფი, რომელმაც სურათები გადაიღო და მამაკაცი, რომელსაც თითის ანაბეჭდები უნდა აეღო. ცხედრის გვერდით დიდი ჩურჩული და ბუტბუტი გაემართათ. დეტექტივები მერის უამრავ შეკითხვას უსვამდნენ, თუმცა მის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი. მერიმ მომხდარი ამბის ხელახლა მოყოლა დაიწყო, ამჯერად, უფრო ვრცლად, იმ მომენტის აღნიშვნით, როცა მისი მეუღლე შინ დაბრუნდა. ამ დროს თავად კერავდა. პატრიკი ისე დაღლილიყო, რომ გარეთ სავახშოდ გასვლის თავი აღარ ჰქონდა. მერიმ უთხრა, რომ ღუმელში ხორცი ჰქონდა შედგმული. შემდეგ ბოსტნეულის შესაძენად მაღაზიაში გაიქცა და უკან დაბრუნებულს პატრიკი ძირს დაგდებული დახვდა.

— რომელი მაღაზიის გამყიდველთან იყავით? — ჰკითხა ერთ-ერთმა გამოძიებელმა.

მერიმ ყველაფერი უთხრა. შემდეგ გამომძიებელი თავის კოლეგას მიუბრუნდა და რაღაც გადაუჩურჩულა. ეს უკანასკნელი მაშინვე ნამოხბა და ქუჩაში გავიდა.

თხუთმეტი წუთში გამოძიებელი ფურცლებზე მინერილი მენიშვნებით ხელში დაბრუნდა. ჩურჩული ახლა უფრო გაძლიერ-

და. მერიმ, მიუხედავად იმისა, რომ სლუკუნებდა, რამდენიმე ნაწურჩულზე ფრაზას მოჰკრა ყური — „...ჩვეულებრივად იქცეოდა... მხიარულად იყო... მეუღლისთვის კარგი ვახშმის მომზადება სურდა... ბარდა... ჩიხტიქი... შეუძლებელია, რომ მერის...“

ცოტა ხნის შემდეგ ფოტოგრაფი და ექიმი წავიდნენ. მერე ორი მამაკაცი მოვიდა და ცხედარი საკაცით წაიღო. მალე თითის ანაბეჭდების ამღებმაც დატოვა სახლი. ადგილზე მხოლოდ ორი დეტექტივი და ორი პოლიციელი დარჩნენ. ისინი მერის მიმართ განსაკუთრებული გულისხმიერებით გამოირჩეოდნენ. ჯექ ნუნენმა შესთავაზა, იქნებ, დის სახლში წასვლა მერისთვის უკეთესი ყოფილიყო ან თავად ნუნენის მეუღლესთან, რომელიც იმ ღამით მასზე იზრუნებდა.

— არა, — თქვა მერიმ.

იმ წუთას, ალბათ, იგი ერთი იარდის გავლასაც ვერ შეძლებდა. ნუთუ, ძლიერ გაჯავრდებოდნენ, თუკი მერი მანამ, სანამ

თავს უკეთ იგრძნობდა, საკუთარ სახლში დარჩენას ამჯობინებდა? იმ წუთას ის შეუძლოდ იყო, ნამდვილად შეუძლოდ.

— არ სჯობს, სანოლზე წამოწვეთ? — ჰკითხა ჯექ ნუნენმა.

— არა, — თქვა მერიმ.

ერჩივნა, სავარძელში გაუნძრევლად მჯდარიყო. მოგვიანებით კი, თუ მომჯობინდებოდა, რჩევისამებრ მოიქცეოდა.

პოლიციის თანამშრომლებმა მერი მარტო დატოვეს და სახლის ჩხრეკას შეუდგნენ. დროდადრო ერთ-ერთი გამომძიებელი მერის მხედარს შეკითხვას უსვამდა. ხან ჯექ ნუნენი ჩაუვლიდა გვერდით და თბილად გაესაუბრებოდა. როგორც ჯექმა უთხრა, მისი მეუღლე კეფაში მძიმე, ბლაგვი საგნის ჩარტყმით მოკლეს, უსათუოდ მოზრდილი ლითონის ნივთი უნდა გამოეყენებინათ. ახლა სწორედ ამ იარაღს ეძებდნენ. მკვლელობა სავარაუდოდ მას თან წაიღებდა, თუმცა სავსებით შესაძლებელია, გადაეგო ან ამ შენობაშივე გადაემალა.

— როგორც უთქვამთ, — აღნიშნა ჯექმა, — თუ იარაღს იპოვი, დამნაშავეზეც გახვალთ.

მოგვიანებით ერთ-ერთი გამომძიებელი მერისთან მივიდა და მის გვერდით ჩამოჯდა. მან ქალს ჰკითხა, შინ თუ მოიძებნებოდა ისეთი ნივთი, რომელიც იარაღად გამოდგებოდა. თუ არ შენუხდებოდა, ირგვლივ მიმოიხედა, იქნებ, რამე დაკარგულიყო — მაგალითად, ძალიან დიდი ქანჩის გასაღები ან ლითონის მძიმე ლარნაკი.

როგორც მერიმ აღნიშნა, ლითონის მძიმე ლარნაკის მსგავსი არაფერი ჰქონდათ.

— არც დიდი ქანჩის გასაღების მსგავსი?

მერის ეჭვი ეპარებოდა, რომ ქანჩის გასაღები ჰქონოდათ. თუმცა, მსგავსი ხელსაწყოები შესაძლოა ავტოფარეში აღმოეჩინათ.

ძიება გრძელდებოდა. მერიმ იცოდა, რომ სახლის ირგვლივ, ბაღში სხვა პოლიციელებიც იყვნენ. ქვიშაზე მათი ნაბიჯების ხმა გარკვევით ესმოდა, ხანდახან ხედავდა, როგორ ციმციმებდა ფარდებს შორის

ფარნის შუქი. უკვე გვიანი იყო, დაახლოებით, ცხრა საათი. ოთხი მამაკაცი, რომელიც ოთახებს ჩხრეკდა, თანდათან გრძობდა და დალლას და ცოტათი ღიზიანდებოდა კიდევ.

— ჯექ, — თქვა მერიმ, როცა სერჟანტმა ნუნენმა გვერდით გაუარა, — თუ არ შენუხდებით, სასმელი მომადიო.

— რასაკვირველია, ახლავ. ამ ვისკის გულისხმობთ?

— დიახ, თუ შეიძლება. ოღონდ, ცოტა დამისხით. იქნებ, უკეთ გავხდეთ.

ჯექმა ჭიქა გაუნღო.

— თავადაც ხომ არ დალევდით? — ჰკითხა მერიმ, — საშინლად დადლილი იქნებით. გთხოვთ, მიირთვიეთ. თქვენ ისეთი კეთილგანწყობილი იყავით ჩემ მიმართ.

— კეთილი, — უპასუხა ჯექმა, — მკაცრად აკრძალული გვაქვს დალევა, თუმცა ერთ ყლუპს მოვსვამ, რომ მოვძლიერდე და მუშაობა განვაგრძო.

ერთმანეთის მიყოლებით პოლიციის სხვა თანამშრომლებიც შემოვიდნენ და ისინიც დაიყოლიეს, რომ ცოტა ვისკი დაეღლიათ. პოლიციელები მერის თანდასწრებით სასმელით ხელში იდგნენ და თავს უხერხულად გრძობდნენ, ამიტომ, ცდილობდნენ მისთვის მანუგებელი სიტყვები ეთქვათ. სერჟანტი ნუნენი სამზარეულოში შევიდა, შემდეგ სწრაფად გამოვარდა და თქვა:

— მისმინეთ, მისის მელონი. თქვენი ღუმელი კვლავ ანთია და ხორცი შიგნითაა.

— ღმერთო ჩემო! — დაიყვირა მერიმ, — ასეა!

— სჯობს, გამოვრთო, არა?

— ჯექ, გამორთავ? დიდი მადლობა.

როდესაც სერჟანტი დაბრუნდა, მერიმ მას გაფართოებული, ჩამავებული, ნამტირალევი თვალებით შეხედა:

— ჯექ ნუნენ, — თქვა მერიმ.

— დიახ?

— თქვენთან და სხვა თანამშრომლებთანაც ერთი პატარა სათხოვარი მაქვს.

— დიდი ყურადღებით გისმენთ, მისის მელონი.

— კეთილი, — თქვა მერიმ, — ყველანი აქ ხართ, ჩემი ძვირფასი პატრიკის გულითადი მეგობრები, რომლებიც მისი მკვლელის დაჭერაში მეხმარებით. ვახშმის დრო კარგა ხანია, რაც გავიდა. საშინლად მოგშიგდებოდათ და დარწმუნებული ვარ, პატრიკი არასდროს მამაკაცებდა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული, რომ მის სახლში თქვენთვის ღირსეული მასპინძლობა არ გამენია. ღუმელში გამომცხვარ ბატკანზე რას იტყვით? უკვე მზად იქნება.

— უკეთესზე ვერც კი ვიოცნებებდი, — თქვა სერჟანტმა ნუნენმა.

— გთხოვთ, — შეეხვეწა მერი, — გთხოვთ, მიირთვიეთ. თავად პირს ვერ დავაკარებ, მაგრამ თქვენ ნუ მოგერიდებთ. დიდად მასიამოვნებთ, თუკი მიირთმევთ. შემდეგ შეგიძლიათ, თქვენს სამუშაოს დაუბრუნდეთ.

ოთხი პოლიციელი კარგა ხანს უარზე იყო, თუმცა ნამდვილად მოშივებოდათ და ბოლოს მერიმ მათი დაყოლიება მოახერხა. თავად ოთახში დარჩა და მათ საუბარს უსმენდა. პოლიციელების ლაპარაკი გაურკვეველ ხმებს მოგაგონებდათ, რადგან მათ პირი ხორციეტი ჰქონდათ გამოტყენილი.

— კიდევ შეჭამ, ჩარლი?

— არა, აჯობებს, თუ მთლიანად არ შეეჭამთ.

— მერის სურს, რომ ბოლომდე შეეჭამოთ. ასე თქვა. ეს თხოვნა შეეუსრულოთ.

— კარგი, მაშინ. ცოტა კიდევ მომეცი.

— მართლაც ძალიან დიდი უნდა ყოფილიყო ის წყეული ხელკეტი, რომელიც საცოდავ პატრიკს ჩაარტყეს, — ამბობდა ერთ-ერთი პოლიციელი, — ექიმმა თქვა, მისი თავის ქალა სულ ნაწილებად იყო დამტვრეული, თითქოს ურო დაარტყესო.

— სწორედ ამიტომაც, წესით, მარტივად უნდა ვიპოვოთ.

— მეც ზუსტად ამას ვამბობ.

— ვინც ეს ჩაიღინა, ამ იარაღს თავისთან დიდხანს არ გააჩერებდა.

ერთ-ერთმა პოლიციელმა დააბოყინა: — პირადად მე, ვფიქრობ, რომ ეს იარაღი ამ სახლშია.

— ალბათ ჩვენ ცხვირწინაა. რას იტყვი, ჯექ?

მეორე ოთახში მერი მელონიმ ჩაიხიბთითა.

ვახტანგ ჯავახიძე

ერთი ჩემსავით უთქმელი კაცი



ჩვენი სხვადასხვა თაობისანი ვიყავით და ერთმანეთს იშვიათად ვხვდებოდით. ხანგამოშვებით რომელიმე უცხოელი მწერლის მონაცემების დასაზუსტებლად დავურეკავდი და დავეკითხებოდი. ხოლო სხვადასხვა ხასიათის შეკრებაზე შეხვედრისას — აუცილებლად ერთმანეთის გვერდით დავსხდებოდით და დიდი ხნის მონატრებული ახლობლებივით განუწყვეტლივ ვსაუბრობდით, ძირითადად — პოეტებსა და პოეტებზე, ხანდახან — პოლიტიკაზეც. ისე ვჩქარობდით, თითქოს არ შეგვეძლო, სხვა დროს ტელეფონით ხანგრძლივად გვესაუბრა. ჩვენი მოსაზრებანი ზოგჯერ არ ეთანხმებოდნენ ერთი მეორეს და სწორედ ამიტომ უფრო მიზიდავდა.

ასეთ ეპიზოდებში ასაკობრივი სამანი აღარ სუფევდა და ჩვენ ალალი მეგობრები ვიყავით.

1992 წელს სამოცი წელი მომილოცა: — მიიღე უხინჯო სიყვარული ერთი შესავით უთქმელი კაცისაგან.

ლექსებს იშვიათად აქვეყნებდა და ერთხელ გავეხუმრე:

— კრიმინალური ქრონიკა: პოეტი დავით წერედიანი ეჭვმიტანილია საკუთარი ლექსების დამალვაში.

2010 წელსაც შევეხმინე — „შესაქცევარი“:

გაგვინაპირებს რუსთაველის
მერიდიანი,
გურამიშვილის მოგვიხმობენ
მელოდიანი,
ვაჟასთან გაგვერიდებიან ერედიანი,
გალაკტიონთან —
ჯერ მერი და მერე — დიანა,
თავს მოგვანონებს
საუკუნე წერეთლიანი
და ულვაშებში ჩაიცივნებს წერედიანი.

2015 წელს კი — უაღრესად ელეგიური შთაგონებისას — ისევ ირონია შემომეპარა:

ერთი პლიუსი! — მსოფლიო ბალანსს
რას დააკლებდა ერთი პლიუსი, —
აჯახა ამას დასტურს დასცემდა
მარკუს (ბაჩანა) ავრელიუსიც,
თავს არც იოჰან (დავით) გოეთე
(წერედიანი) შეიკავებდა
და აღარც სულხან (ეზოპე) საბა —
მესაიდუმლე მეიგავეთა.

სამწუხაროდ, ბაჩანა ბრეგვაძის გადმოქართულებულმა „დონ კიხოტმა“, ისევე, როგორც მთელმა მისმა შემოქმედებითა

პროცესმა, საკმაოდ შეუმჩნევლად ჩაიარა, მთანმინდა კი მოზოდიშებასავით გამოვიდა — უკან მიდევნებელი კელაპტარი.

ბაჩანამ „დონ კიხოტის“ შესავალში ნარმოდგენილი ლექსები დათოს ათარგმინა. ჩემი ყურადღება ბოლოკვეცილი ლექსის სამოცდაათმა სტრიქონმა მიიპყრო, განსაკუთრებული ყურადღება კი — სამად სამმა ვირტუოზულმა ტაეპმა და 2021 წელს დავწერე — „დავით მიგელ საავედრა წერედიანს“:

— ცოტნეს თაფლი ვინ ნაცხო? —
ვეკითხები თქვენს ნუნუს,
ვისაც ჩემთან ზავი სურს:

შუშაბანდში ვინცა ცხოვ...
სხვის შუშაბანდს ქვებს ნუ უშ...
გაუფრთხილდეს თავის შუშ...

სხვა დავითი სწუხდა ლექზე,
მე კი ვაქებ წერედიანს,
თუმცა ბოლოკვეცილი ლექსებს
უკვე აღარ წერედიანს.

ამბობენ და მეც ვიმეორებ: პოეტური შედეგის ადეკვატურად თარგმნა შეუძლებელია, მაგრამ წერედიანის ვიიონი გამახსენდება და დავფიქრდები.

ვიიონი ყველაზე ნარმატიული აღმოჩნდა, „ფაუსტი“ კი — ყველაზე დიდი ნარმატიება. იგი არამარტო კონგენიალურია, ქართული ენის ძალმოსილებასაც ადასტურებს: პოლიფონიურმა ორიგინალმა მთარგმნელი აიძულა, ქართული ზმნისა და რითმის ნიაღში უცნობი მადანი აღმოეჩინა და მოულოდნელი ვარიაციები შემოეთავაზებინა.

— ნიღბების ფაუსტურმა გამოცდილებამ ახალი თვალთახედვა გამიხსნაო, — დავიდასტურა თვითონ თავისი პროზაული ტექსტების კრებულში „თემა და ვარიაციები“.

პოეზიის ხელოვნებაზე დაკვირვებათა სამაგალითოდ რუსთაველი და გალაკტიონი აირჩია:

— გალაკტიონის ლექსის იდუმალი მუსიკა — პირველი და ალბათ ყველაზე დიდი ესთეტიკური სიხარული, რომელიც კი ოდესმე ლექსისაგან მიმიღია, ჯერ კიდევ ყმანვილისეული განცდა — ეჭვების ქურაშიც, ჯანყის ქურაშიც გამოტარებული — ამიტომაც ჩემთვის მით უფრო ფასეული, უკვე ნარუვალა.

კარგა ხანია, თანამდევს ერთი ჩანაფიქრი:

ქრი: გალაკტიონის შედეგების განსხვავებული რჩეული (სამასზე მეტი და ოთხასზე ნაკლები) და მისი წინასიტყვა. ადრე ანალოგიურ შემთხვევებში აკაკი განერელია და გურამ ასათიანი გამახსენდა. ამჯერად, თუ მოვასწარი, დავით წერედიანი მინდა წარვუძღვარო, თუმცა მის ორ თეზას არსებითად არ ვიზიარებ.

სვანეთი და სვანური ფოლკლორი ხშირად მიიპყრობდნენ ხოლმე გალაკტიონის ყურადღებას. 1950 წელს გამოაქვეყნა „მესტიის ხიდი. (ხალხური პოეზიიდან)“ — შიდა რითმებით განწყობილი ათმარცვლოვანი, რომელსაც წარმატებით გამართავდა ხოლმე სხვადასხვა დროს. ამჯერად სვანური ტრავესტი გამოარჩია — „ბილუბა“ და ქართული რემინისცენცია წარმოგვიდგინა.

დავით წერედიანმა თარგმნა და 1968 წელს გამოსცა „ირინოლა — სვანური ხალხური პოეზია“. ამ გამოცემის სვანური თეთრი ლექსის ყირამალა მეტაფორები თანამიმდევრობით მიჰყვებიან „მესტიის ხიდის“ პირველ შვიდ სტროფს, ოღონდ გალაკტიონთან „ბილუბას“ კენტი სტრიქონების რეფრენი გამორიცხულია.

„ბილუბას“ ოცდარვასტრიქონიანი ქართული მხოლოდ ერთხელ იმეორებს გალაკტიონის ტაეპს:

ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
და შეგვიძლია შემთხვევითად ჩავთვალოთ.

2011 წელს დავით წერედიანმა „ირინოლას“ განსხვავებული ვერსია შემოგვთავაზა — „სვანური სიმღერების კვალდაკვალ“ — რამდენიმე ლექსი ამოიღო, რამდენიმე ახალი დაამატა, ზოგიერთი შეამოკლა, აქტიურად გაასწორა და უწოდა „სიმღერებიდან ამონარიდი“. აქ „ბილუბა“ ათ სტრიქონამდეა შემცირებული, კენტი რიცხვების რეფრენი ხუთჯერ მეორდება და დარჩენილი ხუთიდან სამი გალაკტიონისეულს იმეორებს:

ჭიანჭველები აგებენ ციხეს.
ყარაულობენ ყველებს კატები.

თავები დათვებს აჭრიან თათებს.
ცხადია, ამას უნებლიე შემთხვევითობას ვეღარ დავარქმევთ და არც ისაა მოულოდნელი, რომ წერედიანის პროზაული ტექსტების მთავარი პერსონა გალაკტიონია. ამ კრებულში პოეტმა ალაღად აღიარა:

„— რითმაც მოუპარავთ ჩემთვის და ზოგჯერ მთელი სტრიქონიც, — მეუბნებოდა ერთი, ან გარდაცვლილი, პოეტი. ეგ ამბავი დიდ ცოდვად არ მიმაჩნია. ერთი-ორჯერ ხელი მეც წამცდენია“.

ვეთანხმები, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ თარგმანია და, რაკი მთარგმნელი აღიარებით ჩვენებასაც იძლევა, მოსულა!

— ერთი-ორჯერო, — აღრიცხავს მთარგმნელი და ბარემ მეორე წაცდენაც გავისხენოთ:

გავისხენოთ გრიგოლ აბაშიძის ტრიოლეტი:

დააცადე, ლექსმა გულში
კიდევ დაიზამთროს,
ხვალ, ვინ იცის, სად ინატრებ
საქართველოს ღრუბელს,
სიზმარივით მოიხედო
იქნებ გაის ამ დროს.

და — ვიიონის „ძველი დროის ბანოვანები“:

პრინცო, რაც უნდა გადაიზამთროს,
მოვა ტაეპი ქვემოსატანი
და მოგვაგებებს ცრემლს;

გაის-ამ-დროს:
ვაა, შარშანდელი თოვლი სად არი?

რაკი ესეც თარგმანია და წერედიანია, არც ჩვენ მიგვაჩნია დიდ ცოდვად და ესეც მოსულა!

სხვათა შორის, ქართული ხალხური პოეზიის შედეგების დიდი ნიგნი რომ შეადგინა, მურმან ლებანიძეს შევთავაზებ, წერედიანისეული სვანური ნიმუშები შეეცანა.

დავით წერედიანს პირველად 1949 წლის 13 ნოემბერს შეეხვდა თბილისის ლავრენტი პავლეს ძე ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში — ნორჩ ლიტერატორთა კონფერენციის სხდომაზე: ქუთაისის ვაჟთა პირველი სკოლის მეცხრე კლასის მოსწავლე და ზემო სვანეთის რაიონის ლატალის რვანლიანი სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე. ჩვენ საკუთარი ლექსები წავიკითხეთ.

2010 წელს კი როსტომ ჩხეიძის სალონი დათოს „ორიონი“ მივულოცე — სამოცდაცამეტი წლის პოეტის პირველი ნიგნი. ჩვენ ასე თუ ისე ვიცნობდით ერთმანეთის სამზარეულოს და არც ვარაუდები გვეშლებოდა და მაინც ეს იყო აღმოჩენასავით, დიახ, აღმოჩენასავით, რომელსაც ავტორი მოესწრო და დაესწრო — ფიროსმანივით! და რომ არა დაუმცხვრალი როსტომ ჩხეიძის ალლო და ავანტიურა, აღმოჩენა განუსაზღვრელი ვადით გადაიდებოდა.

ერთხელ სტუდენტობის ჟამს გრიგოლ აბაშიძემ მე და გივი გეგეჭკორს გვიჩვენა: ახალგაზრდები ხართ და ბევრი უნდა წეროთო. გამიკვირდა და გავიფიქრე, ალბათ მოგვიწოდებდა, მეტი ვივარჯიშოთ-მეთქი და, მგონი, მართალი ბრძანდებოდა უფროსი კოლეგა.

— ნიგნი პოეტის აბანოაო, — მითხრა გიორგი ლეონიძემ 1962 წელს და გალაკტიონი მეორე ნიგნიდან დაიწყო 1919 წელს.

დავით წერედიანის რამდენიმეს და კიდევ რამდენიმეს ასაკი არ ეტყობა და არც თარიღი ეტყობა. მკაცრმა და ალბათ ზედმეტად მკაცრმა გემოვნებამ მეტის უფლება არ მისცა.

წერედიანმა ბარათაშვილის ანტირეკორდი მოხსნა, ოცდაშვიდი წლის ბარათაშვილის ანტირეკორდი და, რაც დავიტიოვა, ნებისმიერი მოცულობის ანთოლოგიაშია დამკვიდრებული.

გვარწმუნებენ და ალბათ სამართლიანადაც: ლირიკოსის ტალანტს თარგმნის პროცესი აზარალებსო. წერედიანი გამოწინააღმდეგა. წერედიანის ორიგინალური და თარგმნილი ტექსტები იმდენად თანაბარხარისხოვანია და დროის იმდენად ხანგრძლივ პერიოდებზეა გადანაწილებული, რომ ერთმანეთს არ ავიწროებენ და არც ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, წერედიანის ლექსების დევიციტი ვიიონს, გოეთეს ანდა ლორკას დავაბრალოთ.

ასეთია სახელდახელო შტრიხებით წარმოსახული ერთი ჩემსავით უთქმელი კაცი: დავით-ფრანსუა-იოჰან-მიგელ-ფედერიკო-წერედიანი.

